ნოდარ კიკნაძე

სიმღერა წვიმაში



თბილისი
2013

ნოდარ კიკნაძე

სიმღერა წვიმაში



თბილისი
2013

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა მხიარული, თუ სევდიანი ამბავი მოსმენილ-განაგონი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადამიანთაგან და ჩაწერილ-შელამაზებული თქვენი მონა-მორჩილის: ნოდარ კიკნაძის მიერ. აგრეთვე ზოგი რამ მისივე უბადრუკი შემოქმედებიდან.

ჩემს პატივცემულ მკითხველს უმორჩილესად ვთხოვ, ნურც დააბნევს და ნურც გააკვირვებს ის გარემოება, რომ წინამდებარე კრებულში ხშირად და უმიზეზოდ ერთმანეთს ენაცვლება სასაცილო, თუ სატირალი ამბები; ხანაც ეს ორივე ერთმანეთშია გადახლართული. რას იზამ, თავადაც მოგეხსენებათ, ცხოვრება სწორედ ასეა მოწყობილი!

სარედაქციო საბჭო:
თემურ კაპანაძე, გურამ მღებრიშვილი, ნუკრი ბაღდავაძე

ISBN 978-9941-0-6251-3

* * *

თუ რამ ფიქრი გქონია
ეკლიანი რტოების,
ცეცხლი და აგონია
აზრთან განმარტოვების,
თუ იტვირთე ის ჯვარი
და გოლგოთის ცისკარი,
ესე იგი იცანი
შენი ყოფნის მიზანი;
ესე იგი იწამე
შენ სიკეთის მალამო,
ესე იგი ეწამე,
მაგრამ არა ამაოდ,
ამაოდ არ ვშობილვართ,
ღირდა ქვეყნის გაცნობა,
ესე იგი, ყოფილა
სიკეთე და კაცობა!

* * *

ტილოზე ეხატა თვალი-
თავწაკვეთილი გედი!
გუგა, საოცრად მრგვალი,
სავსე დარდით და სევდით,
შიგ კი მოსჩანდა ქალი,
სადღაც, შორს მიმავალი...
ტილოზე ეხატა თვალი,
კუთხეში დიდი ცრემლი.

შურისძიება

მესხეთი. ახალციხიდან დასავლეთით, ასე, 15-20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი უდე. სახელწოდება, ჩემი აზრით, უნდა მოდიოდეს ძველი ქართული სიტყვიდან ,,ყუდე" რაც სადგომს, თავშესაფარს ნიშნავდა (მეგრულში ეს სიტყვა „სახლს" ნიშნავს). ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი სოფელი, სადაც დღესაც ნახავთ ანტიკური ხანის ციხე-სიმაგრის ნანგრევსა და IX საუკუნის, ბაზილიკური ტიპის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას.

ამბავი, რომელიც მინდა გადმოვცე, გასული საუკუნის დასაწყისში მოხდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ფაქტობრივად არ არსებობს საზღვარი თურქეთთან. თურქი და ქართველი მოსახლეობა ერთმანეთშია არეული. ორივე ენა ყველამ კარგად იცის. უდეშიც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს მართლმადიდებელი, თუ კათოლიკე ქრისტიანი და მუსლიმანი.

„ლუკათ" ივანე, ამ მხარეში ცნობილი კაცი იყო. ზორბა ტანის და უდიდესი ფიზიკური ძალის მქონე ვაჟკაცი, ასევე საოცრად გამრჯე გახლდათ. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა - სოფელში საქმეს რა გამოლევს, მაგრამ ზამთარშიც კი, როდესაც მთელი სოფელი „საღათას ძილს" ეძლეოდა, ივანე თავისი ბრიგადით ახალციხეში მიდიოდა და იქ ქვის სახლებს აშენებდა. არ უჭირდა, პირიქით: შემლებული კაცი ეთქმოდა, მაგრამ უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო.

ზაფხულის ერთ დილას, როდესაც ბინდში ჩაფლულ სოფელს ჯერ კიდევ არ გაჰღვიძებოდა, ივანემ სოფლის განაპირას, სათიბს მიაშურა. მზე ახლად ამოწვერილი იყო, საკმაოდ მოშორებით, ერთ-ერთი ბორცვის წვერზე უცნობი კაცი რომ შენიშნა, რომელიც, როგორც მალე დაადგინა, სწორედ მას აკვირდებოდა. გახურებულ მუშაობაში, დრომ სწრაფად გაირბინა. სამხარმა მოაწია. ხის ჩრდილში სუფრა გაშალა, ცოლის მიერ გამოტანებული: მესხური პური, „ჩეჩილა" ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი, ჭანჭურის არაყი, მჟავეული ამოალაგა. იმ ბორცვს გახედა: უცნობი ისევ იქ იყო. ხელი დაუქნია, ანიშნა: „ჩამოდიო!" უცნობი ჯერ თითქოს დაიბნა. მერე, როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად მას უხმობდნენ, უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ჩამოდი, ჩამოდიო! - არ მოეშვა. კაცი ცოტახანს კიდევ ყოყმანობდა. მერე ზლაზვნით წამოდგა და ნელ-ნელა დაეშვა ფერდობზე. თათარი გამოდგა.

- კაცო, აქ მე ვზივარ მარტო, იქ - შენ. დამიჯექი, მე ჩემსას გეტყვი, შენ - შენსას, თანაც დავნაყრდებით! - მიიპატიჟა უცხო.

უხმოდ სამხრობდნენ. დროდადრო არაყსაც აყოლებდნენ. ივანეს რა დაათრობდა, თათარს კი მალე შეეტყო სიმთვრალე. ახლა კი დრო იყო, გაერკვია ვითარება:

- დილიდანვე შეგნიშნე, მითვალთვალებდი. მითხარი ერთი, რა ხდება, რაშია საქმე?

- თუ არ მომკლავ, გეტყვი - ჩაიბურტყუნა თათარმა.

- არ მოგკლავ!

- ეგრე არა, სიტყვა მომეცი, მე შენი სიტყვის ფასი ვიცი!

- სიტყვას გაძლევ - თვალებში ჩახედა ივანემ. გულმა ცუდი უგრძნო.

კაცმა უბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ორად მოკეცილი ფულის მოზრდილი დასტა ამოიღო, სუფრაზე დადო და თქვა: - მე თურქეთიდან გადმოვედი. დაქირავებული მკვლელი ვარ. ასეთია ჩემი ხელობა: ფულს მიხდიან და ვისზეც მიმითითებენ, ვკლავ. იქ, ზემოთ, ბუჩქებში თოფი მაქვს დამალული. იმ თოფით შენ უნდა მომეკალი, მაგრამ ვერ გაგიმეტე. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა: ვერ გაგიმეტე, რადგან, თუმცა ბევრი მსმენოდა შენზე, რაც თვალით ვნახე, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი: მე ადამიანის შვილის ასეთი მუშაობა ჯერ თვალით არ მინახავს. ცოდვაა შენი მოკვლა!

ივანე მოულოდნელობისგან ენაჩავარდნილი უსმენდა. ძლივს ამოღერღა: - ვინ დაგავალა ჩემი მოკვლა?

- ეს ფული შენმა ცოლმა და იმისმა საყვარელმა მომცეს, შენი მოცილება უნდათ!

წამით თვალები დაუბნელდა. არაყი დაისხა. უსიტყვოდ გადაჰკრა.

- ვინ არის ის კაცი?

მისივე სოფლელი დაუსახელა, ერთი მარტოხელა თათარი კაცი.

ივანეს გულში ჯოჯოხეთი ბორგავდა. პირველ რიგში ამას დავახრჩობო იფიქრა, მაგრამ სიტყვა ჰქონდა ნათქვამი.

- ეგ ფული შეინახე - უთხრა თავაუწევად.

- არა, ფული არ მეკუთვნის.

- აიღე და შეინახე, რომ გეუბნები - ისეთი სახით შეხედა, თათარი უმალ დაემორჩილა.

- ჩვენი საუბრის შესახებ არსად სიტყვა არ დაგცდეს. ახლა წადი და დღესვე ამ მხარიდან გადაიკარგე. ეცადე არსად შემხვდე აღარასოდეს, თორემ, თუ სადმე გადამეყარე, ნამდვილად მოგკლავ!

კაცი უხმოდ წამოდგა. იმ ადგილს მიაშურა, სადაც თოფი ეგულებოდა და ცოტა ხანში ბორცვის გადაღმა ჩაიკარგა. ივანემ სუფრა აალაგა, ერთხანს, ცელს დაყრდნობილი, სოფელს გაცქეროდა. მერე პირჯვარი გადაიწერა და მუშაობა განაგრძო.

სახლში მისულს მისი ლამაზი ცოლი შეეგება. გარეგნულად

უნაკლო ქალი იყო, ესაა: შვილი არ უჩნდებოდა. ქმარს ხელ-პირი დააბანინა, ფეხები თავად დაბანა. მერე სუფრა გაუშალა. იქვე ჩამოუჯდა. გაუთავებლად ეტიტინებოდა. ივანე ჩუმად მიირთმევდა საჭმელ-სასმელს. მოულოდნელად კითხა: - მე რომ ფული მოგაბარე ამას წინათ, სად შეინახე?

ქალი შეკრთა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა, მაგრამ სწრაფად უპასუხა:

- უი, ჩემს სიცოცხლესა, როგორ დამავიწყდა: ჩვენი ნათესავები იყვნენ გადმოსული ხულოდან, იმათ ვასესხე.

- ჰოო, კარგი, კარგი...

გავიდა ათი-თორმეტი დღე. თათარი მკვლელის კვალი არსად გამოჩენილა.

ერთ საღამოს ივანე სოფლის ცენტრში, „სალაყბოზე“ გავიდა. აქ დიდხანს არ დარჩენილა. საუკეთესო მეგობარს, „პეტათ“ სიმონას მიმართა: - სიმონ, ჰაიდე(წამო), შენთან საქმე მაქვს.

სიმონა უხმოდ წამოდგა და გაყვა. სოფელშივე, მყუდრო ადგილას, სუფრა გაშალეს და გვიანობამდე არაყი სვეს. სოფელს უკვე ღრმა ძილით ეძინა, როდესაც ივანემ თქვა:

- სიმონ, ამაღამ ერთი კაცი-ნა (უნდა) მოკვდეს!

- მოკვდეს! - იყო პასუხი.

სიმონა ამით გამოირჩეოდა, ლაპარაკი არ უყვარდა. არ უკითხავს, ვინ უნდა მოეკლათ, რატომ. მისთვის ძმაკაცის სიტყვა კანონი იყო. წავიდნენ იმ „მოსაკლავის“ სახლისკენ. უტრიალებენ სახლს და ფიქრობენ, პატრონი გარეთ როგორ გამოიტყუონ. უცებ რაღაც ლანდები შენიშნეს: - ბიჭო, რომელი ხარ მანდ?

- შენ თვითონ რომელი ხარ?

- ვანო ვარ, „ლუკათი“.

- ვანო, შენა ხარ?

- ჰო, თქვენ ვინ ხართ?

- გამარჯობა! - აჭარელი ნაცნობები იყვნენ.

- გაგიმარჯოთ. აქ რამ მოგიყვანათ ამ შუაღამისას?!

- ერთი კაცი გვყავს მოსაკლავი!

- ვინა?

იგივე პიროვნება დაუსახელეს. ვანო ჩაფიქრდა: - თქვენგან მაგის მოკვლა არ ივარგებს: უცხო ხალხს სოფელში ვინმე შეგამჩნევდათ და უცებ დაგიჭერენ. თქვენ წადით, მაგ საქმეს მე ვიზამ.

შემდეგ მეგობარს მიუბრუნდა: - სიმონ, ეს საქმე დღეს არ გამოვა. წავედით.

გავიდა კიდევ ორი კვირა. ერთ საღამოს ისევ გავიდა ივანე „სალაყბოზე“, ისევ დაუძახა სიმონს: - სიმონ, ჰაიდე, საქმე მაქვს!

სიმონი გაჰყვა. გვიანობამდე სვეს. როცა დრომ მოაწია, ივანემ თქვა:
- სიმონ, ამაღამ ის კაცი-ნა მოკვდეს!

- მოკვდეს!

მივიდნენ. დაუძახეს. იქვე, ეზოშივე დააგდეს. ურმის მოსაკოჭი, მსხვილი თოკი შემოუჭირეს კისერზე. ერთი ბოლო სიმონს ეჭირა, მეორე-ივანეს. მასვე მსხვერპლის თავზე მარჯვენა ფეხი ედგა.

- ბიჭო, შენ და ჩემი ცოლი ერთმანეთს ყვარობთ?

- არა, ვინ გითხრა, ვინ დამაბრალა!

- სიმართლე მითხარი, თუ გინდა რომ არ მოგკლა!

- სიმართლე რომ ვთქვა, არ მომკლავ?

_ არა, არ მოგკლავ,(სიტყვა არ მიუცია).

- ჰო, რა ვიცი, შევცდით როგორღაც, გვაპატიე ვანოჯან, მაპატიე ...

- სიმონ, გასწი თოკი, მე ამისი დედა ... !

სახლის მახლობლად ქვა-ღორღის გროვა იყო. გვამი იქ ჩაფლეს.

გავიდა ხანი. ერთ საღამოს სახლში მისულ ივანეს ცოლი ატირებული დახვდა.

- რა არი ქალო, რა გატირებს?

- ამ ერთი თვის წინ ჩვენი სოფლელი კაცი რომ დაიკარგა, თათარი, გახსოვს?

- მახსოვს, მერე?

- ის კაცი უპოვნიათ მოკლული, ქვებში ჩაფლული.

- ჰოო? მერე შენ რა გატირებს?

- რა ვიცი, მაინც, ადამიანის შვილია, შემეცოდა!

- ეგ მართალია. იტირე, იტირე. ქალის წესი ეგაა: უნდა იტიროს!

მიილია შემოდგომა. დადგა ზამთარი. ზამთარი მესხეთში ახლაც მკაცრი იცის, მითუმეტეს, როგორი იყო მაშინ! ცხონებული ბებიაჩემი იხსენებდა: „იმდროინდელი, ბანიანი სახლები თოვლით იფარებოდა, მეზობლები თოვლში გაყვანლი გვირაბებით დავდიოდით ერთმანეთთან. ყინვები იცოდა ისეთი, ქვას ხეთქავდაო!" თუ როგორ სკდება ყინვისგან ხე, ამას მეც შევსწრებივარ: ეს ხდება დილით ადრე, როდესაც ტემპერატურა განსაკუთრებით დაბლა ეცემა. დღისით, მზეზე დამდნარი თოვლის სისველით ხის ტანი იჟღინთება. ღამით ეს წყალი იყინება და სოლივით აპობს ხეს, რასაც თან ახლავს საშინელი ჭახანის ხმა. იგივე ემართება ქვასაც, თუკი მას ბზარები აქვს და ყინვაც საკმარისად დიდია.

მოკლედ, დადგა ზამთარი. შეკრიბა ივანემ თავისი ბრიგადა და წავიდა ახალციხეში. შრომობენ, აშენებენ ქვის სახლს. ერთ საღამოს, ივანემ ბრიგადას გამოუცხადა: _ დღეს კარგად იშრომეთ, ერთი ქეიფი თქვენზე ალალია!

მოატანინა საგანგებო პურმარილი, ბლომად არაყი, დადგა თვითონ

თამადად და გახურდა ქეიფი! ივანეს ვინ გაუძლებდა, თანამეინახენი ისე დათვრნენ, ზოგმა იქვე, მაგიდაზე მიიძინა.

- ახლა კი დავისვენოთ, ხვალ ისევ სამუშაო გველოდება! - გამოაცხადა თამადამ და თავადაც გასწია დასაძინებლად. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველას ღრმა ძილით ეძინა, ჩაიცვა, ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ და სოფლის გზას დაადგა. უკუნი ღამე, მკერდის სიმაღლეზე თოვლი, ტყიდან ჩამოსული, დამშეული ნადირი და შორი გზა ... კარზე ფრთხილად დააკაკუნა. მეორედ, მესამედ.

ცოლი შეეხმინა: - რომელი ხარ?

- მე ვარ, ივანე!

- ამ შუა ღამით რამ მოგიყვანა? - გააღო ცოლმა კარი.

- მომენატრე ქალო და წამოვედი ...

ქალი დაახრჩო, კარი გამოიხურა და იმავე გზით დაბრუნდა. გამთენიას უკვე ახალციხეში, თავის საწოლში ეძინა. დილით გაიღვიძეს, ხელ-პირი დაიბანეს, ისაუზმეს და შეუდგნენ საქმეს.

ორი დღის შემდეგ: ივანე მეორე სართულის სარტყელზე დგას, ხელში შვეული უჭირავს და კედლის სისწორეს ამოწმებს. ამ დროს ქვემოთ დაინახა, რომ მისი ბიძაშვილი და ცოლისძმა ამოსულან სოფლიდან.

- ვანო, სოფელში უნდა წამოხვიდე.

- რაშია საქმე?

- შენი ცოლია ავად - ცუდი ამბავი „შეაპარეს“ ახლობლებმა. და აქ, პირველად ექვსი თვის მანძილზე, დაუშვა ერთადერთი და საბედისწერო შეცდომა:

- როგორ თუ ავად, ცოცხალია?!

ეს სიტყვები გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისა. თუმცა, მიუხედავად ეჭვებისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მისი დაკავშირება თათარი კაცის მკვლელობასთან, ასევე წარმოუდგენელი იყო, ადამიანს შუაღამით, თოვლში, ესოდენ მცირე დროში, ფეხით გაევლო ამხელა მანძილი ახალციხიდან სოფლამდე და უკან. ამიტომ სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს სამხილების არარსებობის გამო, მითუმეტეს, რომ ამას დაჟინებით მოითხოვდნენ თანასოფლელები და თვით სოფლის პირველი პირი, დიდად პატივცემული ბეგი, პეპელ-აღა(აბულაძე).

* * *

ერთხელ, უკვე ღრმად მოხუცი ვანო პაპა, სახლის წინ, მორზე ჩამომჯდარი, გაზაფხულის მზეს ეფიცხებოდა.

- გამარჯობა, პაპა - მიესალმა სამსახურისკენ მიმავალი სოფლის საავადმყოფოს ექთანი (თბილისელი გოგო იყოო, ძალიან ლამაზი).

- გაგიმარჯოს, შვილო - უპასუხა ვანომ და თან ეშმაკურად დააყოლა:

- გოგო, ამ დალოცვილ ღმერთს, რა იქნებოდა, ყველა ქალი შენნაირი ლამაზი გაეჩინა, ერთი ხომ მეც შემხვდებოდა?!

ქალს თან გაჰკვირვებია მოხუცის ფარული არშიყი, თან გასცინებია:

- მე რა ვარ, პაპა, შენ ჩემი და უნდა ნახო!

- შენც გენაცვალე და შენს დასაცა! - ჩაიღიმა მოხუცმა.

* * *

სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, გადაბრუნდა კედლისკენ და ტირილი დაიწყო.

თავს ეხვივნენ შვილები, რძლები, ნათესაობა... ერთ-ერთმა ვაჟმა შეუძახა:

- რა გატირებს მამა, არა გრცხვენია?!

- რა დღეა დღეს - უკითხავს.

- პარასკევი.

- ხო და, რო ვიცოდე დღეს წავალ და ორშაბათს დავბრუნდები, კი არ ვიტირებ: მივდივარ და ვეღარასდროს დავბრუნდები, მაგის დედა, მაგისიო! - ერთი მწარედაც შეუგინია ვანო პაპას.

მესხეთის მონატრება

მტერს შელეწილი ის ჩვენი კუთხე,
ღვთსმშობლის ღაწვს რომ ცრემლად ადნება,
დღესაც სამშობლოს ღამეებს უთევს,
დღესაც სისხლს მიცემს დაუმადლებლად!
ჩვენ, დაკარგული მისი ვაჟები,
თავჩაქინდრული ჩავცქერით ჭიქებს.
გადავირევით, გავგიჟ-მაჟდებით:
რამე მესხური შემოგვრჩა იქნებ?!
იმ შავლეგოსი, თუ არა ხმალი,
სიმღერა მაინც ვიცოდეთ, ნეტავ!
ხომ არ გამქრალა იმედი ხვალის,
გული გამხმარი, ჯერ კიდევ ფეთქავს!
მუხლისმოდრეკით და პიჯვრისწერით
პატიებას ვთხოვ სევდიან ტაძარს,
დამისხით ღვინო: სისხლი და ცრემლი,
ეს ბნელი ღამე კბილებში გავცრა!

ძმობა

ქეიფია ლექსოს ოჯახში. ოთახის კუთხეში ტყვიებით დაცხრილული ქვაბი შევნიშნე: - მაგ ქვაბს რა მოსვლია, სროლაში ვარჯიშობდით?

- არა, ეგ შალიკომ, ქეიფის დროს, გოლას თოფი რომ ესროლა, ვიღაცამ ლულაზე ხელი უტაცა და იმისგანაა.

- თოფი ესროლა?! რატომ?

- იმიტომ, რომ გოლა მაგიდასთან მჯდომ ლექსოს მიეპარა და თავში ნაჯახს ურტყამდა. კიდევ კარგი, დროზე წავართვით!

- ეგ რამღა გაამწარა?!

- ლექსომ ბესოს დედა შეაგინა და ...

ეჰ, კარგი კაცები იყვნენ, ეგ არის, როგორც მთიულების უმეტესობას, სიმთვრალე არ უვარგოდათ.
ხო, მთავარი დამავიწყდა: შალიკო, გოლა, ლექსო და ბესო ალალი ძმები იყვნენ!

იმერეთში, მოსმენილი ორი ამბავი:

სამმართველოს უფროსმა გამოგვიძახა თანამშრომლები:

- ეგერ, სამეზობლოში გადავიდეთ, სამძიმარზე და რომ დავბრუნდებით, ერთ კაი ამბავს მოგიყვებით.

ვიღაც კაცი რომ იყო იმ ქუჩაზე გარდაცვლილი, ქე გვქონდა გაგებული, მარა მანდამაინც მისვლა? კი გაგვიკვირდა, მარა უფროსს ხომ არ შევეკამათებოდით! უკან რომ მოვბრუნდით, უფროსმა კაბინეტში მიგვიპატიჟა. აქ მდივანს სუფრა გაეშალა!

- აბა, დაჯექით ახლა და მომისმინეთ. შენ ღვინო დაასხი მანამდე, ბიჭო! - უბრძანა ახალგაზრდა თანამშრომელს.

- ოცდაათიან წლებში, რეპრესიები რომ გახურდა, ჩვენი სოფლის თავჯდომარე, არ ვიცი, რის გამო, ერთ კაცს გადაეკიდა. სხვა რო ვერაფერი მიზეზი მოუნახა, რა მოიფიქრა თუ იცით? საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდი იყო. იმ გლეხსაც თავისზე გაპიროვნებულ ნაკვეთში ვაზის ნერგი უნდა ჩაეყარა, რომელიც მთავრობამ დაურიგა გლეხებს. ლაქია ყავდა ერთი ამ თავჯდომარეს, დაუძახა და დაავალა: „ესა და ეს კაცი დღეს ვაზს რგავს. ამაღამ მიხვალ, იმ ნერგებს ამოთხრი და უკუღმა ჩარგავო“. ასეთი საქმე სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ის გლეხი არათუ დაეპატიმრებინათ, დაეხვრიტათ კიდეც.

- თქვენი დავალება შესრულებულია! - უპატაკა მეორე დილით, ხელქვეითმა.

- აბა, სასწრაფოდ ,,აქტივი" შემიკრიბე! - ხელები მეიფშვნიტა გახარებულმა თავჯდომარემ, შეკრებილებს კი განუცხადა: - ამხანაგებო, შემოსულია სიგნალი, რომ ჩვენს კოლმეურნეებს შორის არიან ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც მავნებლობას ეწევიან სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ! ამიტომ მათი გამოვლენის მიზნით უნდა შემოვიაროთ და შევამოწმოთ ნაკვეთები!

როდესაც იმ გლეხის ნაკვეთს მიადგნენ, აღმოჩნდა, რომ ყველა ნერგი სწორად იყო ჩარგული. გადახედა თავჯდომარემ მოადგილეს. იმან, გაკვირვების ნიშნად მხრები ეიჩეჩა. ერთი კვირის თავზე, თვითონ ის თავჯდომარე დაიჭირეს და მას მერე არ უნახია კაციშვილს! ასე მგონია, იმ თავისმა მოადგილემ დააბეზღა, რომელიც მალე თავადაც უფროსის გზას გაუყენეს.

კაი ხნის მერე, სტალინი უკვე მკვდარი რომ იყო, ერთმა ჩვენმა სოფლელმა, სუფრაზე გაამხილა ეს საიდუმლო: შუაღამისას მიდიოდა, თურმე შინისკენ ნაქეიფარი. კაცო, დაუნახია, რომ ვიღაცა ნაკვეთში ფუსფუსობს გამწარებული. გადარეულა, ვის გაუგია ასეთ დროს მუშაობაო! ჩაუსაფრდა, დაუკვირდა და მიხვდა, რაშიც იყო საქმე: "პატრონს ღუპავს, ეს უნამუსოო!" - დაუცადა სანამ არ გადაშენდა ის

არაკაცი. დატრიალდა მერე ჯარასავით და გათენდებამდე ის ნერგები ისევ სწორად ჩარგო.

- ე, მაგ კაცის სამძიმარზე ვიყავით წეღან. ადექით ახლა ფეხზე და იმისი სულის ცხონების დავლიოთ!

ამბავი მეორე:

1939 წელს, ბიძაჩემი ჯარში რომ მიყავდათ, გამცილებლებს შორის, ერთი მეზობლის გოგოც ყოფილა, რომელიც ბიძაჩემს ნაყვარება. ჰო და, გაუბედია რავარც იქნა და უთქვამს: -მიყვარხარ ნამეტნავად და თუ შენც ვარს არ იქნები, რომ დავბრუნდები, ვიფსკვნათ ჯვარიო! არც ის გოგო ყოფილა გულგრილი. მიცეს ერთმანეთს სახალხოდ პირობა! ორი, თუ სამი თვის მერე, ჩემ დეიდებს უფიქრიათ: ვინმემ არ შეუცვალოს გუნებაო, მოკიდეს ხელი სარძლოს და წამოიყვანეს სახლში.

ჯერ ფინეთის ომში მოხვდა ბიძაჩემი. ამასობაში მეორე მსოფლიოც დაიწყო! შემოუარა ევროპას. ომის დამთავრებამ იტალიაში მოუსწრო. მეეწონა, ეტყობა, იქაურობა: დაისვენა კარგად ორი წელწადი, მარა ვეღარ მოუთმინა გულმა ბოლოს და წამოვიდა აქეთ. ზედ მოსკოვის ვაგზალზე ტაცეს ხელი და ციმბირის მატარებელში გადააბრძანეს:იქ უკეთ დაისვენებო!

1958 წელს დაბრუნდა ოჯახში, სადაც ცხრამეტი წელი ელოდებოდა საპატარძლო! დაქორწინდნენ. ლამაზი გოგო-ბიჭიც შეეძინათ! აპა!

ფეხბურთელი პაპა

სამოცდაათიან წლებში თბილისის „დინამოს“ მატჩებზე დასასწრებად აბონიმენტების გაყიდვა დაიწყეს. ერთ წელიწადს გურჯაანის „ალაზანი“ საკავშირო ჩემპიონატის "პირველ ლიგაში“ გადავიდა და აბონემენტები კახელებმაც დაბეჭდეს, მაგრამ გასაღება გაუჭირდათ. ამიტომ, კარდაკარ სიარულიც კი მოუწიათ. სწორედ ამ მიზეზით, ჩალაუბანში, მიხა პაპასაც მიადგნენ ჭიშკართან:

- მიხა პაპა, აბა ერთი, გამოგვხედე, საქმე გვაქვს! - გასძახეს მასპინძელს.

- რა საქმე, შვილო?

- რა და, აი, აბონიმენტი მოგიტანეთ!

- რისი აბონემენტი?

- რისი და, ფეხბურთისა.

- აბა, ეხლა მე მაგი მუხლები მააქ შვილო?! - გაიკვირვა ოთხმოც წელს მიღწეულმა მოხუცმა.

დაგვიანებული გაზაფხული

მამაჩემის მამა, პეტრე, ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა. 1921 წლის თებერვალში რუსული არმიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა. სოფელში მობრუნებულმა, ერთხანს მშვიდი, გლეხური ცხოვრებით იცხოვრა. 1929-ში, რეპრესიები უკვე კარგად გახურებული რომ იყო, ერთ თანასოფლელთან ჩხუბი მოსვლია, იმას კი სახალხოდ წამოუძახებია: - „ხომ არ გგონია, ხალხს დაავიწყდა, ვინ იყავი?! შენ რომ დადიხარ, ერთი ტყვია და ოთხი ფიცარი ზურგით დაგაქვს იცოდეო!“

იმავ დღეებში, ერთ ახლობელს, რომელიც რაიონულ ცენტრში, „უშიშროებაში” მუშაობდა, საიდუმლოდ გაუფრთხილებია: ,,შავი” სიებია მოსული, ცუდადაა შენი საქმე, დილამდე გაქვს დროო!

სახლში მობრუნებულს დაუჩივლია ბებიაჩემთან: - ქალო, ესენი მე არ გამაჩერებენ. წავალ, ცოტა ხანს დავიმალები. დაწყნარდება ქვეყანა და მეც დავბრუნდებიო. დატოვა ცოლი, ოთხი შვილი და რამდენიმე მეგობართან ერთად თურქეთში გადავიდა. 2-3 თვის მერე საფრანგეთში ჩავიდა. დასახლდა, ქალაქ სოშოში. აღარ დაოჯახებულა. იწერებოდა წერილებს. ზოგჯერ, ლექსადაც. შემდეგ, ამ ყოველივეს გამო, ოჯახსს რომ საფრთხე შეექმნა, იძულებული გახდნენ, წერილების მიღებაზე უარი ეთქვათ. ის კი არა, „კაგებ“-ეს მითითებით, ძველი წერილები და პაპაჩემის სურათებიც დაწვეს. მხოლოდ ერთი ლექსი, რომელიც მამიდაჩემს, მარიამს დაეზეპირებინა, დაგვრჩა მისგან სახსოვრად:

ტურფა წერო, გენაცვალე,
შესდექ, თხოვნა დამაცალე,
გულის ჭმუნვა გამაცალე,
ჭირი ლხინით შემიცვალე.
ცის სივრცეში დახვალ ფრენით,
გულს არ იკლავ მწარე ენით.
შემისმინე მცირე სმენით:
უცხო ვკვდები, უცხო სენით.
შენ გადარეგ მზეს და მთვარეს,
გადაფრინდი აწ ჩემს მხარეს,
მშობლებს ნახავ იქ მწუხარეს,
ცრემლებს ღვრიან სულ მდუღარეს!

სატრფოც ტირის თვალუშრობლად
და შვილები დამრჩა ობლად!
ჩამოჯექი მათ მახლობლად
ჩემი ამბის საგალობლად.
უთხარ ჩემგან სიყვარული,
დაუამე ტანჯულთ გული:
მოვა ტურფა გაზაფხული
და მოჰყვება ვარდს ბულბული!

1966 წელს გარდაიცვალა მარტოობაში. დასაფლავებულია ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე.

P.S. ღვთის წყალობით, 2013 წლის 14 ივლისს, მე და ჩემი მეუღლე, ნელი, ლევილში ჩავედით. მოვძებნეთ პაპაჩემის საფლავი. დავანთეთ სანთლები, ვილოცეთ, სოფლიდან წაღებული მიწა მიმოვაბნიეთ საფლავზე, ქართული ღვინო და ნაკურთხი წყალიც ვაპკურეთ! იქვე, ასეთი ლექსიც წარმოვთქვი:

როგორც იქნა, მოვედი და ვნახე
ის ადგილი, შენ რომ დაიმარხე
და მგონია, შენ საფლავთან მდგარ ხეს
მოხარული შენი სული არხევს.

ზამთარი

მიყვარს, მომცველი ყოვლის,
მშვიდი სიჩუმე თოვის,
ოდნავ შრიალი თითქოს
თეთრ ანგელოზთა ფრთების,
როცა ბუხართან მჯდომი,
არც რა სიამეთ მნდომი,
თვალებმილულვით მთვლემი,
თბები, ტკბები და თვრები.

სწორი არჩევანი

გორში მიამბეს: ჩვენს სოფელში ორი შოთა გვყავს: ერთი, ცალხელა, ისეთი დიდებული პიროვნებაა, ისეთი სათნო - ყველას უყვარს! მეორე, ფიზიკურად საღია, მაგრამ სულით მახინჯი, ბოროტი - მთელ სოფელს სძულს. სოფლის ამბავი მოგეხსენებათ: უმეტესობას მეტსახელი გვაქვს. მით უმეტეს, ორი შოთა ხომ უნდა გაგვერჩია ერთმანეთისაგან.

წესით ინვალიდისათვის უნდა დაგვეძახა ,,ცალხელა შოთა", მაგრამ ვიფიქრეთ: რაღა ამ კაი კაცს ვატკინოთ გულიო. ხო და, მეორეს დავარქვით: ,,ორხელა შოთა"!

„მოკვდეს მაგის . . ."

ვასიკოს დასაფლავებამდე ორი დღეა დარჩენილი. ბიჭები მაგიდას შემოსხდომიან, ქელეხისათვის საჭირო პროდუქტების სიას ადგენენ. მსჯელობენ, კამათობენ, რა უნდა იყიდონ, რამდენი, სად ... როგორც ყოველთვის, ჩემი წინადადება სამარხვო სუფრის გაკეთების შესახებ არ გავიდა. ამიტომ მოშორებით ვზივარ და ჩემთვის ვფიქრობ: ,,ბესო წავიდა, ვასია წავიდა. ეს ჩვენი სამეგობრო თანდათან მცირდება... ”

- მე რომ ვატყობ, აწი კაცი რაც მალე მოკვდება, ჯობია: დამმარხავი მეტი ეყოლება! - გავძახე ბიჭებს. გაეცინათ: - კი, ასე გამოდისო.

ევგენიძე მომენტს როგორ გაუშვებდა ხელიდან:

- ვინაიდან მე თქვენში ყველაზე უმცროსი ვარ, სიკვდილიც გვიან მეკუთვნის. დაგასაფლავებთ რიგრიგობით და ბოლო ვინც მოკვდება, წლისთავზე, მის საფლავზე თავს ჩამოვიხრჩობ - უსაშველოდ გაიხანგრძლივა სიცოცხლე დათომ.

ორიოდე კვირის შემდეგ, გიულის, ნათესავი გარდაეცვალა. დასაფლავების დღეს ქელეხის სამზარეულოში შრომობენ ვაჟა, რეზო და დათო. უეცრად, წინა ღამის ნაქეიფარ დათო ვგენიძეს გული ცუდად გაუხდა და იატაკზე გაიშხლართა. დაფეთდნენ ბიჭები.

- ვაჟიკო, შენი ჭირიმე, ხუთი წუთი მიცოცხლე ეგ კაცი და ახლავე რამე წამალს გავაჩენ! - კივის შეშინებული გიული.

ვაჟამ მშვიდად გაიშვირა ხელი ,,მომაკვდავისკენ” და გამოაცხადა:

- მოკვდეს ამის კარგიც ...! ეგ არ იყო, ყველას რომ გვასაფლავებდა?!

ძმა ძმისთვისაო

ერთხელ, ვაჟამ განაცხადა: კაპიკ-კაპიკ მაქვს ნაანგარიშები: თვრამეტი მილიონი დოლარი რომ მქონდეს, მე ხომ ბედნიერად ვიცხოვრებდი და ყველა ჩემს ნათესავ-მეგობარსაც, უზრუნველვყოფდიო!

ვიმხიარულეთ, ვიოცნებეთ!

რამდენიმე დღის შემდეგ გიული(კაცია) ამბობს:

- ვაჟასი არ იყოს, მეც ბევრი ვიანგარიშე და დავადგინე, რომ იგივე კეთილშობილური მიზნებისთვს ოცდაერთი მილიონი დოლარი მჭირდება!

- ბიჭოს, მე თუ თვრამეტი მილიონი ვიკმარე, შენ რა ხარ ასეთი, ოცდაერთი რომ მოინდომე? - აღშფოთდა იდეის ავტორი.

- იმ ოცდაერთიდან, თვრამეტი შენთვის მინდა ვაჟიკო, თორემ მე სამი მილიონიც მეყოფა! - გაიცინა გიულიმ.

დალევა, თუ მკურნალობა?!

შაბათ დღეს, გეგეშიძეს შევუარე სამსახურში (მორიგე იყო). რომ დამინახა, გახარებული წამოხტა, გაშალა ხელები, გადამეხვია და შესძახა: - ბიჭო, რამდენი ხანია, მე და შენ არ შევხვედრივართ, ხომ არ აღგვენიშნა?

კი იქნებოდა ასე, სამი-ოთხი დღე, ერთმანეთი არ გვენახა, მაგრამ მე დალევის განწყობა არ მქონდა და სასტიკი უარი ვტკიცე. არ გაჭრა არანაირმა ხვეწნამ! დავიწყეთ დომინოს თამაში. თან ვსაუბრობთ. იმ ხანებში, თბილისში დიფტერია იყო გავრცელებული. ვკითხე: - ბიჭო, ეს დიფტერია მართლა სერიოზული რამეა?

- კი, ძალიან საშიშია, მაგრამ აგერ სეიფში, შენთვის ერთი ამპულა მაქვს გადანახული, აგცრი და თავისუფალი ხარ! გასაღები ექთანს აქვს, ამიტომ ორშაბათს მოდი და.. მართლა, ხომ იცი, წინა სამი დღე ალკოჰოლი არ უნდა გქონდეს მიღებული! - გამაფრთხილა მერაბმა.

კარგა ხანს ვითამაშეთ. შეწუხდა ,,მასპინძელი”:

- ე ბიჭო, დავლიოთ თითო ჭიქა, კაცი არ ხარ?!

- კარგი, დავლიოთ! - ვეღარ გავუტეხე ხათრი.

- აგაშენა ღმერთმა! - მხარზე ხელი დამკრა და ტერიტორიის მოსუფთავება დაიწყო. უცებ გამახსენდა:

- მერაბ, წეღან ხომ გამაფრთხილე, ნემსის გაკეთებამდე სამ დღეს დალეული არ უნდა გქონდესო.

- მერე? - ცუდი უგრძნო გულმა.

- მერე და ორშაბათი ზუსტად მესამე დღე რომ გამოდის, როგორ იქნება ჩვენი საქმე?!

მერაბი შეცბა, წამით ჩაფიქრდა, მერე საჩვენებელი თითი აღმაშენებლის ძეგლივით ზე აღმართა და შესძახა:

– ნემსი სამშაბათს გავიკეთოთ!

* * *

ბეჟანმა ერთი დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ ერთ დღეში ორჯერ სცადა ხმის მიცემა, რაც დამკვირვებელს, მის თანასოფლელ ქალს, არ გამოეპარა: - არ გრცხვენია ბეჟან, შენ ხომ დღეს უკვე მეორედ შემოხვედი?

- ქალო, შენ სამჯერ გათხოვდი, არ შეგრცხვენია და მე აქ ორჯერ შემოსვლისა რათ უნდა შემრცხვეს?!

დაძალება ,,ვასიურად"

ერთი ხანობა, ვასიამ დაძალების ასეთი მეთოდი შეიმუშავა: თუ ვინმე დალევაზე უარს იტყოდა, ან თუნდაც, სასმისში ღვინოს ჩატოვებდა, იმის ჭიქას თვითონ გამოცლიდა და ამას ,,კაცის შერცხვენას" ეძახდა. როგორც წესი, ეს ხერხი ჭრიდა, მაგრამ ერთხელ ...

ქეიფია ბოლნისში, ჯიმშერთან. თამადა მერაბია, ვასია _ მოადგილე. რატომღაც, სუფრის წევრთაგან სამმა, დალევაზე უარი განაცხადა.

- მიხაილოვიჩ, ერთი შენებურად შემირცხვინე მაგენი! - გასცა ბრძანება თამადამ. ვასიამ ჩამოუარა სუფრას და სამივე ჭიქა გამოცალა. შემდეგი სადღეგრძელოა. დალია მერაბმა. რა თქმა უნდა - მოადგილემაც. ის სამი კაცი გაჯიუტდა.

- ბატონო თამადა, კიდევ შევარცხვინო? - გამოიჩინა ინიციატივა აზარტში შესულმა ვასიამ.

- მიდი! - ნება დართო მერაბმა.

მესამედაც რომ „შეარცხვინა" ის სამი კაცი, ვასიკო ისე დათვრა, რომ საკუთარ ჭიქასაც ვეღარ უმკლავდებოდა.

* * *

ზაფხულის პაპანაქებაა, იწვის თბილისი. სამსახურში, კონდინციონერიან ოთახში ვართ ჩაკეტილი და „პრეფერანსს" ვთამაშობთ. კარზე ბრახუნია.

- რომელი ხარ?

შეგვეხმიანა. ჩვენიანია! შემოვუშვით.

- ზაზა, უფროსი გეძახის.

- აუ, ჩემი ბედის დედა ... ხო ვიცი, სადმე გამგზავნის!

ზაზა გაჩხიკული, აწოწილი ბიჭია. ცოტ-ცოტას კი არა, ბევრ-ბევრ ,,პლანს" ეწევა. ახლაც "კაიფშია". ხუთ წუთში მობრუნდა და მოთქმა დაიწყო:

- ხო, ვთქვი, არა? დავიღუპე, ორხევში მაგზავნის. რა წავა ამ სიცხეში, როგორ მეზარება! მოვკვტები ნამდვილად მოვკვტები!

გვეცოდება, მაგრამ რას ვიზამთ.

- ბიჭო, ,,ევგენა", წამომყევი, რა მოხდება?! - შეევედრა უახლოეს მეგობარს, დათო ევგენიძეს (კომპოზიტორი არ გეგონოთ).

- ვაი, შენს პატრონს, მეტი საქმე არ მაქ!

- რაა, ბიჭო, აღარ ხარ ძმა? წამომყევი რა იქნება. გზაში რო მოვკვტე, მიპატრონებ მაინც!

- გადაშენდი იქით - ხელების ქნევით, ეშმაკეულივით იგერიებს დავითი. არ მოეშვა, სანამ არ დაითანხმა:

- ჯანდაბას შენი თავი, წამოგყვები!

მაგრამ აქ, ზაზას ახალი აზრი გაუჩნდა:

- ევგენა, ძმა, შენ ხო მაინც მიდიხარ და მე რაღას მიმათრევ?!

დათოს კივილი ცას წვდებოდა!

* * *

ზუგდიდში, პურმარილის სუფრას ერთი გოგონა გვიმშვენებდა, გვარად: ბებია. ისეთი ლამაზი იყო, ყველა დამსწრე მამაკაცი გაოგნებული შეცქეროდა!

მის სადღეგრძელოზე კომპლიმენტების კორიანტელი დადგა. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, წამოვდექი და მხოლოდ ეს ვუთხარი: - ნეტა შენ ჩემი ბებია იყო-მეთქი!

უცნაური სიზმრები

რვა წლის ვიყავი. ერთ საღამოს მამაჩემს კუჭის წყლული გაუსკდა. სასწრაფოდ ოპერაცია იყო საჭირო, რომელიც დილით ადრე უნდა გაეკეთებინათ, თუმცა ექიმები გადარჩენის იმედს თითქმის არ იძლეოდენ. წინა ღამით ასეთი ხილვა მქონდა:

მოპირდაპირე კედლიდან, რომელსაც დაწოლილი შევცქეროდი, შუაღამით ნელ-ნელა გამოვიდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი. საოცრად გაბრწყინებული ხატი ჩემსკენ მოძრაობდა. ასე, ხელის გაწვდენაზე გაჩერდა ორიოდ წუთს და შემდეგ ისევ ნელ-ნელა, კედელშივე გაქრა. დილით, ნანახის შესახებ ბებიაჩემს მოვუყევი, რომელიც ღრმად მორწმუნე იყო. თვალცრემლიანმა პირჯვარი გადაიწერა და ჩაიჩურჩულა: - გმადლობ შენ, უფალო! ესეიგი, ჩემი შვილი გადარჩება!

ასეც მოხდა!

1994 წლის ივლისი. სიზმარში ვფიქრობ:

- ვინ იცის, რამდენი ბოროტება, რამდენი სიბინძურეა ჩემში! როგორ უნდა მოვიქცე, რათა გავთავისუფლდე ეშმაკეულისგან?

წამსვე ჩამესმის: - "პირჯვარი გადაიწერე."

გადავიწერ პირჯვარს. ჩემს შიგნით რაღაც აბორგდება, აიშლება. - ,,კიდევ უნდა გადაიწერო პირჯვარი"

ამჯერად ხელს ძლივს ვიმორჩილებ, რაღაც ძალა მეწინააღმდეგება. ჩემში უკვე გრიგალი მძვინვარებს, ისმის უცნაური ხმები, ნამდვილი ჯოჯოხეთია!

- ,,მესამედაც!"

ხელს ვეღარ ვატოკებ, მაჯაზე დავიხედავ: რაღაც შავი აჩრდილი მაწევს. უკანასკნელ ძალებს ვიკრებ. მარჯვენა ხელს მარცხენას ვახმარ. უდიდესი გაჭირვებით ვახერხებ მესამედაც პირჯვრის გადაწერას. უეცრად, პირიდან საშინელი შხუილითა და წივილით ამოვარდება რაღაც ცეცხლოვანი ქარიშხალი და სადღაც, უსასრულობაში გადაიკარგება. საოცარი შვება და ამავე დროს შიში მეუფლება. ვგრძნობ სისუსტეს. ცივი ოფლი მასხამს, მაკანკალებს. ვხედავ: გვერდით საწოლში, კარგა ხნის წინ გარდაცვლილი, ბებიაჩემი წევს. გადავწვები მასთან. მივეხუტები. შუბლზე მეამბორება და ჩამჩურჩულებს: ,,დამშვიდდი, ნუღარაფრის გეშინია, ახლა შენ თავისუფალი ხარ!"

უთენია გამეღვიძა. ჯერ ისევ სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, საჭირო ტანსაცმელი ჩანთაში ჩავალაგე და ჯვრის მონასტერს მივაშურე. იქ, ჩემი მეგობარი, არქიმანდრიტი, მამა ბასილი (მაჩიტაძე) მეგულებოდა.

ჯვრის მონასტერში მარიამობის დღესასწაულამდე დავრჩი. მოსაგონარი უამრავი რამ მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,ხუთშაბათობა", რიტუალი, რომლის შესახებ მანამდე არ მსმენოდა: ყოველ ხუთშაბათს, ღამით, მონასტრის წევრები (მოძღვარი, ბერები, მორჩილები და ჩემნაირი სტუმრები), დაიყოფიან შვიდ თანაბარ ჯგუფად. ერთი ჯგუფი, მოძღვრის ხემძღვანელობით, ტაძრის წინ, სამრეკლოსთან რჩება. დანარჩენები განლაგდებიან გარშემო, ექვსი მთის წვერზე. ღამის 11 საათზე სამრეკლოზე ზარს შემოკრავენ. იწყება ლოცვა. ჯგუფის წევრები ყოველ ნახევარ საათში ენაცვლებიან ერთმანეთს. ერთს დიდი ჩირაღდანი უჭირავს და მკითხველს უნათებს.

წარმოიდგინეთ: შუაღამეა. თავს ზემოთ გაკრიალებული, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. დგახარ მთის წვერზე, რომელიც ჯვრის მონასტერს გადმოცქერის. გარშემო, ექვსგან, ჩირაღდნები ციმციმებენ. ქვემოთ: არაგვი და მტკვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო ... და შენ, თვალზე ცრემლჩამომდინარე, მხურვალედ მლოცველი, ამ დიდებული, უსასრულო სამყაროს ციცქნა ნაწილი!

დილის 6 საათზე რიტუალი მთავრდებოდა. ჩავდიოდით ტაძარში და ახლა უკვე იქ, კიდევ ერთ საათს ვლოცულობდით. არა, არც გვეძინებოდა, არც ვიღლებოდით!

იქაურ ბერ-მორჩილთ, კარგი მგალობელნი ნამდვილად ვერ ეთქმოდათ: ხმები ერეოდათ, ტონალობაც. მამა ბასილს შევთავაზე: – თბილისში მყავს ერთი-ორი ნაცნობი, ამ საქმის მცოდნე. შემიძლია ამოვიყვანო, რათა ბიჭებმა სწორად გალობა შეისწავლონ.

- მე მაგათი ,,სწორად" გალობა არ მაინტერესებს, მთავარია გულით იგალობონ! - ასე მიპასუხა.

ერთ დღეს უცნობი ბიჭები ამოვიდნენ მანქანით. თან მოიყვანეს ვიღაც ახალგაზრდა რუსი, რომელიც ყავარჯნების დახმარებით, ძლივს გადადგილდებოდა. მიშა მოსკოველი იყო. იმ გაზაფხულზე საშინელი ავარია მოსვლოდა. თავის ქალიდან ფეხის თითებამდე, ერთი ძვალი არ დარჩენია მთელი. სასწაული იყო მისი გადარჩენა. ორი თვე კომაში იყო. სწორედ მაშინ ჰქონია გამოცხადება: მოხუცი, თეთრწვერა კაცი ეჩვენა. უთქვამს: ,,შენ არ მოკვდები. მაგრამ როგორც კი მოძრაობას შეძლებ, ივერიაში უნდა წახვიდე და იქ ბერად აღიკვეცოო”

როდესაც მოიკეთა, კარგა ხანს ვერ არკვევდა, თურმე, სად მდებარეობდა ივერია. ბოლოს, მეგობარს დაუდგენია ერთ ეკლესიაში. გაყიდა სახლი, რაც კი რამ გააჩნდა. ჩამოფრინდა თბილისში. აეროპორტში პირველივე შემხვედრი ბიჭებისთვის უკითხავს: უახლოესი მონასტერი სად არისო. იმათ კი მადლი მოისხეს და ,,ჯვარზე” ამოიყვანეს.

ასე, სამი თვის შემდეგ, მონასტერში ძველ ნაცნობთა მოსანახულებლად მისულმა აღმოვაჩინე, რომ მიშას ამ ხნის მანძილზე არა თუ ქართულად საუბარი, წერა-კითხვაც ესწავლა და ყავარჯნებსაც აღარ ხმარობდა!

ვასია და მუშაობა?!

ვასიას სახლის მეორე სართულს ვაშენებთ. მერაბი ბეტონს ზილავს და ვედროებს ავსებს. ჩვენ ამ ვედროებს საკმაოდ შორ მანძილზე ვეზიდებით. პაპანაქება სიცხეა. სიკვდილია ვასიასთვის მუშაობა, მაგრამ რა ქნას, ჩვენ ვმუშაობთ და თვითონ ყურებას ხომ ვერ დაგვიწყებს?! არა და, ღვინო ჩაციებულია, სამზარეულოდან ჩაქაფულის მაცდური სურნელი ამოდის!

- ტანია, რას შვები - ყოველი რეისის შემდეგ ღრიალებს მასპინძელი.

- ეხლავე ვასიკო, ათ წუთში მზად იქნება - პასუხობს დაფეთებული ტასიკო.

- შენ გენაცვალე, ასეთი ყოჩაღი ცოლი ჯერ არ მყოლია! - ჩაიბურტყუნებს ვასია და მერაბისაკენ მიიზლაზნება. ეს მერაბიც ისეთი მონდომებით ავსებს ვედროებს, წელში გაგვწყვიტა. მივიდა ვასია, ვედროები ძირს დაანარცხა და გამწარებულმა შესძახა: - კარგი რა მერაბ, ესაც ჭიქა ხომ არაა, ცოტა დააკელი!

* * *

ბადრის ყელის კიბო აღმოაჩნდა. ყველანაირი მკურნალობა სცადეს, მათ შორის, ოპერაციაც ლენინგრადში, მაგრამ ამაოდ: მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. თუ კი ვინმე ზრუნავდა და ეხმარებოდა, უპირველესი მათ შორის, ნოდარი იყო, ბავშვობის მეგობარი. სრულიად მოულოდნელად, თავად ნოდარს აღმოაჩნდა ფილტვების კიბო! არანაირი მკურნალობა, პირიქით, ქეიფს უმატა.

ერთხელ მის სანახავად მისული მეგობრისთვის, უკვე ლოგინად ჩავარდნილ ბადრის უთქვამს: - რაღაც წამალი გამოუგონიათ ამერიკელებს, ძალიან ეფექტური.

ნოდარმა ხელები გაშალა და შესძახა : - შენ რა, სულ გამოშტერდი? რა წამალი, რის წამალი! ვიბრიდებით ბიჭო, რით ვერ გაიგე: მორჩა ყველაფერი, დამთავრდა!

მალე ბადრი გარდაიცვალა. ერთ თვეში - ნოდარიც.

* * *

ვახომ მომითხრო, ყაველაშვილმა: ერთი საწყალი ებრაელი გვყავდა საჩხერეში, მოშია. ერთხელ სტადიონთან ვდგავართ. გავიხედეთ, მოდის, მაგარი ნაცემი, სლუკუნ-სლუკუნით: ცრემლები ცხვირ-პირიდან წამოსულ სისხლს ნიკაპთან უერთდებოდა. იქვე, ჩვენ წინ, ტალახში ღორი გორავდა, ისე საზიზღრად ამოგანგლული, ღორის პირობაზეც კი ნამეტანი იყო! გაიშვირა მოშიამ ხელი და ამოიკვნესა: - ვადაი, ამას რო კაცი შეჭამს, შენ დაგზოგამს ისი?!

* * *

იშხანას, ქართველი სიძის მხრიდან, შვილიშვილი შეეძინა. მიულოცეს თანამშრომლებმა და რა დაარქვითო, კითხეს.

- ირაკლი დაარქვეს, რა.

- შენ რაღაც უკმაყოფილო ჩანხარ, ბიჭო.

- ჩემი სახელი მინდოდა, რა.

- კარგი ახლა, იშხანას ხომ არ დაარქმევდნენ?!

- რატო, ძმაო, დურმიშხანა რო დაერქმიათ, ხო შეიძლებოდა!?

* * *

- ნახე ვალოდიას რა ბედი ქონია?! - მეუბნება დედაჩემი მეზობელზე, რომელიც ორი კვირის წინ დავასაფლავეთ.

- რა ბედზეა ლაპარაკი, დედა, მოკვდა კაცი!

- უი, არ იცი შენ?! გასულ კვირას, მაგის სამსახურში, კონტროლის პალატა შესულა. რომ არ მომკვდარიყო, ნამდვილად დაიჭერდნენ!

* * *

ორმოციანი წლების ბოლოა. იმერეთიდან ჩამობრძანდა საგანგებოდ გამოწკეპილი, სამოცდაათ წელს მიტანებული აზნაური, ალექსანდრე მესხი(დედაჩემის მამის ძმა). ტრამვაიში ავიდა საშინელ ჭყლეტაში. უცებ, მოუბრუნდა ვიღაც ქალი და გაკაპასებულმა უყვირა:

- რაშია საქმე, რატომ მაწვებით!

- ქალბატონო - პასუხობს ალექსანდრე - მაწვებიან და გაწვებით, თვარა, სხვა დროს როდის მოგაწექით?!

* * *

სანდრო პაპას ახალგაზრდობიდან გამოყვა ორი ცუდი ჩვევა: ყოველდღე სმა და დესერტად, ცოლის ცემა. არადა, ისეთი სუსტი ცოლი ყავდა, თვითონვე დასცინოდა: - ცომში ხელებს რომ ჩაყოფს, თუ არ მივეშველე, უკან ვეღარ ამოუღიაო!

მამაჩემის საყვედურს: - განა შეიძლება, თურმე ცოლს ყოველდღე სცემო?! - სამოცდაათ წელს გადაცილებულმა სანდრომ ასე უპასუხა:

- აბა რა ვქნა, გენაცვალე? ორ დღეში ერთხელ რომ ვცემო, ორმაგი დოზა მოუწევს და ვერ გაუძლებსო!

* * *

ზაური იხსენებს: ტაქსიზე რომ ვმუშაობდი, ქურთი მეწყვილე მყავდა, იურა. წაუყვანია ძეგვში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მოხუცი კაცი. იქ, ერთ შენობასთან გააჩერებინეს მანქანა. ახლავე მოვალთო და გადავიდნენ. მოხუცს გაესაუბრა. იმან კი ასეთი რამ უთხრა:

- ეგ ბიჭი ჩემი შვილია, ქალი კიდე - რძალი. ჩემი ხელით აშენებული სახლიდან მაგდებენ. აქ იმიტომ ჩამომიყვანეს, მოხუცთა თავშესაფარში უნდა დამტოვონ.

გადარეულა იურა: - შენ ნუ გეშინია, ბიძაჯან, მაგათი დედაც...! დაახვია მანქანა და ჩამოიყვანა მოხუცი უკან, სახლში!

უჩივლია იმ ცოლ-ქმარს: გზაში დაგვყარაო! აგდებდნენ სამსახურიდან იურას. იმას კი უფროსთან თავი ასე უმართლებია:

- აი, ხაზეინჯან, შენ ეგეთ რამეს იზამდი, რასაც ის უნამუსოები აპირებდნენ?! მე ხო ქურთი ვარ, არა? მე ეგეთ რამეს არ ვიზამდი, გინდა გამაგდე!

გაეცინა უფროსს: - წადი, იმუშავეო!

* * *

რაღაცის გამო, გივიზე ვთქვი: ამას სკლეროზი აქვს-მეთქი.

- ბებიაშენისამ, არავითარი სკლეროზი მე არ მაქვს - გააპროტესტა გივიმ.

- ჰო, ჰო, ჰო! ისეთი სკლეროზი აქვს, ისიც კი აღარ ახსოვს, რომ სკლეროზი აქვს! - მივაყენე საბოლოო დარტყმა!

* * *

თემური მომიყვა, არაბიძე: - სოფელში, მეზობელი ბიჭი მისულა მამაჩემთან ფულის სათხოვნელად:

- ნოდარი ბიძია, ახალი სახლის აშენება გადავწყვიტე!

- აგაშენოთ ღმერთმა, ბიძია!

- ხოდა, ხუთასი დოლარს თუ მასესხებ, საძირკველს შენს სახელზე ჩავაგდებ!

მეზობელს უარს როგორ ეტყოდა, მარა...

- ბაბუ, მოდი აგერ! - დაუძახა შვილიშვილს - ამ კაცს ჩვენი ვალი ექნება, ხუთასი დოლარი და დეიმახსოვრე!

- მასე რატო იძახი?! - იუკადრისა მეზობელმა.

- რავა რატო, სახურავზე რომ დაგკლებოდა მაგ ფული, კიდო მესმის! საძირკველიზა რო კაცი ფულს ისესხებს, მაგის დაბრუნებას მევესწრები მე?!

საზღვარგარეთ მიმავალ მეგობარს

შენ უცხოეთის გიხმობს მაგია,
გესმის გუძონის ღიღინ-დუდუნი,
მაგრამ სამშობლო სულ სხვა ბანგია:
ტკბილ-მწარე, ერთად გადაბურდული.

იქ ემპაირი მშვიდად ირწევა
და ჰოლივუდის ბოდავს პლანეტა.
თბილისი მკლავზე წამოიწევა,
დაჭრილი სიკვდილს რომ არ დანებდა.

მიდიხარ და სულს ისე მიითრევ,
როგორც ლაბადას მთვრალი პოეტი.
ამ ბედისწერას ვერ აირიდებ,
გული, როგორც შუბს, ზედ წამოეგო.

უცნაურია ბედი ქართველთა
და დღეს ხიფათი, ალბათ, მეტია.
არ იქნა, გული აღარ გამთელდა
და მაინც გული არ გაგვტეხია!

* * *

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში მივლინებით ჩასული, მოვხვდი ოჯახში, რომლის წევრებიც იყვნენ: სამოც წლამდე ასაკის ქალი და ორი პატარა ბავშვი. ამ ქალმა ასეთი ამბავი მომითხრო:

,,ექიმი გახლდათ ჩემი ვაჟი, ქირურგი. გარეგნობით, განათლებით, სიტყვა-პასუხით, თუ რითი გნებავთ, ამ ქალაქის თვალი იყო, ყველასგან გამორჩეული! დავიღუპე ერთ დაწყევლილ დღეს. ინფარქტით გარდაიცვალა. დაკრძალვიდან ორი კვირის თავზე, მის საფლავზე ახალგაზრდა გოგო ნახეს მკვდარი: თავი ჩამოეხრჩო იმ უბედურს!

აბა, ეს ამბავი რავა დაიმალებოდა: საყვარელი ყოფილა ჩემი შვილის! გადავიდა ჭკუიდან ჩემი რძალი, აქ ხო თეფში და ჭიქა არ დატოვა მთელი, იმ ქალის სახლისკენ იქაჩებოდა: თმებით უნდა ვათრიო ის გათახსირებულიო! დეესიენ აქეთ მეზობლები, იქეთ დაქალები: - მოკვდა, გოგო, მოკვდა, აწი რაღაა მისავარდნიო!

დაწყნარდა, რავარც იქნა, მარა …

ხმა გავარდა ქალაქში: მკითხავია ჩამოსული თბილისიდან, რომ არ მოსწრებია აქოურობას, იმფერიო! წასულა ეს ჩემი რძალი (რა ჰქონდა სამკითხაო!).

იმას: - ქმარი გყავს გარდაცვლილი ხო?

- კი, ბატონო.

- საყვარელი ნაყოლება. აღარც ის არის ხომ ცოცხლი?

- ძაღლი მიაკვდა სულში!

- ხო, და, აქანა ხომ გეცილებოდა ქმარს და, იქ თლათ დაეპატრონაო!

- რას ქვია: „დაეპატრონაო!“ - გაიქცა სასაფლაოზე ის ჩემი ცოდვით სავე და იმავე ხეზე ჩამეიხრჩო თავი. იქ, საიქაოში გაეკიდა საომრად! ეს ბაღნები ქე დამიტოვა გასაზრდელად.”

* * *

ოთხი წლის დათუნამ, ბაკურიანში, როდესაც კითხეს:

- საიდან ხარო?

- ამაყად უპასუხა: - საქართველოდან!

ჩვენი გემი

ეს არის ორად მოკეცილ მუყაოზე განლაგებული ქაღალდის სამი გემი: ერთი, დიდი - ”SANTA MARIA" წინა პლანზე და ორიც, შედარებით პატარა - მის უკან. ამ გემებით, კოლუმბი და მისი ექსპედიცია ამერიკის ნაპირებს მიადგა. გადაშლი ალბომს და ულამაზესი გემები ნელნელა წამოიმართებიან, რაც ჩემი შვილიშვილის აღფრთოვანებას იწვევს!

ეს სათამაშო, მამაჩემმა რომ მიყიდა, მაშინ მე ზუსტად დათუნას ხნისა ვიყავი. ჩემს შემდეგ, სათამაშომ ჩემი შვილის ხელში გადაინაცვლა. და აი, ახლა, მის შვილს ახალისებს.

ასე გამოიარა ,,კოლუმბის გემმა" ორმოცდაათწლიანი გზა ჩემი ბავშვობიდან, ნანას ბავშვობის გავლით, დათუნას ბავშვობამდე!

მშვიდობით მოგზაურობას გისურვებ ჩვენო ერთგულო ხომალდო!

* * *

თამრიკო იხსენებს: ოთხმოცდაცამეტის ზამთარი მოგეხსენებათ, რა კოშმარი იყო. მე და ჩემი დაქალი ერთ მოციცქნულ, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. არა შუქი, არა გაზი, შეშაც ჭირდა. რაიმე ინსტრუმენტზე ხომ ლაპარაკიც არ იყო! მაგრამ უმუსიკოდ რა გაგვაძლებინებდა: მაგიდაზე პიანინოს კლავიშები დავხატეთ. ასე ,,ვუკრავდით", ვმღეროდით და შენ წარმოიდგინე, რამდენიმე კარგი სიმღერაც დავწერეთ!

* * *

ზღვის ნაპირას ვსხედვართ.

ქალი მოგვიახლოვდა. ხელში ბანქო უჭირავს:

- ხომ არ გინდათ, გიმკითხაოთ?

- ეგეც თუ ვერ გამოგიცნია, რაღა მკითხავი ხარ?!

* * *

ბეჟანს მეზობლის ქალთან მოუვიდა ჩხუბი. მეორე დღეს შვილი მიუვარდა:

- შენ აგინე დედაჩემს?!
- ვაგინე!
- როგორ, პირში აგინე? - დაიბნა მომხდური.
- არა, წავკუზე და უკნიდან ჩავძახე!

* * *

სამშობიაროს მოსაცდელში ჩოჩქოლი ატყდა. იმ ადგილს მივაშურეთ მე და გიზომ, სადაც ხალხი შეყრილიყო. სკამზე დადებულ, ბაზრის დიდ ჩანთაში, ნაჭრებში გამოხვეული ასე, ერთი კვირის ბავშვია. გვერდით საწოვარიანი ბოთლი საკვებით უდევს და წერილი: “მაპატიე, შვილო!“. შეიქნა კითხვა, მსჯელობა: "ვისია, საიდან გაჩნდა?" ვიღაცამ გაიხსენა: ,,რამდენიმე წუთის წინ ახალგაზრდა ქალი შემოვიდა ამ ჩანთით ხელში და სკამზე ჩამოჯდა. ეტყობა, იმან დატოვა". აღარ ვიცოდით, რა გვექნა! ზოგმა თქვა: მილიციას შევატყობინოთო; ზოგმა, სამშობიაროს დირექციამ გადაწყვიტოსო. ერთი ახალგაზრდა ოფიცერი აქტიურობდა: ჯერ გაარკვია, რომ ბავშვი ბიჭი იყო. მერე გარეთ გავიდა და კარგა ხანს მობილურზე ლაპარაკობდა. უკან მობრუნებულმა ბავშვი ხელში აიყვანა: "ამას მე მივხედავო!" ბავშვი ეზოში მდგარ მანქანაში მჯდომთ მიაწოდა. ისევ შემოვიდა. მივესიეთ: აგვიხსენი, რა ხდებაო!

- ჩემი და უშვილოა. რამდენი წელია გატანჯეს: ხომ იცით, ბავშვის აყვანა ახლა რამხელა პრობლემაა. იმას ველაპარაკე. გაგიჟდა სიხარულით. ნამდვილად, ღმერთმა გამოგვიგზავნა ეს ბავშვი!

ამ დროს დერფანში გოგონა გამოჩნდა თოთო ბავშვით ხელში.

- აი, ჩემებიც მოვიდნენო! - დაიძახა ბიჭმა. მიირბინა, მოეხვია, ჩაკოცნა! თან მიჰყავდა მანქანისაკენ, თან მეუღლეს მომხდარის შესახებ უამბობდა. ბევრ ჩვენგანს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე!

განა, უცნაური არ არის ცხოვრება? რაღაც 20 წუთის განმავლობაში ერთი პატარა კაცის მომავალი სამჯერ შეიცვალა: ჯერ დედამ, ვინ იცის, რა გაჭირვების გამო, ბედის ანაბარა მიატოვა; მერე კინაღამ უპატრონო ბავშვთა სახლში აღმოჩნდა; ბოლოს კი ღვთის წყალობით, პატრონიც გამოუჩნდა!

* * *

ნუღარ მაძალებთ დასალევს,
მე ჩემი წილი დავლიე,
ყველა სასმისი დავცალე,
ფიქრებიც ავრივ-დავრიე.

აღარ მომთხოვოთ სიმღერა,
უკვე ვიმღერე სამღერი,
გული მალ-მალე იღლება,
ზედ ეჭიდება ნაღველი.

ნუღარ მიღიმი ლამაზო,
აღარ შემფერის ანცობა,
თუმც გრძნობა კვლავაც ალმასობს _
მაქეზებს ახლოს გაცნობას!

ჩემი დრო ამოიწურა
და არ ვარ გულდაწყვეტილი.
ახლა სხვა მხარეს მივცურავ,
შორს მოჩანს მრავალწერტილი . . .

* * *

ბესოს სანახავად საავადმყოფოში მისულმა მეგობრებმა, ,,ხელცარიელები ხომ არ მივალთო" - პალატაში შესვლის წინ, ჯიბეები მოიფხიკეს. ფული ბალიშის ქვეშ შეუცურეს. კარგა ხანს ილაზღანდარეს, გაართეს ავადმყოფი. რომ შეატყვეს, დაიღალაო, გამოემშვიდობნენ. გარეთ გამოსულებმა: ,,აფსუს, რა "სასტავი" ვართ, ჩვენი ასე დაშლა ცოდვა არააო?!", მაგრამ რას იზამდნენ, კაპიკი აღარავის ჰქონდა. ვაჟამ მოიფიქრა: - წინ შაბათ-კვირაა, ექიმები ისვენებენ. ბესოს ეგ ფული არაფერში დაჭირდება. გვასესხოს და ორშაბათს ჩავასესხებთ!

ორშაბათს ვალი დააბრუნეს, იმ დღეს კი მაგრად იქეიფეს!

* * *

ჩვენი ,,მემატიანე", რომანა ყვება: მანქანა გაგვიფუჭდა კახეთში, სტარტერმა გააუჩმახა. მოგვეხმარნენ სოფლის ბიჭები, დაღმართამდე მიაგორეს: დაეშვი და ეგ არიო!

მძღოლი შეეჭვდა: - ვითომ აქ დაიქოქება?

- ვერან, აქა ბოჩკა რო დააგორო, ის დაიქოქება! - იკრიჭება ერთი.

- ჯო, შენ მანქანას მატორი ააქ?! - მხარი აუბა მეორემ.

* * *

მე და თანამშრომელი გოგონა წნორში ვიყავით მივლინებით. ერთმა ადგილობრივმა დაიჩივლა: - ჯო, იგეთი ჯანღი იყო გზაზე, ძლივ ჩამოვაღწიე!

- ჯანღი რა არის? - იკითხა ჩემმა თანმხლებმა.

- როგორ თუ რა?! ნისლი, ბურუსი - პასუხობს გაოცებული ბიჭი.

- პირველად მესმის, ეგ ალბათ თქვენებური სიტყვაა, კახური - მხრებს იჩეჩავს გოგონა.

- რას ამბობ, ოუ! მა ისიც კახელი იყო, ,,ჯანღი გურიაში" რო დაწერა?!

* * *

- „გურჯაანის პოლიკლინიკაში მიველ. ჰო, შამაწუხა რაღაცამ, მა ისე რა მინდოდა?! ხო, და აქეთ მივდექ, იქეთ ...

– აი, იქ, რეგისტრატურაში მიდი და შენი ისტორია მოგვიტანეო.

მივედი. ვუთხარი გვარი, სახელი.

– ჩემი ისტორია მომეცით-მეთქი.

- კი, ბატონო, ოღონდ ჯერ, ოცი ლარი უნდა გადაიხადოთო.

- რას ამბობ, შვილო, გუშინ შვილიშვილს საქართველოს ისტორია ვუყიდე, ათი ლარი გადავიხადე და ჩემი ისტორია ოცი ლარი ღირს– მეთქი?!

* * *

1999 წლის ზამთრის საღამოა. ზესტაფონი უკუნშია ჩაფლული. საბედნიეროდ, ჩემ მასპინძელს გენერატორი აქვს, ამიტომ მთელი სამეზობლო აქ არის შეყრილი: ზოგი ნარდს თამაშობს, ზოგი – დომინოს, ზოგიც – ჯოკერს. უცებ, სინათლე ჯერ აციმციმდა, მერე ავბედითად მიიბჟუტა და ბოლოს ჩაქრა.

- დაგავიწყდათ არა სალიარკის ჩასხმა? გადით გახედეთ! - გაბრაზდა დავითი.

ფანრებითა და სანთლებით შეიარაღებული რამდენიმე კაცი ეზოში გაიძურწა. ასე, თხუთმეტი წუთის შემდეგ, რაღაც ნაწილით ხელში შემობრუნდნენ.

- გაჭედილია!

- გაიჭედებოდა, აბა რა იქნებოდა, ბაკის ძირიდან ჭუჭყი შეიტანა, ეტყობა.

- რამე, წვრილი მავთული უნდა.

კარგა ხანს იწვალეს.

- არა, მავთული არ უშველის, წნევით უნდა ამას დაბერვა.

- ე, ბიჭო, მალხაზა, მოდი, დოუბერე!

- მე რატო?

- რატო და, რო შეგვიჭამე ტვინი: წნევა მაქვს, წნევა მაქვსო, ჰე, დოუბერე ახლა!

* * *

საჩხერეში: - დაგენაცვლე, ისაიამ იმრაინი პენალტი დაარტყა, სტალინი ვერ აიღებდა!

თელავის ბაზარში: - აბა, ნახე, გენაცვალე, როგორი ყვარყვარა მაყვალია!

,,ქალი რო თავსაფრით თავს წაიკრავს, ესე იგი უნდა, რო თავისი გაიტანოს. თუ ქალმა ერთხელ თავისი გაიტანა, შენ თვალზე მთელი ცხოვრება ცრემლი არ შეშრებაო! - არიგებდა, ქორწილის წინ თელაველ ზაზას პაპამისი.

MADONNA MIA !

1988 წლის ზაფხულში, სამსახურის საქმეზე, ლანჩხუთში მომიწია ჩასვლა. კარგად აღარც კი მახსოვს, რომელ ორგანიზაციაში. რაღაც, ნავთობსადენებს უკავშირდებოდა. აღნიშნული დაწესებულების შენობას გვერდით, დასასვენებელი პარკი ჰქონდა, რომლითაც იქვე მდგომი, ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მობინადრენიც სარგებლობდნენ. პირველივე დღეს შევნიშნე: პარკის შუაგულში, ღია ფანჩატურში, მოხუცი, სლავური იერის მქონე ქალბატონი იჯდა. ჩემი ინტერესი ამ ქალის მიმართ აქვე დამთავრდებოდა, რომ არა ერთ-ერთი თანამშრომელი რომელმაც მითხრა: - მაგ ქალს, ერთი თვის წინ, ასი წელი შეუსრულდა!

- რამდენი?! - ჩავეკითხე გაოცებული.

- აბა! ნამდვილად ასი წლის გახდა! საპენსიო საბუთიც მაქვს ნანახი. აქედან ნახევარი, მაგ სახლში აქვს გატარებული. საცოდავს არც არავინ ჰყავს დუნიაზე. არის ასე, გამხმარი ხესავით შემორჩენილი ამ ქვეყანას.

- ქართველი არ უნდა იყოს.

- კი, რუსია, თუ უკრაინელი, ზუსტად არ ვიცი.

რა გული გამიძლებდა, რომ არ გამოვლაპარაკებოდი. როგორც კი თავისუფალი დრო მოვიხელთე, მივედი, მოწიწებით მივესალმე და მისი ნებართვით, იქვე ჩამოვჯექი. საუბარი უცებ აეწყო. ეტყობოდა, თანამოსაუბრეს ნატრული იყო. მალე სახლშიც მიმიპატიჟა ფინჯან ჩაიზე, თავისი თავგადასავლის საამბობად და ფოტოსურათების დასათვალიერებლად.

დამიჯერებს ვინმე, რომ ვთქვა: ლამაზი ქალი იყო-მეთქი? არა და, ნამდვილად, ამ ხნის ქალსაც კი, ლამაზი ეთქმოდა! მაღალი, სუსტი, თხელი სახის, სწორი ნაკვთებითა და ლურჯი თვალებით, დრო-ჟამისგან გახუნებული ჩალისფერი თმები კოხტად, უკან გადავარცხნილი და კეფაზე დამაგრებული. როგორც გაირკვა, არც მეხსიერებას ემდუროდა.

ბინაც პატრონივით სიბერით დაღდასმული, მაგრამ ისეთივე კოხტა და გაკრიალებული: ერთ კედელზე, მშვენიერი, სიძველისგან დაბზარული, ალაგ-ალაგ საღებავაცვენილი, წმიდა ნიკოლოზის ხატი. გვერდით, გუგულიანი, კედლის საათი. მეორე კედელზე - ფოტო, სამი ფისოს გამოსახულებით და კედლის კალენდარი. ოთახში - ძველებური ხის ტახტი, ხისავე კარადა, ტაბურეტი და მაგიდა სამიოდე სკამით. მაგიდაზე, ბროლის გრაფინი, დიდი, ბროლის საფერფლე, ლამაზ ლამბაქზე მოთავსებული თლილწახნაგებიანი ჭიქა,

რომელსაც მაქმანებიანი თეთრი ნაჭერი ეფარა. ერთ კუთხეში პირსაბანი, გაყვითლებული სარკით და პაწია, ქათქათა პირსახოცით...

ჩაის და კაკლის მურაბას მუქშინდისფერ, ხავერდის ნაჭერში გახვეული დიდი ალბომიც მოაყოლა. ძალიან ფრთხილად, თითქოს რაღაც მისტიურ რიტუალს ასრულებდა, ერთმანეთის მიყოლებით, კუთხეებში გადაშალა ეს ნაჭერი, ალბომი გადაფურცლა და დაიწყო თხრობა თავისი თავგადასავლისა.

მოგვიანებით, ეს ამბავი ერთ ნაცნობს ქალს რომ მოვუყევი, რუსული ანდაზა გაიხსენა: „რა თავში ვიხლი სილამაზეს, იღბალი მირჩევნიაო!“

ალბომის პირველ გვერდზე ჩაკრულ სურათზე რომელიღაც საპორტო ქალაქი მოჩანდა: ფერად-ფერადი ქოლგები, გეორგინები, პალმები, ვებერთელა გემი და პაწაწა ნავები ....

1903 წლის ადრიან გაზაფხულზე, ინჟინერ ალექსეი მარიენკოს ოჯახი კიევიდან ბათუმში გადმოსახლდა. ბატონი ალექსეი აქ პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით მოიწვიეს და ვინაიდან აღნიშნული სამუშაო რამდენიმე წელიწადზე იყო გათვლილი, მეუღლე და სამი ქალიშვილიც თან ჩამოიყვანა.

მკაცრ ზამთარს გამორიდებულთ, ამ მშვენიერ, ზღვისპირა ქალაქში ბუნებაც და ხალხიც ისეთი თბილი დახვდა, თავი უცებ შინაურულად იგრძნეს. ეს იყო მხოლოდ: სამეზობლოში, იშვიათი იყო ადამიანი, რუსული რომ სცოდნოდა. თუმცა, ნელ-ნელა, თავად აითვისეს ქართული. განსაკუთრებით ბავშვებს, ერთ წელიწადში, არანაირი ენობრივი ბარიერი აღარ ჰქონდათ. მით უფრო, რომ იმავდროულად, თავიანთ ქართველ მეგობრებსაც ასწავლიდნენ რუსულ ენას. მეზობლებმა გულით შეიყვარეს ეს ღვთისმოსავი, მომხიბლავი, სიკეთით აღსავსე ადამიანები. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა შუათანა ქალიშვილი- მარია. ამის მიზეზი მისი ენითაუწერელი სილამაზე იყო! ხშირად, უფროსები პირჯვრისწერითა და დიდი მორიდებით, ნორჩ ღვთისმშობელს ადარებდნენ! ახალგაზრდა ვაჟები ჭკუას კარგავდნენ: 14 წლის გოგონას უბანში, თუ მის გარეთ მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა. რამდენჯერმე მათ შორის შეხლა-შემოხლის ამბებიც გახმაურდა. თავადაც შორიდან ეტრფოდა ერთ ყმაწვილს. შორიდან იმიტომ, რომ ეს ბრინჯაოს ქანდაკებად ჩამოსხმული, თვალებანთებული მზეჭაბუკი, ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა და აქეთ იშვიათად თუ გამოივლიდა; იმიტომ, რომ მარიაზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იყო და ამ თუმცა ლამაზ, მაგრამ მასთან შედარებით, პატარა ბავშვს ყურადღებას არ აქცევდა და კიდევ იმიტომ, რომ რაც მთავარია, მათ არასოდეს მიცემიათ ერთმანეთის გაცნობის საშუალება. და აი,

ბათუმში ჩამოსვლიდან მეორე წელს, მარიამ შენიშნა, რომ ემზარმა მეზობლად მცხოვრებ ბიჭთან, მერაბთან სიარულს მოუხშირა. მერე ისე მოხდა, რომ იმავე მერაბმა ქალ-ვაჟი ერთმანეთს გააცნო.

მათი შეხვედრები რუსული ენის გაკვეთილების ხასიათს ატარებდა. ემზარს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გამგზავრება. ამისთვის კი, ერთი აუცილებელ პირობათაგანი, რუსულის კარგი ცოდნა იყო. იმავ დროს, მათი გულები უჩვეულო რიტმში ფეთქავდა და აქამდე შეუცნობელი გრძნობის მოახლოებას იუწყებოდა.

ერთ საღამოს, ჩვეულ ადგილას, დათქმულ დროზე ადრე მივიდა. ბოლო დღეები გადაუღებლად წვიმდა. ცოტა ხნის წინ კი, მოულოდნელად, წვიმა შეწყდა, ამიტომ სახლში ვეღარ გაჩერდა, დედასთან რაღაც მოიმიზეზა და სანაპიროს მიაშურა. ტალახისფრად ამღვრეული ზღვის ტალღები ავის მომასწავებლად იღრინებოდნენ და ცოფიანი ძაღლებივით ძიძგნიდნენ ნაპირს. უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ტანში. ინანა კიდევაც, რატომ ავჩქარდიო. ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა. „მოვიდა!“ - გაიფიქრა და სწრაფად მიიხედა. სამი ცხენოსანი უახლოვდებოდა. სახეები არ უჩანდათ: ყაბალახებით ჰქონდათ ახვეული. ნელი სვლით მოემართებოდნენ. იმ შავს ღრუბლებს ჰგავდნენ, ზემოთ, ცაზე რომ ირეოდნენ. თვალი აარიდა, ისევ ზღვას გახედა. უეცრად უჩვეულოდ დიდი ზვირთი კედელი-ვით აღიმართა ნაპირთან. წამით ჰაერში გაირინდა და მერე საშინელი ზათქით დაასკდა ხმელეთს. იმავდროულად რაღაც ძალამ ზეაიტაცა. თვალთ დაუბნელდა. ზღვის ღმუილი, ფლოქვების აჩქარებული თქარუნი, გაურკვეველი შეძახილები ერთმანეთში აირია. ჯერ ეგონა, რომ იმ ტალღამ ზღვის სიღრმეში შეითრია. მერე მიხვდა: რაღაც ფარდაგში გახვეულს და ცხენის ზურგზე გადაკიდებულს უსასრულობისაკენ მიაქროლებდა უცნობი მხედარი.

მეორე დილით, რომ გაიღვიძა, საწოლში მარტო იყო. პირველ რიგში, დედის მიერ, ათი წლის წინ, შობის დღესასწაულზე ნაჩუქარი მედალიონი მოიძია. ოთახის კუთხეში, იატაკზე დაგდებულს მიაგნო. ამ დროს ორი ქალი შემოვიდა. დიდი გობი, რამდენიმე სათლით ცხელი წყალი შემოიტანეს. ძალიან მხიარულად, სიცილ-კისკისით აბანავეს, ისეთი სიყვარულითა და მზრუნველობით, დედა რომ განბანს ჩვილს. მოზრდილი სკივრიდან ახალთ-ახალი სამოსელი და სამკაულები ამოალაგეს. შემოსეს და შეამკეს, თმა დავარცხნეს და ისე გავიდნენ, რომ არც კი გამოცნაურებიან. ბედს შეგუებულმა, თავისი კაბა, ფეხსაცმელი, ცხვირსახოცში გამოხვეული მედალიონი, იმავ სკივრში შეინახა, იქვე, მიწის იატაკზე ჩაიკეცა და მწარედ ატირდა.

ღმერთს მადლობას წირავდა იმისთვის, რომ უშვილო აღმოჩნდა.

ამის გამო ჯემალ-აღა არც კი საყვედურობდა, პირიქით, როცა ვნება მოეძალებოდა, დათაფლული ხმით ჩასჩურჩულებდა: - „შვილებს სხვები გამიჩენენ, მე შენგან მხოლოდ ალერსი მინდა“. ერთადერთი, რაც ანუგეშებდა, სარწმუნოება იყო. როგორც კი დროს იხელთებდა, ამოიღებდა სკივრიდან ღვთისმშობლის გამოსახულებიან მედალიონს, მაგრად ჩაბღუჯავდა მარცხენა ხელში, მარჯვენათი პირჯვარს იწერდა და ლოცვებს ჩურჩულებდა: ღვთისმშობლისას, წმინდა გიორგისას, „მამაო ჩვენოს“. ლოცვები იყო ნათელი სხივი ამ უკუნეთში.

აბა, ჯემალ-აღას რა გამოეპარებოდა! სხვა რომ არა, ცოლები ხომ მაინც მიუტანდნენ ამბავს, მაგრამ ვინაიდან ეს ყველაფერი მალულად ხდებოდა, ისიც არაფერს იმჩნევდა. მთავარი, ალბათ ის იყო, რომ რაღაც აუხსნელი შიში, თუ რიდი ქრისტიანობის მიმართ სადღაც, გულის სიღრმეში კიდევ შემორჩენოდა. აკი სწორედ ამის წყალობით ნახა მარია პირველად...

აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა ბათუმის ქრისტიანი მოსახლეობა. უყვარდა ჯემალ-აღას ამ დროს ქალაქში სტუმრობა. მუსლიმან კაცს აღდგომასთან რა ესაქმებოდა, მაგრამ მკერდში ხომ ქართველის გული უცემდა, და მის ძარღვებშიც ქრისტიან წინაპართა სისხლი ჩქეფდა. ამიტომ რაღაც აუხსნელი სიხარული მაინც ეუფლებოდა ხოლმე ასეთ დროს! სწორედ იმ დღეს შენიშნა მშობლებთან და დებთან ერთად მოსეირნე ეს ნორჩი ანგელოსი! ბათუმში უამრავი ახლობელი ჰყავდა. იმ დღესვე ყველა წვრილმანი იცოდა ამ ოჯახის შესახებ. იმაშიც მალე დარწმუნდა: არანაირი შანსი იმისა, რომ გოგონას ნებით გაატანდნენ მუსლიმანს ცოლად, არ არსებობდა. მით უმეტეს, თუ იმასაც შეიტყობდნენ, რომ ორმოც წელს გადაცილებულ კაცს, იქ, ხულოში ორი ცოლი და რვა შვილი ელოდებოდა. ორ, ყველაზე სანდო მეგობარს გაუზიარა გულის ნადები. დაავალა, თვალი ედევნებინათ ქალისთვის, მისი ყოველი ნაბიჯი შეესწავლათ და მოსატაცებლად ხელსაყრელი დრო შეერჩიათ.

ხუთი წელი მალულად გაცქეროდა გზას. ხუთი წელი იმ იმედით ცოცხლობდა, რომ მოხდებოდა სასწაული და ან მამა დაიხსნიდა, ან ემზარი, ან სულაც პოლიცია მოაკითხავდა. რა მოხდა, როგორ მოხდა, რომ ამ პატარა ქვეყნის პატარა კუთხეში ასე უიმედოდ ჩაიკარგა და ჩაინთქა? აუხსნელი იყო, გაუგებარი!

მერე თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი. ბოსელში მიუსწრეს უკვე ყულფში თავგაყოფილს. ორივე ცოლი მათრახით ცემა ჯემალ-აღამ. უბრძანა: თვალი არ მოეცილებინათ მარიასათვის. საწყალ ქალებს მისთვის სადღა რჩებოდათ დრო: ოჯახის საქმეებზე რომ აღარაფერი ითქვას, ამ ხნის განმავლობაში ბატონის ლაშქარს კიდევ სამი შვილი შემატეს.

ზაფხულის ერთ დილას, როდესაც ქმარი გლეხებთან ერთად, ტყეში, ხის საჭრელად იყო წასული, სახლში სიტყვა დააგდო: - მდინარეზე ჩავალ, სარეცხი მაქვსო. კალათში ჯერ ბოხჩაში გამოხვეული ორიოდე პური და ქალიშვილობის დროინდელი სამოსელი ჩადო, მერე ზემოდან სარეცხი დააყარა და თავქვე დაეშვა. წესით დასავლეთისკენ უნდა წასულიყო: იქით, საითაც ბათუმი და საყვარელი ადამიანები ეგულებოდა, მაგრამ ივარაუდა, რომ ჯემალ-აღაც სწორედ ამ მიმართულებით დაედევნებოდა. რომც ვერ დაწეოდა, ბათუმში მაინც მიუვარდებოდა, არაფერზე უკან არ დაიხევდა და რაიმე უბედურებას მოახდენდა. ამიტომ კალათა, სარეცხი გზაზე მიმოფანტა, ტყეში შევიდა და საპირისპირო მხარეს გასწია. იცოდა, ასე, ორი დღის სავალზე, უღელტეხილის გადაღმა, ქალაქი იყო, ახალციხე. მიდიოდა ტყე-ტყე, ფერდობებზე შეფენილი პატარა სოფლების გაყოლებაზე. ნადირისა კი ეშინოდა, მაგრამ უფრო მეტად ადამიანებსა და სოფლის ძაღლებს უფრთხოდა. ორი ღამე ხეზე გამოიძინა. მესამე დღეს მაღალ კლდეზე შემომდგარი დიდი ციხის გალავანი გამოჩნდა. ფეხსაცმელი ისე დაპატარავებოდა, ვეღარ ჩაიცვა. კაბაშიც ძლივს ჩაეტია. ცალ გვერდზე ნაკერი გაირღვა კიდევაც, მაგრამ არაფრად ჩააგდო. განასკვული ცხვირსახოციც გახსნა, მედალიონს ეამბორა და კისერზე ჩამოიკიდა.

- ქალბატონო, გთხოვთ, თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, არ შემეძლო, ყურადღების გარეშე დამეტოვებინა ესოდენ ლამაზი, თანაც ვგონებ, ჩემი თანამემამულე მანდილოსანი.

_ გისმენთ, ოფიცერო! - ეამა ამდენი ხნის შემდეგ მშობლიური ენის გაგონება, მით უფრო, ასეთი ზრდილობიანი ფორმით!

- მაქვს პატივი, წარმოგიდგეთ: შტაბსკაპიტანი გრიგორი კოვალიოვი. ვმსახურობ ქალაქ თბილისში. ამჟამად საგანგებო მისიით მოვლინებული ვარ ახალციხეში - უპატაკა წარმოსადეგმა ახალგაზრდა კაცმა.

- მე მარია მქვია - გაუღიმა ქალმა.

- ქალბატონო, აქ, ამ ქალაქში ცხოვრობთ?

- არა, ვცხოვრობ ბათუმში და მსურს იქით გამგზავრება. ხომ ვერ მირჩევდით, როგორ უნდა მოვიქცე?

-უმოკლესი გზა ბათუმისკენ, გოდერძის უღელტეხილითაა...

- არა, არა! - გააწყვეტინა - მაგ გზით ვერ წავალ!

- მაშ, ხაშურის გავლით? ეს გზა ძალზედ შორია!

- არ ვიცი, არ ვიცი - შეწუხდა ქალი.

- ძვირფასო მარია, ნება მომეცით, მიგიწვიოთ მცირე მეგობრულ ვახშამზე. იქ მშვიდ ვითარებაში, დაწვრილებით ამიხსენით თქვენი გასაჭირი, ვინძლო გამოსავალიც მოვნახოთ.

ყველა წესის და რიგის დაცვით იქორწინეს: ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს, ოფიციალური საბუთიც გააფორმეს და ნამდვილი, ჯარისკაცული ქორწილიც გადაიხადეს, შამპანურისა, თუ იარაღის ზალპებითა და მხიარული ცეკვებით!

ამას არ ეთქმოდა სიყვარული. გრიშას იგი პატივს სცემდა, როგორც მის მხსნელსა და მფარველს. მის გვერდით, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. დარწმუნებული იყო, ჯემალ-აღას რომც ეპოვნა, მამაცი ოფიცერი თავს არ დააჩაგვრინებდა. იმასაც პირდებოდა: - როგორც კი მოვიცლი, ბათუმში წავიდეთ, თქვენები მოვძებნოთო. მაგრამ სამი წელი ისე გავიდა, ეს საქმე ვერ მოხერხდა. ცხრაასთოთხმეტში კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და კაპიტანმაც ფრონტის ხაზს მიაშურა.

რევოლუცია! „თვითმპყრობელობის ბორკილთა მსხვრევა დაუნდობელი!“

ეროვნული მთავრობა: „თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობის აღდგენა!“

საბჭოთა წყობა: „წითელი არმია, წითელი დროშები, წითელი ტერორი!..“

ყოველივე ამან იქვე, მის გვერდით ჩაიარა, ისე რომ მას თითქმის არ შეხებია. ერთი ეს იყო, კოვალიოვის, არც მკვდრისა, არც ცოცხლისა აღარაფერი სმენია.

მუშაობდა მეიდანში, პატარა, კოხტა დუქანში. ის იყო მიმტანიც, ჭურჭლის მრეცხავიც, დამლაგებელიც და კლიენტთა მიმზიდველიც. ქალაქში ლეგენდები დადიოდა მისი სილამაზის შესახებ. თბილისის ცნობილი დონ-ჟუანები საგანგებოდ მოდიოდნენ, ნიძლავდებოდნენ და მარცხდებოდნენ: მარიას არც მანამდე, არც შემდგომ, კანონიერი თუ უკანონო ქმრისთვის არ უღალატია!

ერთ საღამოს ... ახალგაზრდა უცნობი ოცდაათ წელზე მეტი ხნისა არ იქნებოდა. უჩვეულო, მოლურჯო-მომწვანო ფერის თვალები ჰქონდა, წვრილი ულვაში. კოხტად დავარცხნილი, შავი თმა. გემოვნებით, პეწიანად ჩაცმული, დამტვრეული რუსულით საუბრობდა. მისმა პირველივე შემოხედვამ უჩვეულოდ ააღელვა და დააბნია. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ უკან მიბრუნდა:

- უკაცრავად, გთხოვთ გამიმეოროთ, რა შემიკვეთეთ?!

პასუხად უცნობმა გაიღიმა, ისეთი თბილი და მომხიბლავი ღიმილით, ქალის გული საბოლოოდ მოინადირა.

დილით, ადრე გაღვიძებული მარია საწოლში წამომჯდარი, უხმოდ დაცქეროდა უშფოთველად მძინარე ყმაწვილს, რომელსაც ლამაზ სახეზე კვლავაც ის, ჯადოსნური ღიმილი ეფინა. მერე მარიას გულში რაღაც ჭვალმა გაუარა, სუნთქვა შეეკრა, ცრემლები ღაპაღუპით

წამოსცვივდა: მას უყვარდა! ეს იყო ცხადი და ძალიან მარტივი ჭეშმარიტება. პირველად მის სიცოცხლეში, მას შეუყვარდა! ამაზე ბევრჯერ უოცნებია. რა არ გადახდენია ამ ხნის მანძილზე, ვის აღარ შეხვედრია, ოცნება კი ოცნებად რჩებოდა. და აი, ახლა, ამ უცნაური ტვირთის სიმძიმემ გასრისა, ამ უზომო ბედნიერებით გამოწვეულმა ტკივილმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო: „ასე როგორ შეიძლება? მასზე უმცროსი, უდარდელი ყმაწვილი, უცხოელი, რომელიც დღეს აქ არის, ხვალ კი, ვინ იცის, სად გადაიკარგება. და სწორედ ასეთი ადამიანი შეუყვარდა! რატომ მოაწყო უფალმა ასე? რა სასჯელი იყო მის თავზე?!“

ამ დროს, გამოღვიძებულმა ანტონიომ მკლავები მაგრად მოხვია, ცრემლიანი თვალები დაუკოცნა და თითქოს მისი ფიქრების პასუხად, ჩაჩურჩულა: - ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით. ჩვენ სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს!

ანტონიო სულაც არ აღმოჩნდა ფუქსავატი და უსაქმური ყმაწვილი: თუმც ახლგაზრდა, უკვე გამოცდილი, ჰიდრონაგებობათა სპეციალისტი, აქ ჩამოსვლამდე თითქმის ორი წელი მოსკოვში ცხოვრობდა. რუსულიც იქ შეისწავლა. ამჟამად მოწვეული იყო კახეთში, ალაზნის ველზე სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. რა სათქმელია, თელავში კი არა, ჯოჯოხეთში გაყვებოდა! მითუმეტეს, რომ ზღაპრულ გარემოში აღმოჩნდნენ: პატარა, კოხტა ქალაქი; ლამაზი ბუნება; უძველესი ტაძრები; სტუმართმოყვარე, გულთბილი ხალხი და ყველა ამ სიკეთის გვირგვინი - ანტონიო!

- ანტონიო, ლამაზია იტალია?

- ო, სიზმარია, ზღაპარი, ლეგენდა: მისი ბუნება, ტყეები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები, ხალხი, მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა... ყველაფერი უბადლოა! მხოლოდ ერთი რამ აკლია ჩემ ქვეყანას, მხოლოდ ერთი რამ!

- რა, ანტონიო?

- შენ, მადონა მია, შენ!

- მე?

- ხო, მალე წაგიყვან ჩემს სამშობლოში, სულ მალე!

- მერე?

- გაგაცნობ ჩემს მშობლებს, დებს, ძმებს.

- მერე?

- მერე დავქორწინდებით.

- მერე?

- ათასი წელი, ათიათასი წელი ვიქნებით ერთად და ჩვენს სიყვარულს არ ექნება დასასრული!

ან: - ბავშვი ვიშვილოთ.

- სად? აქ, თუ იქ?
- რა მნიშვნელობა აქვს?
- იყოს იქ, შენ რომ გგავდეს, ისეთი.
- ესე იგი, ბიჭი?
- ხო, აბა?
- ეგებ გოგონა სჯობდეს, მაგრამ შენ რომ გგავდეს, ისეთს სად ვნახავთ!
- მოდი ბიჭიც ავიყვანოთ და გოგოც!
- კარგი, გოგო აქ, ბიჭი-იქ.
- ან, პირიქით.
- რა, არ ავიყვანოთ?
- არა, ბიჭი – აქ, გოგო – იქ.
- ან, პირიქით ...

სიცილი, ალერსი, სიყვარული, სიყვარული!

- მარია, ჩქარა, ჩქარა წამოდი!
- რა იყო, რა მოხდა?!
- ანტონიო ცუდადაა, ძალიან ცუდად!
- რატომ, რა მოხდა?!
- არ ვიცი, ცუდადაა, ძალიან ცუდად!
- ექიმი! ექიმი?!
- ექიმი უკვე იქაა, ჩქარა, ჩქარა!

- აი, ეს ფოტოსურათიც: ოთახის შუაში კუბო იდგა. კუბოში ახაგაზრდა კაცი ესვენა. გარშემო ნახევარწრედ მუშები იდგნენ. თავთან მარია ეჯდა. (რატომ უხდებათ ახალგაზრდა ქალებს ყველა ფერზე მეტად, შავი? რატომ არის შავით მოსილი მანდილოსანი განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი. რატომ აქვს ესოდენ მაგიური ძალა სიტყვებს: „ქვრივი ქალი“. ესეც, ალბათ, ბუნების კანონია: იქ, სადაც მშვიდად სუფევს თავისთავში დარწმუნებული და ამპარტავანი სიკვდილი, უფრო მეტი სიმძაფრით, მძლავრად ფეთქავს სიცოცხლის ძარღვი!).

- მომიწამლეს ჩემი ანტონიო.
- როგორ, ვინ?
- არ ვიცი.
- აბა, რატომ გგონიათ, რომ მოწამლეს?
- ექიმმა მითხრა, ძალიან საიდუმლოდ: საკვებით მოწამლულს არ გავსო. აი, დააკვირდით, ხედავთ, ტუჩის კუთხეში თეთრ ლაქას? მეორე დღესაც კი რაღაც ქაფი ჟონავდა პირიდან.
- ვინ ჩაიდინა ეს, ვის სჭირდებოდა მისი სიკვდილი?
- აბა, რა გითხრათ, დრო გახლდათ ასეთი, ვინ იყო განმკითხავი?!

ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა: უფერულს, უსიხარულოს,

უსიყვარულოს! ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილი, უბრალოდ არსებობდა. ყოვლად უიმედოს, სასოწარკვეთილს, რაღაც შიშები დაჩემდა. მარტოობა, უძილო ღამეები და ისევ მარტოობა. გულისგამაწვრილებელი რუტინა ჭაობივით ისრუტავდა. ეგებ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ არტაშეს არუთინოვის წინადადებას თითქმის უყოყმანოდ დათანხმდა.

არუთინოვი სამოცდაათ წელს მიღწეული, ახლად დაქვრივებული ავლაბრელი ვაჭარი იყო. თავისი სიმდიდრით თვალში არავის ეჩხირებოდა, მაგრამ ისიც იგრძნობოდა, რომ უფულობას არასოდეს უჩიოდა. თითქოს რაღაც მაღაზიებს, თუ დუქნებს ფლობდა, თითქოს რაღაც საქმეებში შუამავლობდა... ზუსტად არავინ უწყოდა მისი ნამდვილი საქმიანობა. ყველანაირ დროებასა და მთავრობას მოერგო, ყველანაირ საფრთხესა და რეპრესიებს გადაურჩა! ორჯერ კი წაიყვანეს, ოცდათორმეტში და ოცდაჩვიდმეტში, იმ დაწესებულებაში, საიდანაც როგორც წესი, აღარ ბრუნდებოდნენ, მაგრამ „რაღაც მანქანებით“, ერთ კვირაში გათავისუფლდა. მისი ცოლის გარდაცვალებაზეც ჭორები დადიოდა, რომ არტაშესმა იგი ღალატის გამო მოგუდა; რომ მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალი „ერთ, ვინმე, სტუდენტსა ჰყვარობდა“. „აბა, რა გასაკვირი იყო, თუკი ქმარი ვეღარ ვარგობდაო?!“ და ათასი სხვა. ამ ვერსიით მილიციაც დაინტერესდა, მაგრამ არუთინოვმა ამჯერადაც დაიძვრინა თავი. მოკლედ, ერთხელ, შუა დღით, როდესაც დუქანი თითქმის ცარიელი იყო, მოულოდნელად, იშვიათი სტუმარი, „ვაჭარი არტაშა“ მობრძანდა, მარია გვერდით გაიხმო და შემდეგი განუცხადა:

- მარია, დიდი ხანია გაკვირდები, კარგი ქალი ხარ და მეცოდები. ახალგაზრდა აღარ გეთქმის. აგრე როდემდის უნდა იწვალო? მე ერთი აზრი მაქვს: გადმოსახლდი ჩემთან. სახლ-კარი, ქონება არ დამეწუნება. ჩემი შვილები დიდები არიან, მაგათ თავიანთი ცხოვრება აქვთ. მე შენგან არაფერს ვითხოვ, ვიცხოვროთ, სხვების თვალში, როგორც ცოლ-ქმარმა. საჭმელ-სასმელი არ მოგაკლდება და ჩასაცმელი.

მართლაც ასე იყო: ერთ საძინებელ ოთახში, მაგრამ სხვადასხვა საწოლზე ეძინათ. დადიოდნენ თეატრში, კინოში, წვეულებებზე. მამაკაცები გაოცებულნი იჩეჩავდნენ მხრებს, ქალები გაუთავებლად ჭორაობდნენ, გერები ხმას არ ცემდნენ, მაგრამ მარიასთვის ეს ყველაფერი სულ ერთი იყო: ის პატიოსნად ასრულებდა მისთვის განკუთვნილ, მოსიყვარულე ცოლის როლს, რის სანაცვლოდაც მადლიერი და პრესტიჟაღდგენილი მეუღლისგან ღებულობდა იმას, რასაც მარტივი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი სახელი: „ცხოვრების პირობები“ ჰქვია.

პიჯაკის ჯიბეზე ხელი მოვისვი, სიგარეტის კოლოფი მოვსინჯე: - მაპატიეთ, ორი წუთით, მოსაწევად გავალ.

- იჯექით, აქ მოწიეთ - ხელის დაქნევით შემაჩერა და საფერ-ფლე მომიჩოჩა. - მე, თითქმის სამოცი წელი ვეწეოდი, აგერ, "სულ რაღაც" ოცდახუთი წელია, რაც თავი დავანებე - ეშმაკურად ჩაიხითხითა - იცით, პირველად ვინ მომაწევინა? არც დაიჯერებთ: ჯემალ-აღამ! ნამდვილი, სამსუნის თუთუნი! ეს ჩვენი პატარა საიდუმლო იყო. მოეპრიანებოდა ზოგჯერ: ჩავიკეტებოდით ოთახში და ვაბოლებდით.

არც გრიგორი ნიკოდიმიჩი იყო ამის წინააღმდეგი. ის კი არა, არაყიც ბევრჯერ გადაგვიხუხავს ერთად. ანტონიო, ჩემი ანტონიო, საგანგებოდ, ფრანგული პაპიროსებით მამარაგებდა! ის საძაგელი არტაშა კი სულ მეჯიჯღინებოდა: ,,ეგა, ძალიან ცუდი რამეა, ადამიანსა ჰკლამსო!" ცხადია, ფული ენანებოდა, თორემ, მე სულაც არ ვენაღვლებოდი.

ჩაიარა მეორე მსოფლიო ომმა. ქვეყნის საერთო გაჭირვებას, მარიასთვის სხვა განსაცდელიც დაემატა: ერთ საღამოს არტაშა სახლში დამბლადაცემული მოიყვანეს. სამი კვირის შემდეგ ენა ამოიდგა, ასე თუ ისე, ხელებიც დაიმორჩილა, მაგრამ ლოგინიდან ვეღარ ადგა. საქმე და ფინანსები მისმა ვაჟმა, არტემმა გადაიბარა. ის კვირაში ერთხელ, რამდენიმე წუთით შემოირბენდა ხოლმე, დიდ ხანს არ ჩერდებოდა, მცირე თანხას ტოვებდა და ისევ ერთი კვირით იკარგებოდა. უფრო ხშირად მოდიოდა ქალიშვილი - ლიზა, თუმცა ავადმყოფზე ზრუნვით, დიდად არც ის იწუხებდა თავს. იგრძნობოდა, რომ შვილები მამაზე ძალიან ნაწყენი იყვნენ: უთუოდ მარიას სახლში მოყვანის და ეგებ, იმ ხმების გამოც, რაც ქალაქში დადიოდა, სათაყვანებელი დედის სიკვდილთან დაკავშირებით. ტვირთი, რომელიც მას დააწვა მხრებზე, უმძიმესი აღმოჩნდა. ერთი პირობა, გადაწყვიტა კიდევაც, წავალ სადმე, ჩემს გზას ვეწევიო, მაგრამ ჯერ ერთი, ეცოდებოდა ეს, ერთ დროს გოროზი, თავისთავში დაჯერებული, აწ კი ჩვილივით უმწეო მოხუცი და მეორეც, ქრისტიანული მოვალეობა და სინდისი არ აძლევდა ამის უფლებას. მის მოძღვართან, მამა პეტრესთან ისაუბრა ამის შესახებ და გულწრფელადაც მოინანია წუთიერი სისუსტე.

… უძველესი, შავი ლოდებით ნაგები პატარა ეკლესიის შუაგულში იწვა, ხალიჩაგადაფარებულ, ხის ტახტზე. ჩვეული სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევდა საყდარში. ერთ-ერთი სარკმლიდან ზებუნებრივი, იისფერი შუქი შემოდიოდა. ხატებთან კანდელები ციმციმებდნენ. გუმბათის სიღრმიდან მის განუყრელ მედალიონზე გამოსახული ღვთისმშობელი გადმოსცქეროდა, ოღონდ სახე დედისა ქონდა.

- დედა, დედიკო, როგორ მომენატრე, სად იყავი დედა ამდენ ხანს, რატომ მიმატოვე!?

- შვილო, მე ყოველთვის შენს გვერდით ვიყავი!

- ახლა რა ხდება? დღეა, ღამეა? რატომ ვარ აქ, რატომ ვწევარ, რა მჭირს? მოვკვდი?

- შენი განწმენდის დრო მოვიდა!

უეცრად ტაძრის კედლებს საშინელი ცეცხლი მოედო. ვებერთელა, სისხლისფერი ტალღები აზვირთდნენ, თუმცა ტაძარს, ხატებს არაფერი აკლდებოდა. წივილი გაისმა, გულის შემძვრელი, საზარელი: შემოსასვლელის თავზე, მოზრდილი ხის ტანის სიმსხო, გველის გორგლები გამოდიოდა კედლიდან. გამოჩნდებოდა, ლოდებში ჩაიკარგებოდა, ისევ გამოჩნდებოდა. წამოდგომა და გაქცევა ეწადა, მაგრამ გაქვავებული, უხილავი ძალით საწოლს მიჯაჭვული, ვერ იძროდა.

- ნუ გეშინია - ჩაესმა ისევ - ეს შენში ჩაბუდებული ეშმაკეული იწვის. ცეცხლით უნდა განიწმინდო! "ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო ..." ახალი და ახლი ლოცვები ახსენდებოდა. გველის წივილისა და ცეცხლის გუგუნის ხმა თანდათან მიწყნარდა. გრილი, სასიამოვნო ნიავი მიესალბუნა სახეზე. ხასხასა მდელოზე იდგა. გალობა მოესმა. გარშემო ფერდობებიდან უამრავი ხალხი ჩამოდიოდა: ზოგს მინდვრის ყვავილებისაგან შეკრული თაიგული მოქონდა, ზოგს - ხატი, ზოგსაც - ჯვარი. მოპირდაპირე მხრიდან ჩამომავალთ, შავკაბიანი, მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი მოუძღოდა. გაწეწილი, ჭაღარაშერეული შავი თმა-წვერით მოსილი. წინგაწვდილი მარჯვენა ხელით საცეცხლურს მოარწევდა, რომლიდან ამომავალი სურნელოვანი კვამლიც ნისლივით ეფინებოდა არემარეს. მოდიოდნენ და გალობდნენ: ,,ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო..." პიჯვრისწერით, მუხლებზე დაეშვა. წვიმა წამოვიდა: საკუთარი ცრემლები აწვიმდა!..

ფილტვების ანთებამ კინაღამ შეიწირა. თითქმის მთელი გაზაფხული ლოგინში გაატარა. 19 მაისი გათენდა, მისი დაბადების დღე. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სუსტად იყო, თავს ძალა დაატანა და ქუჩაში გამოვიდა სასეირნოდ. მშვენიერი დარი იდგა. მზის თბილი, ალერსიანი სხივები თვალებს სჭრიდა. ჰაერში ერთმანეთში არეული: ბალახის, მდინარის და იასამნების თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა. მეიდნისკენ დაეშვა. ხიდზე რომ გადადიოდა, საეკლესიო ზარების რეკვის ხმა მოესმა. ეს ხმა ადრეც ბევრჯერ სმენია, მაგრამ ამჯერად მოულოდნელად შეცბა: წუხანდელი სიზმარი გაახსენდა, ყოვლად უცნაური, მისტიური. თითქოს ერთგვარი ახსნა შეიძლებოდა მოენახა: ომი ახალი დამთავრებული იყო. ურჩხული დამარცხდა, ხალხი ზეიმობდა, მაგრამ ეს ძალიან უბრალო განმარტება სჩანდა. იგრძნო, რომ აქ რაღაც სხვა, ძალზედ მნიშვნელოვანი, სარწმუნოებასთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო. გულმა

ეკლესიისაკენ გაუწია. სიონის ტაძარში არავინ იყო. ამბიონზე დასვენებულ ხატს ემთხვია. სხვა ხატებსაც ეამბორა. მაშინღა შენიშნა: ერთ კუთხეში, იატაკზე დამხობილი მღვდელი ლოცულობდა. მარიას რატომღაც ძალიან მოუნდა მისი სახის დანახვა. შორი-ახლოს გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ მლოცველი წამოდგა, ხატს ემთხვია და როდესაც წელში გასწორდა, მარიას შეძახილი აღმოხდა: ეს სწორედ ის ბერი იყო, სიზმრად ნანახი! ხმის გაგონებაზე ბერმა მოიხედა.

- მე მელოდებით?

მარიას იმ წამსვე უდიდესი ნდობა და მოწიწება დაეუფლა ამ, მასზე გაცილებით ახალგაზრდა ადამიანის მიმართ, რომელიც თითქოს ასხივებდა სიმშვიდესა და სათნოებას.

- დიახ, მამაო - ძლივს გაიღო ხმა.

- მობრძანდით, აქ ჩამოვსხდეთ - კედელთან მდგარ, გრძელ სკამზე მიუთითა.

- თქვენ, მგონი აქ ადრე არ ყოფილხართ.

- დიახ, მამაო, პირველად ვარ.

- მონათლული თუ ხართ?

- დიახ.

- სახელი?

- მარია.

- დიდებულია! მე მამა პეტრე ვარ. აბა, მომიყევით თქვენი ამბავი, ეგების ჩავწვდეთ არსს იმ უცნაური ნიშნისა, რამაც დღეს აქ მოგიყვანათ.

ამ სიტყვებმა მარია გააოცა: ნუთუ მან იცის მისი სიზმარის შესახებ?!

- შვილო, მე მხოლოდ მტვრის ციცქნა ნაწილაკი ვარ, ყოველივე უფლის განგებით ხდება! - ისევ მოულოდნელად პასუხი გასცა მის ნაფიქრალს მოძღვარმა.

იმ, უშორესი, ცხრაასხუთის შობა დღის შემდეგ, წირვა-ლოცვას არ დასწრებია, აღსარებასა და ზიარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მითუმეტეს, რომ კომუნისტური ხელისუფლება არათუ მლოცველთ, სამღვდელოებასაც სასტიკად ავიწროებდა. ისევ დედისეული მედალიონი იყო ამ ხნის მანძილზე მარიასათვის ხატიც, ტაძარიც, მოძღვარიც. აქამდე მარიას, თავი ერთ უბრალო, უცოდველ ადამიანად მიაჩნდა, რომელსაც განგება იობივით ათასგვარ განსაცდელს უგზავნიდა და ისიც ბედს შეგუებული, უდრტვინველად იტანდა ყოველივეს. მამა პეტრე კი ამბობდა: – უეკლესიოდ, ადამიანის სულიერი სამყარო მიტოვებულ, ჩაბნელებულ სარდაფს ჰგავს. მოძღვართან მისვლით, წირვა-ლოცვაზე დასწრებით, ანუ ეკლესიური ცხოვრების პირველი ნაბიჯების გადადგმით, სარდაფში წვრილი სხივი

შემოიჭრება და მის მცირე ნაწილს გაანათებს. ადამიანი ხედავს, იმ მცირედშიც კი, რამდენი ნაგავი, რამდენი სიბინძურე, ანუ რამდენი შეცდომა, რამდენი ცოდვაა დაგროვილი. მონანიება, ზიარება, ამ სიბინძურისგან ნაწილობრივ განწმენდს ადამიანს. მერე და მერე ნათელი მატულობს და ადამიანი უფრო და უფრო მეტ ჭუჭყს ხედავს საკუთარ სულში. ეს ასეა: რაც უფრო მეტად შედიხარ სარწმუნოებაში, მით მეტ საკუთარ ცოდვას ხედავ. და როდესაც იმდენად გაძლიერდები, ანუ იმდენად მოიმატებს ნათელი, რომ დაინახავ, თუ რა ხდება მთელ სარდაფში, მის ყველა კუთხე-კუნჭულში, დაასუფთავებ, დააწკრიალებ, თავ-თავის ადგილს მიუჩენ ყველა აზრს და ფიქრს, ანუ არათუ არასწორი ქმედებებისგან, არამედ უკეთური ფიქრისგანაც კი განიწმინდები, მაშინ... – აქ მამა პეტრე ჩაფიქრდა ერთხანს და შემდეგ განაგრძო: – მაგრამ ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...

ერთხელ, როდესაც უკვე მის სულიერ შვილად იწოდებოდა, გაბედა და კითხა: - მამაო, მაშინ, პირველად რომ მოვედი თქვენთან, ისეთი სიტყვები მითხარით, თითქოს ჩემი სიზმარის შესახებ თქვენც იცოდით. ნუთუ ეს შესაძლებელია?

- ჩემო მარია, ჩვენ ყველანი ხომ უფლის შვილები ვართ, ხოლო უფლის წყალობით განა შეუძლებელი რაიმე არსებობს? შემინდოს ღმერთმა, მე მრავალ ისეთ რაიმეს ვხედავ, რაც ნუ მიწყენ, თქვენთვის, ჩვეულებრივ ადამიანთათვის დაფარულია.

- მაინც, რას მამაო?

- ეჰ, ჩემო კარგო, იმდენი საშინელება ხდება შინ, თუ გარეთ, მე ამას ალბათ, დიდ ხანს ვერ გავუძლებ, გავერიდები. სადმე მთებში წავალ, მივარდნილ ადგილას მოვძებნი გამოქვაბულს, გავეცლები ამქვეყნიურ ცხოვრებას!

- რას ამბობთ, მამაო, იქ რა გაგაძლებინებთ?!

- ნეტავ უფალმა იმდენი ძალა მომცეს, რომ პირველი ნაბიჯი გადავდგა და ყველაფერი ისევ მის ხელში არაა?!

- მამაო, თქვენ ხომ აქ ხართ საჭირო, თუ კი თქვენ წახვედით, მე, ჩემნაირმა ხალხმა, რა უნდა ვქნათ?!

- მარხვა-ლოცვითა და ზიარებით განვძლიერდებით!

- და მაშინ, მამაო, სამოთხეში მოვხვდებით?

- წმიდა მამა გვაწავლის: „თუ კი გარდაცვალების შემდეგ, ღვთის წყალობით, სამოთხეში აღმოვჩნდებით, სამი რამ გაგვაოცებსო ყველაზე მეტად: ერთი ის, რომ იქ ვერ ვნახავთ იმას, ვინც გვეგონა, აუცილებლად იქ იქნებოდა; მეორე: ვნახავთ იმას, ვისზეც ვერასოდეს ვიფიქრებდით იქ თუ მოხვდებოდა და მესამე, და მთავარი, ყველაზე მეტად ეს გაგვაკვირვებს: მე თავად რით დავიმსახურეო ესოდენი

პატივი!“

- ეს როგორ, მამაო, ესეიგი, შეიძლება, რომ უწმინდურნი სამოთხეში მოხვდნენ, ხოლო წმინდანები კი ჯოჯოხეთში?!

- არა, მარია, ეს იმისთვის არის ნათქვამი, რომ ადამიანი, ადამიანური გონებით განსჯის ყოველივეს, ხოლო ,,ჭეშმარიტად, შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი!”

მთელ დღეს ტაძარში ატარებდა. მხურვალედ მლოცველი, ასეთივე თავდადებით შრომობდა: ალაგებდა, რეცხავდა, ტრაპეზარობდა ...

- ქალო, შენ ჩემი ცოლი ხარ, თუ მაგ წვერცანცარასი! - ჩხუბობდა არტაშა, მეზობლების გასაგონად, გუნებაში კი ფიქრობდა: ,,ემანდ, ამ ჭკუიდან გადასული ქალის გულისთვის, რამე შარს არ გადავეყაროო”.

მარია კი პირველად, ანტონიოს დაკარგვის შემდეგ, თავს ბედნიერად გრძნობდა. განსაკუთრებული სიხარულით გული დღესასწაულების დროს ევსებოდა. მით უფრო თუ ლოცვა ღამისთევით იყო: რა საოცარი, აუწერელი სილამაზეა: ტაძარი ღამით, ღამის ტაძარი! ტაძარი, როგორც კიდობანი, შემფარებელი, მხსნელი, უსაზღვრო, უკიდეგანო, წარღვნად მოვარდნილ ცოდვათა ზღვაში. ღამის ტაძარი! იდუმალების შარავანდედით შემოსილნი, თითქოს ჰაერში მოლივლივე ბერ-მონაზვნები. მათივ ლანდები, სევდიანსა და ფერმკრთალ ფრესკებს, ნაზად შეზრდილნი. საყდრის სიღრმიდან წყაროს წყალივით გადმოდენილი, ხმა მგალობელთა, შეზავებული ანგელოზთა ფრთების შრიალთან. მირონმდინარე ნათელ-ხატები და სანთლები და კანდელები და მთელი სამყარო, აღვსებული ღვთიური მადლით ... და შენ, პაწაწა, უმნიშვნელო, უღირსი ყოვლად, თვალცრემლიანი, მოცახცახე, შენდობისა თრთოლვით მთხოვნელი: "უფალო, შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ!”

დაკრძალვის საღამოს, როგორც კი სტუმრები გალაგდნენ, არტაშესის ქალ-ვაჟმა კაბინეტში მიიწვია.

- მარია - მიმართა არტემმა - დასამალი არაა და ამას უთუოდ, შენც გრძნობდი: მე და ჩემს დას დიდად არ გვეხატებოდი გულზე - დას გადახედა, “ხომ კარგად დავიწყეო?!”

ლიზას რეაქცია არ ჰქონდა.

- მაგრამ მამაჩვენის სურვილს წინ არ აღვდგომივართ და შენს საზოგადოებას უდრტვინველად ვიტანდით. მადლობა ღმერთს, მამას ეყო გონიერება და რაიმე სახის ქონებაზე შენთვის უფლებები არ გადმოუცია! - აქ ისევ დას გადახედა. ის კი კვლავაც გაქვავებული სახით იდგა და მომნუსხავ სიცივეს აფრქვევდა.

- მიუხედავად ამისა, ჩვენ, პატივისცემა მამაჩვენის ხსოვნისა და ის დიდებული აღზრდა, რაც მიღებული გვაქვს სულგანათლებული დედაჩვენისაგან, უფლებას არ გვაძლევს, რომ სრულიად უსახსროდ

დაგტოვოთ და აქედან გამომდინარე, მზად ვართ, გადმოგცეთ, გარკვეული, არც თუ მცირედი თანხა, რაც საშუალებას მოგცემთ, შეიძინოთ საკმაოდ კარგი ბინა და რაღაც დროის განმავლობაში თავიც შეინახოთ. ამასთანავე, ნება გეძლევათ, თან წაიღოთ თქვენი კუთვნილი სამოსელი, გინდ ნივთები, რაც კი მიგიღიათ მამაჩვენისა, თუ სხვათა ხელიდან (ბოლო ორი სიტყვა ხაზგასმით წარმოსთქვა). ვფიქრობთ, ყოველივე ამისათვის ერთი კვირა სრულიად საკმარისი იქნება, რის შემდეგაც, იმედია, მშვიდად გაგვეცლებით - დაასრულა ტირადა არტემმა და შვებით ამოისუნთქა. შემდეგ უბიდან ქაღალდში გახვეული ფულის დასტა ამოიღო და მაგიდაზე დადო. ცხადია, მარიამ კარგად უწყოდა და-ძმის განწყობა მისადმი. შემოთავაზებული წინადადება სასიამოვნო სურპრიზიც კი იყო. მართალია, საუბრის ტონი და უხამსი მინიშნებები საკადრის პასუხს იმსახურებდა, მაგრამ გადაწყვიტა, არ აყოლოდა პროვოკაციებს და წყნარად, საკუთარი ღირსების შეგრძნებით უპასუხა: უპირველესად, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ თერთმეტი წლის მანძილზე იტანდით, თქვენთვის ესოდენ არასასურველი პროვნების "საზოგადოებას". შემოთავაზებულ პირობებზე უარს ვერ გეტყვით, ვინაიდან ეს მომცემს საშუალებას, ხვალვე გაგეცალოთ. თქვენ კი, სრულიად გულწრფელად, გისურვებთ ბედნიერებას და ღვთის წყალობას!

მეორე დღეს მოძღვრისაგან კურთხევა და სახსოვრად, წმიდა ნიკოლოზის ხატი მიიღო. გამოეთხოვა და ერთი ჩემოდნით ხელში, რაც მთელ მის ავლა-დიდებას შეადგენდა, რკინიგზის სადგურს მიაშურა.

თითქმის ცარიელი მატრებლის კუპეში, მარტო იჯდა. მატარებელი დაიძრა. მარია ფანჯარაში იყურებოდა და ფიქრობდა: რა უცნაური იყო მისი ცხოვრება, რაღაც ცალკეული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეპიზოდებისაგან შემდგარი. თან ყოველი ახალი ეპიზოდის დაწყებას აუცილებლად, წინა ეპიზოდის მოქმედ პირთა სამუდამოდ გაუჩინარება მოსდევდა:

გამოემგზავრნენ კიევიდან და დავიწყებას მიეცა სანათესავო, იქაური სამეზობლო.

მოიტაცა ჯემალ-აღამ და გაჰქრნენ მშობლები, დები, ემზარი.

გამოიქცა ტყვეობიდან - სადღაა მრისხანე ბატონი და მისი მრავალშვილიანი ცოლები!

მერე სადღაც გაქრა შტაბს - კაპიტანი კოვალიოვი.

ანტონიო?! მისი უსაზღვრო სიყვარული და გაუყუჩებელი ტკივილი.

აი, ახლა, წამოვიდა არუთინოვებისგან და დარწმუნებულია, აღარასოდეს მოუწევს თბილისში ჩამოსვლა, მით უმეტეს, მათთან

შეხვედრა!

მამა პეტრე? მამა პეტრე?!

როგორ მოხდა, რომ ორმოცი წლის მანძილზე ოჯახმა ხმა ვერ მოაწვდინა?

ან ჯემალ-აღამ, ყოვლისშემძლე ბატონმა, როგორ ვერ მიაგნო? ეგებ არც უძებნია ,,ბერწი ქალი".

ერთადერთი კანონიერი მეუღლე, გრიგორი კოვალიოვი, ეგებ ცოცხალი და საღსალამათი, სხვა ქალს ჩაეხუტა იქ, რუსეთსა, თუ ევროპაში.

განა საოცარი არ არის, რომ ამდენი ხნის შემდეგ, თითქოს გიგანტურ წრეზე ევლოს, კვლავ ბრუნდება იქ, საიდანაც დაიწყო მისი ტანჯვა-წამებით აღსავსე თავგადასავალი. როგორც გამოსტაცა, მრავალი ათეული წლის წინ, თავზეხელაღებულმა მხედარმა მშვიდსა და უზრუნველ ცხოვრებას, ახლა ეს მატარებელი ისევე აწყვეტილი მიაქროლებს იქ, სადაც მას უკვე აღარავინ ელოდება.

არაფერი უთქვამს, იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა ლანჩხუთში, რატომღაც არც მე მიკითხავს ამის შესახებ. ის კი მითხრა, რომ ბათუმში ჩასულმა, არათუ ახლობლებს, მათ კვალსაც ვერ მიაგნო. მხოლოდ ერთმა მოხუცმა კაცმა გაიხსენა, თურმე, მისი ამბავი: - მაშინ, ხმა გავრცელდა, ვიღაც თათრებს, მოტაცებული ქალი, გზაში ხელიდან დასხლტომიათ და კლდიდან გადავარდნილაო. რადგან დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ვერანაირ კვალს ვერ მიაგნეს, ასე დაასკვნეს: ეგ იქნებოდაო, ალბათ, მარია. თუმცა, ზოგი იმასაც ამბობდა: თავად გამტაცებელთა დაგდებული უნდა იყოსო ეგ ჭორი. მის ოჯახზე ესღა თქვა: - მგონი, ასე, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ, გემს გაყვნენო გაურკვეველი მიმართულებით.

P.S. ჩემმა მამიდაშვილმა, თემურმა, რომელიც ბათუმში ცხოვრობს, ასეთი ამბავი მომითხრო: სამსახურში, წლების მანძილზე, ფეხით დავდივარ. მარშრუტიც უცვლელი მაქვს, მაგრამ ერთხელ, რაღაცაზე განერვიულებულმა, უნებურად სხვა, პარალელური ქუჩისკენ გადავუხვიე. მივდივარ უსიამოვნო ფიქრებით დამძიმებული, თავჩაღუნული. უცებ მესმის რუსულად ნათქვამი: - „მიწას რას ჩასცქერი, შვილო, თავი აწიე, ღმერთს შეხედე! ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!"

შემკრთალმა, გაოცებულმა, იქეთ გავიხედე, საიდანაც ხმა მომესმა. მახლობელი კორპუსის ერთ-ერთი ფანჯრიდან ღრმად მოხუცი, რუსის ქალი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე თვალებით მიცქერდა და ჩემი მიმართულებით, ჰაერში ჯვარს გამოსახავდა. დიდი მადლობა მოვახსენე და საოცრად დამშვიდებულმა, შეუცნობელი სიხარულით

აღვსილმა გავნაგრძე გზა. მოგვიანებით გავიკითხე მის შესახებ. მაგას როგორ არ იცნობ, „ბაბუშკა სოფია" მეტად უცნაური ვინმეა: უკვე რამდენიმე წელია, ყოველ დილით გამოაღებს ფანჯარას, ასე, ერთი-ორი საათის განმავლობაში გამვლელ-გამომვლელს ლოცავს. მერე მიიხურავს სარკმელს და მიეცემა მარტოობას, მეორე დილამდეო.

* * *

ოთხი წლის შვილიშვილს მიასეირნებს მამიდაჩემი, მარიამი, სოფლის ცენტრისკენ. ნაცნობი ქალი შეხვდა.

- გამარჯობა!
- გაგიმარჯოს!
- ეგ ბავშვი ვინ არის?
- ჩემი შვილიშვილია.
- რა ჰქვია?
- მარიამი.
- ჰო, მოგირგეს ნერგი?

* * *

ზარზმის მონასტერი. ბერი გიორგი ზარზმელის დაკრძალვა. ცხედარი სამარეში ჩაუშვეს თუ არა, წვიმა წამოვიდა. ცრიდა სევდიანად, ჩუმად. უხმოდ ტიროდა გარშემო მდგომი ხალხიც. როგორც კი ბოლო ნიჩაბი მიაყარეს საფლავს, წვიმა შეწყდა.

თბილისისკენ მომავალს, ბორჯომთან ახლოს, გამიწვიმდა. ცას გავხედე: ის ღრუბელი ვიცანი, ჩვენთან ერთად რომ დაიტირა მამა გიორგი.

* * *

ერთ კროსვორდში ასეთი კითხვა იყო: "თვალის დამცავი სითხე"

პასუხი ძნელი გამოსაცნობი არ გახლდათ: ,,ცრემლი".

მაგრამ ...

ცრემლი სიხარულის, ცრემლი მწუხარების, ცრემლი სიმწრის, ცრემლი ბედნიერების... ამათ კიდე – ,,დამცავი სითხეო"!

აქტუალური თემა

1992 წელია. ნაბახუსევზე გული გამიხდა ცუდად.

- რა მოხდა, რა დაგემართა? - მეკითხება სანახავად მოსული მეგობარი.

- მთვრალი მობრძანდა გუშინ, ბატონო და აი შედეგიც! - დასვა დიაგნოზი ჩემმა ცოლმა.

- მთვრალი არ ვყოფილვარ, ნასვამი ვიყავი! - ვაპროტესტებ მე.

- აბა სიმთვრალეს რას ეძახი შენ?

- რას და, მეორე დღეს რაღაც-რაღაცეებს თუ ვერ ვიხსენებ, ესე იგი მთვრალი ვიყავი.

- და გუშინდელი ყველაფერი გახსოვს? - ჩამისაფრდა ცოლი.

- დიახ - ვპასუხობ ცოტა შეეჭვებული.

- მაშინ, ერთი გვითხარი, სახლში რომელი გზით მოხვედი?

- რომელი გზით და არჩევნების გზით, რა, სამხედრო გადატრიალება მოგიწყე თუ?!

* * *

- მამაო, მონასტერში ტელევიზორი თუ გაქვთ?

- რას ამბობ, ბიჭო, ,,საფარაში" ტელევიზორი კი არა, სარკე არ აჩვენებს!

ეს, მამა საბაა, ძალიან ენამახვილი და საყვარელი ადამიანი. ასეთი ამბავი მომითხრო: ვარძიაში ყოფნის დროს ერთმა ქალმა მომმართა: - მეზობელი სოფლიდან ვარ. სტუმრები მყავს აჭარიდან და თუ შეიძლება, გაგვიწიეთ მეგზურობაო. უარს როგორ ვეტყოდი. თითქმის ორი საათი დავყვებოდი. ვუამბე ყველაფერი, რაც კი მონასტრის შესახებ ვიცოდი. სტუმრებზე მეტად ეს ქალი იყო გაკვირვებული და აღტაცებული:

- ამ სოფელში დავიბადე, ორმოცდაათი წელი აქ გავატარე და ვარძიაში პირველად ვარ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი დიდებული რამ თუ იყო!

ვეღარ შევიკავე თავი და ვუსაყვედურე:

- შე დალოცვილო, ან ბავშვობაში პეპელას არ გამოკიდებიხარ? ან ხბო არ დაგკარგვია? აქამდე ვარძიაში როგორ არ მოხვდი?!

სიბერე ის ასაკია, როდესაც შენგან მხოლოდ ისღა უკვირთ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ.

* * *

ხომ უცნაური სიკვდილია: მოხუცი მანდილოსანი, საძინებელი ოთახიდან სააბაზანოსკენ ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით მიემართებოდა. წინ შვილი მიუძღოდა. უცებ შვილმა იგრძნო, რომ რაღაც ხდებოდა. მოიხედა. დედა ოთახის შუაგულში გახევებული იდგა.

- დედა, რა დაგემართა?

- გული გამიჩერდა - თქვა და უსულოდ დაეცა.

* * *

ბოდბეში, ბაზრობაზე, ვირშებმული ურემი "შემოაგელვა" კაცმა. ვიღაც ახალგაზრდა წაელაზღანდარა:

- ძიავ, არ გაყიდი ვირსა?

- როგო არ გავყიდი, მაგრამა, მერე მამაშენი შაინახამს ორ ვირსა?!

* * *

ვასიას არათუ სიმღერა, მოსმენაც კი არ ეხერხებოდა. ვერც იმან უშველა, რომ მისი პირველი ცოლი მუსიკათმცოდნე იყო. აი, მის ვაჟს კი, რომელიც მეორე ცოლისგან შეეძინა, შესანიშნავი სმენა აღმოაჩნდა, რაზედაც ვასიამ ასეთი კომენტარი გააკეთა: - კაცო, მე არ მაქვს სმენა და ჩემ ცოლს. ამ მიშიკოს საიდან უნდა ჰქონდეს? ეტყობა ჩემი პირველი ცოლისგან გამოყვა!

* * *

ჩემი უბნელები, ვაჟა და მერაბა, ალკოჰოლს „ზომაზე მეტად“ ეტანებიან, თუმცა, უაღრესად წესიერი, განათლებული და დახვეწილი იუმორის მქონე კაცები გახლავან. ამასწინათ, ვაჟა მაჩერებს ქუჩაში მიმავალს:

- მოიცა, კარგი რამე უნდა გითხრა. გუშინ, „გრადუსში“ ვართ, რა და აბა სხვა რა საქმე გვაქვს: „ქალაქობანას“ ვთამაშობთ. ხო და, ასო „ს“-ზე, მერაბამ, იცი რა დამიწერა? „სტუდქალაქი“! თან ერთი საათი მაწვებოდა: მართალი ვარო! ჰა, აზრზე ხარ, ტო?!

* * *

ნათესავი ბიჭი მოვარდა აქოშინებული: - ნოდარ, მიშველე!

- რა მოხდა?

- ბავშვობის მეგობარი ჩამოვიდა მოსკოვიდან. იქ მაგარი ბიზნესი აქვს, დიდი ფული იშოვნა. რომ გაიგო ჩემი გაჭირვება, მითხრა, საქმეს თუ მაჩვენებ, ასი ათასი დოლარი შემიძლია მოგცეო!

- მერე?!

- რა საქმე ვაჩვენო, მასწავლე რამე ბიზნესი.

- ასე უცებ რა გითხრა. ერთი სამი დღე მაცალე და რაღაცას მოვიფიქრებ.

- აბა, შენ იცი! - გამამხნევა და გავარდა.

იმავე საღამოს მეგობარი მესტუმრა, რომელიც სწორედ იმით გამოირჩევა, რომ დღეში, საშუალოდ, ათი კომერციული იდეა მოსდის, ოღონდ რეალიზაციის საშუალება არ აქვს.

- გიზო, ასი ათასი დოლარი რომ მოგცენ, რას გააკეთებ?

- რას გავაკეთებ? გადავიდებ ფეხს ფეხზე და ვიცხოვრებ ბედნიერად, არ მეყო, მთელი ცხოვრება რაც ვირივით ვიმუშავე?!

აი, ასეთი ,,ბიზნესი" მოიფიქრა!

* * *

,,მარშრუტკის" ზოგიერთი უწესო მძღოლი ცდილობს, კოლეგას გადაასწროს, რათა მგზავრები წაართვას. ერთი ასეთი კახელი მძღოლი, რამდენჯერმე გააფრთხილეს: - ეგრე ნუ შვებიო. ის კი სულ ცოლ-შვილს იფიცებდა: - რას ამბობთ, მე გრაფიკით დავდივარო.

ერთხელაც, „ფაქტზე დაიჭირეს" წაუთაქეს, თან გალანძღეს: - შე უნამუსო, ცოლ-შვილს როგორღა იფიცებდიო?!

ამან კიდე: - მა, ცოლ-შვილი რისთვინ მინდა, გაჭირვებაში თუ არ გამომადგაო!

* * *

ექვსი შვილი ჰყავდა, ექვსივე გოგონა. უფროსი რომ გათხოვდა, თავს იიმედებდა: შვილიშვილი მაინც მეყოლება ბიჭიო. მოვიდა დრო და ისიც გოგო დაიბადა! სადღესასწაულო სუფრაზე, ჭიქა აწია, ჭერს ახედა და დაიძახა: - გმადლობ შენ, ღმერთო, რომ სიძე მაინც შემახვედრე ბიჭი!

* * *

,,ლაღიძის წყლებში” შევედით მე და ვახო:

- ეჰ, სადღაა ისეთი წყალი, ადრე რომ იყო! - ჩაილაპარაკა ვახომ.

- ეჰ, აღარც ჩვენ ვართ ისეთები, ადრე რომ ვიყავით! - ჩავილაპარაკე მე.

* * *

უსაქმოდ იყვნენ, ხო და ერთმა მოიფიქრა: „მოდი, ჩვენი სოფლის ბოზების სია ჩამოვწეროთო“.

სოფელი დიდია, ამიტომ გადაწყვიტეს: უბნების მიხედვით მივყვეთ, რომ ვინმე არ გამოგვრჩესო. ერთი ზის და წერს, მეორე კი - თავზე ადგას და კარნახობს.

ერთი უბანი „აღწერეს,“ მეორე ...

- ეს „ხანდაკები“ ხომ მოვრჩით, გადავიდეთ „ნაფუძრებზე“ - ამბობს ფეხზე მდგომი.

- არა, მანდ ერთი კიდევ დარჩა - ამოხედა მწერალმა.

- ვინა?

- არის ერთი.

- ჩემ დაზე იძახი არა? - შეცბა მოკარნახე - ჩაწერე, მაგის ..!

ვერ გააპარა!

* * *

ერთი ნაცნობის შვილს, მეოთხე კლასელ გოგონას, სკოლაში დასაწერად მიცეს თემა: ,,ჩემი მამა.” ბავშვმა ჩამოთვალა საყვარელი მამიკოს ღირსებები: რომ ის ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მამაცია და ასე შემდეგ. ყოველივე ეს დააგვირგვინა ასეთი გენიალური ფრაზით:

,,მე სანამ დავიბადებოდი, სულ ვოცნებობდი, რომ ასეთი მამა მყოლოდა!”

* * *

ზესტაფონში მიამბეს: ძაღლი ჰყავდათ საკუთარი სახლის ეზოში, კავკასიური ნაგაზი, უჭკვიანესი. მეორე სართულის ფანჯრის რაფაზე, წამით უყურადღებოდ დატოვებული, ორი წლის ბავშვი აცოცებულიყო. ფანჯრიდან რომ ვარდებოდა, მაშინღა შეასწრეს თვალი. უცებ, ძაღლმა კედელთან მიირბინა, გულაღმა დაწვა და სხეული შეაგება!

ბავშვი გადარჩა. ძაღლმაც ერთ კვირაში მოიკეთა.

* * *

- საშობაოდ ღორი ვიყიდეთ მე და მამაჩემმა - მიყვება ერთი კახელი - მანამდე არ გამეგონა: თურმე ზოგ ღორს ეგეც სცოდნია: ქათამი აღარ გაგვიჩერა ეზოში. ჭამდა კაცო, ქათმებს ჭამდა! რა უნდა გვექნა, ვადაზე ადრე დავკალით. გავიდა რამდენიმე დღე.

- აბა, იგრე ხო არ დავრჩებით - წავიდეთ, შვილო, სხვა ვიყიდოთ - მეუბნება მამაჩემი. წავედით.

ღორი კი ბლომად იყო ბაზარში, მაგრამ გვეშინია, კიდევ არ შევცდეთ. ამიტომ ეშმაკობა ვიხმარეთ, ყველას ვეუბნებით:

- იგეთი ღორი გვინდა, რო ქათამსა ჭამდეს.

უკვირთ და ვუხსნით: - მეზობლის ჯინაზე, ანდე იეგეთი გვჭირდება.

ერთი ღორი მოგვეწონა, თვალი ზედ დაგვრჩა. ძვირსაც არ აფასებდა პატრონი. ვუთხარით ჩვენი ,,ვერსია".

- არა - იუარა პატრონმა - ჩემ ღორს ეგეთი რამე არა სჩვევია.

- აბა, ჩვენ ეგეთი გვინდა – არ უტყდება მამაჩემი.

- ჰოო, არა, მაშინ ეს არ გამოგადგებათ.

- კარგი, აბა, კარგა იყავ! – გამოვტრიალდით და სხვა ღორისკენ მივდივართ. ერთიც იმ კაცის ხმა გვესმის: - ჯო, აბა ერთი აქეთ მოიწით.

მივედით: - რა არი?

- მართლა ეგეთი გინდათ?

- მართლა, მა ტყუილათ?!

- მაშინ წიყვათ, შვილო, იგეთია, გაფრენილს იჭერს, მე ამის დედა.. ამისი!

* * *

- პოლიციელი გვყავ ერთი, იცი რა ქვია? "არ აჭამოთ, ნაჭამია".

- ეგ რანაირი სახელია?

- რა ვი, აბა, ბავშვობიდანვე იგეთი მსუქანი ყოფილა. დედამისი კიდე, თურმე, სულ უკან დასდევდა და მეზობლებსა, თუ ნათესავებს ეხვეწებოდა - ,,არ აჭამოთ, ნაჭამიაო!" ხო და, შერჩა მეტსახელადა!

* * *

ყასუმა გვყავდა უბანში, ვერაზე, აზერბაიჯანელი. გარბის ერთხელ პეტრიაშვილის ქუჩაზე, თავდაღმართში.

- რა არი ყასუმ, მოხდა რამე? - უძახიან ქუჩის მეორე მხრიდან ..ბირჟავიკები"

- ძაღლმა მიკბინა, ტო, იქ მივდივარ რა, ნემსი უნდა გავიკეთო.

- სად, პოლიკლინიკაში?

- არა, ტო, ტრაკში!

* * *

პატარა ნინოს, პაპამისი, მეზობელთან აგზავნის ფულის სასესხებლად. ნინო უარზეა: მრცხვენიაო.

- შენ რათ გრცხვენია, გოგო, უთხარი, პაპამ გამომგზავნა-თქო.

- შენ წადი და უთხარი, ნინომ გამომგზავნა-თქო!

* * *

ნათესავი მყავდა სტუმრად, ახალგაზრდა კაცი. პატარა სუფრა გავშალეთ. დავილოცე, ჭიქა გამოვცალე. ისეთი დიდებული ღვინო იყო, აღტაცებით შევძახე:

- შენ გენაცვალე, ნამდვილი მირონია!

- ნოდარი ბიძია, ასე ძალიან გიყვართ ღვინო? - მეკითხება ვახტანგი.

- უჰ, ჭკუას ვკარგავ!

- აი, ხედავ? - საუბარში ჩაერთო ჩემი ცოლი - ადრე ჩემზე კარგავდი ჭკუას, ახლა კი - ღვინოზე!

- ეჰ, არც მაშინ მქონდა ჭკუა და არც ახლა მაქვს!

* * *

ბეჟანს მეზობელი სოფლის კაცებთან ჩხუბი მოუვიდა და გამწარებულმა ასეთი რამ უთხრა:

- ბიჭო, გრიბოედოვმა ერთი ჩვენი ქალი იხმარა და ძეგლი დაუდგეს. რაც მე თქვენი სოფლის ქალები მყავს ნახმარი, პატივისცემით მაინც მომეპყარით, ძეგლის დადგმას ხომ არ გთხოვთ!

* * *

ქუთაისში, ერთერთი მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილ ჭურჭელს, ასეთი წარწერა ..ამშვენებდა": „ჩაის სერვიზი კოფეზა".

წნორში, სურსათის მაღაზია ეპატიჟება მყიდველს:
„არაყი, ღვინო, შხამქიმიკატები!"

ამბროლაურში, წარწერა აბანოს კარზე:
„აბანო მუშაობს დღეს, ხვალ და ზეგ."

წარწერა ახალციხის აბანოში:
,,აბანო - 2 ლარი, ბავშვი - 1 ლარი"

წარწერა „მეიდანში", გოგირდის აბანოს შესასვლელთან:
,,სასტიკად აკრძალულია საპირისპირო სქესის ადამიანთა ჯგუფური ბანაობა."

,,შემოვიდნენ წითლები..."

ჰო და, შემოვიდნენ გურიის ერთ-ერთ სოფელშიც. არის დიდი წიოკობა: ერთმანეთში ირევა სროლის, გინების, წყევლის ხმა. ერთმა წითელარმიელმა, მეთაურის დავალებით, თანასოფლელი კი არა და ,,თლათ კარის მეზობელი" გაიგდო წინ, დასახვრეტად. გაცდნენ სოფლის ბოლოს, გადაიარეს პატარა ღელე, ტყეში შევიდნენ, გადალახეს კლდოვანი ხევი, ერთი ბორცვი, მეორე... მოუტრიალდა გატანჯული ტყვე და შეჰღაღადა:

- შე უღმერთო, თუ მკლავ, მესროლე და გაათავე, ამდენს რაღას მაბღოტიალებ!

- წადი, ფეხი გაადგი, შენ რა გენაღვლება, კი დარჩები იქ, მე ვიკითხო, ეს გზა უკან რომ მაქვს გასავლელი! - დაამადლა სიკვდილი.

* * *

გივიმ გაიხსენა სტუდენტობის დროს მომხდარი ამბავი: ლექცია გვქონდა ,,დიდ აუდიტორიაში" რამდენიმე ჯგუფს. ეს იყო ,,გეპეი"-ს პირველ კორპუსში, ორი სართულის გამაერთიანებელი, დაქანებული აუდიტორია. შემოვიდა ლექტორი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სტუდენტები დიდ პატივს ვცემდით. სანქცია სახეზე ეწერა: საშინელი ,,პახმელია"! დაჯდა მაგიდასთან და თავი ხელებში ჩარგო. კარგა ხანს იჯდა ასე. ჩვენ გასუსულები ვისხედით. ბოლოს, გაჭირვებით ასწია თავი. უკან, დაფისკენ მიიხედა: - ცარცი არ გვაქვს? მიდი, თუ ძმა ხარ, მოიტანე - მიმართა მის წინ მჯდომ ერთ სტუდენტს.

ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ ის ბიჭიც მასავით გათიშული გახლდათ, იგივე მიზეზით. ალბათ ამის გამო იყო, რომ სტუდენტი, იმის მაგივრად, რომ იქვე, მახლობელი კარიდან გასულიყო, ზემოთ, აუდიტორიის ბოლოში, მეორე კარისკენ შეუყვა კიბეს. ათიოდე წუთის შემდეგ იღება ქვედა კარი, რომელშიც გამოჩნდება იმ სტუდენტის თავი და ისმის საოცარი შეკითხვა: - მას, ცარცი ხომ არ გაქვთ?

- არა, არა, ჩვენც ვეძებთ - თავის აუწევლად პასუხობს ლექტორი.

- ბოდიში, მას! - კარი იხურება.

გადის კიდევ რაღაც დრო. შემოდის იგივე სტუდენტი, ახლა უკვე ზედა კარიდან. ჩამოივლის კიბეს, მიდის ლექტორთან და მოახსენებს: - მას, მთელი კორპუსი შემოვიარე და ცარცი ვერ ვიშოვე.

- ჰო, სხვებიც ეძებდნენ. დაჯექი, დაჯექი - ამოიხვნეშა ლექტორმა.

წარმოიდგინეთ, ჩვენ რა დღეში ჩავცვივდებოდით!

* * *

- დათუნა, ხვალ სკოლაში არ მიდიხარ.

- რატომ?

- ხვალ ოცდაექვსი მაისია - ,,დამოუკიდებლობის დღე".

- დამოუკიდებლობის დღე? რა კარგია, ესეიგი ხვალ რასაც მინდა იმას გავაკეთებ?!

* * *

90–იანი წლებია. მთვრალი კაკო ,,ბუინობს":

- ესაა ცხოვრება?! წყალი მოვიდა - გაზი წავიდა; გაზი მოვიდა - წყალი წავიდა. ეგებ მე გაზიანი წყალი მინდა, ტო!

* * *

- ნოდარ, რა ხდება პოლიტიკაში, რას მეტყვი კაის? - ტელეფონში ამერიკიდან მომძახის, რუსიკო.

- ეჰ, რა ვიცი, რა გითხრა, კაი არაფერია.

- კი, მარა, შენ არ იყავი, რომ მამხნევებდი და მაიმედებდი?

- რა ვქნა, რუსიკო, მასე მაიმედებდნენ და მამხნევებდნენ ექიმები დედაჩემზე, მარა, კი მოკვდა!

* * *

ოსიკო პაპას უთქვამს: - საქმე ვირია, დგას და გიყურებს. გაუჯავრდები - წავა. არა? - დგას და გიყურებს.

* * *

რეზოს გოგნიაშვილს სოფელში ძმაკაცი ჰყავდა, სოსო. გაზაფხულის ერთ თბილ, ლამაზ დღეს, ვენახში მუშაობის დროს, გული გაუხდა ცუდად. საღამოს ოჯახის წევრებმა რომ მიაკითხეს, ასეთი სურათი დახვდათ: ვენახის ბოლოზე, ხის ძირას მიწოლილი გარდაცვლილიყო სოსო. ღიმილშერჩენილ სახეზე მშვიდი, ალერსიანი, ჟუჟუნა წვიმა ეპკურებოდა.

არ არის სანატრელი სიკვდილი?!

* * *

ჩემი საბრალო, მოხუცი დედა,
თვალ და ხელს შუა დნება და დნება.
უჭირს დგომა და დაჯდომაც უჭირს,
უჩივის მუხლებს, აწუხებს კუჭი.
ბუზღუნებს, როცა წვიმაა გარეთ,
როდესაც ქარი აწვალებს კარებს,
აწუხებს ყინვა, აწუხებს სიცხე,
ათჯერ მონაყოლს თავიდან იწყებს ....
და მაინც, ისევ, შფოთავს ჩემს გამო
და ისევ, ჭკუის სწავლებას ლამობს.
თან ეს სიცოცხლე მობეზრდა თითქოს
და თან სიკვდილზეც, ვგრძნობ, შიშით ფიქრობს.

ჩემი საბრალო, მოხუცი დედა,
თვალ და ხელს შუა დნება და ქრება.

და გაქრა...

მამა ელისე

1995 წლის დეკემბრის დასაწყისში, ღვთის წყალობით, მოვხვდი კორცხელის მონასტერში, რომელიც ზუგდიდიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აქ უმშვენიერესი ბუნების წიაღში მდებარეობს, მეათე საუკუნის, მცირე ზომის ტაძარი. აქვე იყო ხით ნაგები, მონასტრის შენობა, ბერების საცხოვრებელი.

იმ დროს, აქ ცხოვრობდა რამდენიმე მორჩილი და ბერი, მათ შორის: მამა ანდრია(გვაზავა, ამჟამად გორი-სამთავისის ეპისკოპოსი); მამა ბარსანოფი(მაზმიშვილი), მამა სიმონი და მამა ელისე (ბელქანია, შემდგომში იღუმენი), რომლის ხსოვნასაც მინდა მივუძღვნა რამდენიმე სტრიქონი.

მამა ელისე, ისევე როგორც მამა ანდრია, სოხუმიდან გახლდათ. მისი მშობლები, აგრეთვე უფროსი ძმა, მამა ბენიამინი(ამჟამად მარტყოფის მონასტრის წინამძღოლი), უაღრესად ღვთისმოსავი და სათნო ადამიანები არიან. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, თავად მამა ელისეს, ახალგაზრდობაში ძალზე არეული ცხოვრებით უცხოვრია და რომ არა მოულოდნელად გაჩენილი ინტერესი ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი, მისი ცხოვრების გზა მონასტრის ნაცვლად, ციხისაკენ მიემართებოდა. აფხაზეთის ომის შემდეგ ბერი ელისე, მეგობრებთან ერთად, ზუგდიდში აღმოჩნდა, საიდანაც მეუფე დანიელის კურთხევით კორცხელის მონასტერში დასახლდა.

აქაური ტაძარი, რომელიც სოფელ კორცხელის სასაფლაოზე მდებარეობს, მრავალი ათეული წლის მანძილზე ხან საწყობად, ხან თავლად გამოიყენებოდა და არც რაიმე საცხოვრებელი არსებობდა მის მახლობლად. ახლგაზრდა ბერების მუხლჩაუხრელი შრომითა და რამდენიმე სოფლელის დახმარებით, ტაძარი გასუფთავდა და მოწესრიგდა, აიგო საცხოვრებელი შენობა. ერთი წლის განმავლობაში, წირვა-ლოცვის ჩასატარებლად, ზუგდიდიდან მეუფე დანიელი ამოდიოდა. 1996 წლის ნოემბერში მამა ელისე მღვდლად ეკურთხა და მონასტრის წინამძღოლობაც მას დაეკისრა. მრევლი დიდი არ იყო: ორიოდე მამაკაცი და ოთხი-ხუთი ქალი თუ მოვიდოდა წირვაზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სამეგრელოში გავრცელებული, ე.წ. “ბატონების” თაყვანისცემა იყო, რასაც მეორე უბედურება, “იეღოველთა” მოძალებაც დაემატა. ,,ბატონებს” ანგელოზებს ეძახიან. არიან ასეთი ადამიანები, რომელნიც ამბობენ, რომ მათ ეცხადებიან ანგელოზები, რომელთა კარნახითაც ისინი სხვადასხვა სასწაულებს ახდენენ. მართალია, რიტუალების დროს ეს ადამიანები სანთელსაც ანთებენ და სახლში

ხატებიც უსვენიათ, მაგრამ აშკარაა, რომ ყოველივე ამაში სატანური ძალები ურევია. ამის დასტურად მოვიყვან ერთი ახალგაზრდის მონათხრობს, რომელიც სწორედ კორცხელის მონასტერში, მისგან მოვისმინე:

გიგა (ასე დავარქვათ მას პირობითად), ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. დედამ იგი მართლმორწმუნე ქრისტიანად აღზარდა. იცავდა მარხვას, დადიოდა ზუგდიდის ეკლესიაში, ესწრებოდა წირვა-ლოცვას, ეზიარებოდა. მაგრამ ერთხელ, სიზმრად, უცნობი მოხუცი ქალი გამოეცხადა: ,,შენ კარგი ბიჭი ხარ, მინდა დაგეხმარო. ისე მოვაწყობ, რომ შენს ღარიბ ოჯახს, შენი წყალობით, შემოსავალი გაუჩნდეს. გააკეთე რასაც მე გირჩევ და ყველაფერი კარგად იქნება.”

მართლაც, მოხუცის დახმარებით, რომელიც თავიდან მხოლოდ სიზმარში, შემდეგ კი ცხადშიაც ეჩვენებოდა, ბიჭმა, მალე მახლობელ სოფლებში სახელი გაითქვა. მოჰქონდათ, ვისაც რისი საშუალება გააჩნდა: ფული, ქათამი, ფქვილი, გოჭი. ,,ბატონი” ასწავლიდა, სახვადასხვა ბალახებისაგან წამლების, ჯადოს მოსახსნელი და შესალოცი ნაყენების დამზადებას; კარნახობდა დაკარგული ადამიანების ადგილ-საყოფელს; აფრთხილებდა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ. ვთქვათ, ოჯახურ სუფრასთან ისხდნენ ყველანი: დედ-მამა, ძმა, დები, ბებია. უცებ ქალი მის გვერდით გაჩნდებოდა და უწყებდა ლაპარაკს, თუმცა ვერავინ, გიგას გარდა ვერც ხედავდა და ვერც ხმას ისმენდა. ეკლესიაში სასიარულოდ დრო აღარ რჩებოდა. ქალი ამშვიდებდა: არა უშავს, სახლში ილოცე, მღვდლები მაინც სანდონი არ არიანო. მერე: ხატები რა საჭიროა, გულში ლოცვას მეტი ძალა აქვსო. მერე: სანთელს, მკითხაობის, შელოცვის დროს რომ ანთებ, ისიც საკმარისიაო და ა.შ. მალე ეკლესიისკენ გახედვაც აღარ უნდოდა, მთლიანად ,,ბატონებს” დაემონა. თუმცა საჭმელ-სასმელი აღარ უჭირდათ, ოჯახური მყუდროება დაირღვა: ჯერ ერთი, ყოველდღე უამრავი მომსვლელის გამო სახლში გამუდმებული გნიასი იდგა; მერე, აღარ იყო ძველებური სიამ-ტკბილობა: ჩხუბობდნენ და-ძმანი, ჩხუბობდა ცოლ-ქმარი, დედამისს თავადაც უჯავრდებოდა, ეკლესიაში სიარულს უშლიდა. მაგრამ ერთხელ ...

ფეხით მიდიოდა იმ გზაზე, რომელიც კორცხელის მონასტერს ახლოს ჩაუდიოდა. რაღაც ძალამ ტაძრისკენ გაახედა. უსაშველოდ მოუნდა შესვლა. ორი დღის შემდეგ, თანასოფლელის პირით შეუთვალა ოჯახს თავისი ადგილსამყოფელისა და გადაწყვეტილების შესახებ. ამჟამად ის, საეკლესიო სახელს ატარებს და უკვე როგორც მღვდელი, ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობს.

როგორ არ გაგახსენდება: **„რაი სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იზღვიოს, ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცუალად სულისა თვისისა?“ (სახარება მარკოსისი. 8.36-37).**

დავბრუნდეთ ისევ კორცხელში: აკი ზემოთაც მოგახსენეთ, ბერების გამუდმებული ლოცვითა და შრომით, მონასტერი დამშვენდა, კეთილმოეწყო. ამ უაღრესად სათნო, მოსიყვარულე ადამიანების შესახებ, მახლობელ სოფლებში ალაპარაკდნენ. მრევლი დღითიდღე იზრდებოდა. გაჩნდნენ შემომწირველნი და მთხოვნელნიც. ბერები მადლიერებით ღებულობდნენ ყოველგვარ დახმარებას და გულმოწყალედ გასცემდნენ. სამი წელი(1995-1998 წ. წ.) ვიმუშავე ზუგდიდში და ჩემი საუკეთესო მოგონებანი სწორედ ამ მონასტერსა და მის ბინადართ უკავშირდება. როდესაც საშუალება მქონდა, მონასტერში რამდენიმე დღითაც ვრჩებოდი. ცხადია, ამან ხელი შეუწყო ჩვენს დაახლოებას. ერთად ვლოცულობდით, ვსწავლობდით გალობას, ვსაუბრობდით სარწმუნოებაზე. მღვდლად კურთხევის შემდეგ, მამა ელისე ჩემი მოძღვარი გახდა. 1997 წლის მაისში იგი ფოკის მონასტერში იქნა გადაყვანილი, თუმცა ამ დროისთვის მრევლი იმდენად მომძლავრებული იყო, რომ მონასტერში წირვა-ლოცვა არათუ არ შენელებულა, წელიწადში რამდენჯერმე, ორი, სამი ავტობუსით ფოკაშიც ჩადიოდნენ.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა ისევ განახლდა. როცა მამა ელისე თბილისში ჩამოდიოდა, აუცილებლად შეგვეხმიანებოდა და თუ კი დრო რჩებოდა, სახლშიც გვსტუმრობდა. ორჯერ მეც მომეცა საშუალება მასთან ჩასვლისა.

მონასტერი მდებარეობს ჯავახეთში, სომხეთის საზღვართან ახლოს, სოფელ ფოკაში, ზღვის დონიდან 2080 მ. სიმაღლეზე, თავფარავანის ტბის ნაპირზე. იგი გარშემორტყმულია მთებით, რომლებზეც თითქმის მთელი წლის განმავლობაში თოვლი დევს. თავად ტბაც, ხუთი-ექვსი თვით იყინება. ბუნება მკაცრი, მაგრამ ულამაზესია! ეს ის ადგილია, საიდანაც წმიდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში მცხეთისკენ გამოემართა. აქვეა მეთორმეტე საუკუნის, თამარის დროინდელი, შესანიშნავი ტაძარი, რომლისგანაც, იმ დროისთვის, მხოლოდ ოთხი კედელი იყო შემორჩენილი. არათუ ფოკაში, გარშემო მდებარე სხვა სოფლებშიც, მხოლოდ სომხები სახლობენ. ამიტომ, მამა ელისეს, მამა ბარსანოფთან და ორიოდე მორჩილთან ერთად, მოღვაწეობის დასაწყისში დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა. ადგილობრივი მოსახლეობა მათ გამოჩენას მტრულად შეხვდა: მათ

დიდ საფრთხედ აღიქვეს იმ არემარეში ქართველთა და მითუმეტეს, მართლმადიდებელ ბერთა დაფუძნება. გარდა ამისა, მონასტერს მიეკუთვნა ტბის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც აქამდე სოფლის მოსახლეობა საძოვრად იყენებდა. კონფლიქტები ზოგჯერ ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მიდიოდა. ცხადია მამა ელისე მისი მცირერიცხოვანი რაზმით მთელ სოფელს ვერ გაუმკლავდებოდა, მაგრამ ბერებს დიდად ეხმარებოდა საპატრიარქოსგან ნაჩუქარი, ორი ვეებერთელა, კავკასიური ნაგაზი, რომელთაც ცალკე ადამიანებთან და ცალკე სოფლის ძაღლებთან უწევდათ ბრძოლა! მოგეხსენებათ, ძაღლმა კარგის დამახსოვრებაც იცის და ცუდისაც! შემდგომში, როცა ურთიერთობები ასე თუ ისე დარეგულირდა, ძაღლებს სომხების სიძულვილი მაინც შემორჩათ და არათუ იქაურს, ზოგადად, ნებისმიერი მხრიდან მოსულ სომეხს, სხვა ეროვნების ადამიანისგან არჩევდნენ და მის დასაგლეჯად იწევდნენ.

ჩემი პირველი ვიზიტის დროს, ფოკაში მატარებლით გავემგზავრე. სადგურზე რომ ჩამოვედი, დილის ოთხი საათი იყო. სოფელს ეძინა. ბინდ-ბუნდში ვარაუდით გავემართე მონასტრისკენ. უცებ, შევნიშნე, რომ შორიდან ჩემსკენ მოჰქროდა რაღაც შავი ღრუბელი. კარგად რომ დავაკვირდი, ხბოს ხელა ძაღლი აღმოჩნდა! ცხადი იყო, ვერსად გავასწრებდი. შიშისა და უმწეობისაგან ადგილზე გავშეშდი. ძაღლი მომიახლოვდა. შემათვალიერა. დამყნოსა. შემდეგ შეტრიალდა და მონასტრისაკენ წამიძღვა(მეორე ძაღლი ამ დროს დაბმული ყოფილა).

რას წარმოადგენდა იმ დროს ფოკის მამათა მონასტერი: სინამდვილეში ეს იყო ტბიდან ასე, სამასი-ოთხასი მეტრის დაშორებით, ერთმანეთზე წყვილ-წყვილად მიდგმული რამდენიმე ვაგონი, რომლებშიც განთავსებული იყო სასადილო, სამზარეულო და საძინებლები; თავში იდგა კიდევ ერთი ვაგონი, სადაც წირვა-ლოცვა აღევლინებოდა. არ არსებობდა არანაირი საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც ემატებოდა, როგორც მოგახსენეთ, საშინელი აგრესია ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. მიუხედავად ამისა, მამა ელისეს თავდაუზოგავი ლოცვის, ღვაწლისა და მონდომების წყალობით, ხუთი წლის განმავლობაში აშენდა მონასტრის შენობა, დაარსდა დედათა მონასტერი, დაიწყო ტაძრის აღდგენა. რაც ყველაზე მეტად გასაოცარი იყო, სოფლის მოსახლეობისათვის მამა ელისე არათუ პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი, “ატეც ელისე” გახდა, რამდენიმე მათგანი მართლმადიდებლურადაც მოინათლა! მასთან მოჰყავდათ უპატრონო და სახლიდან გაქცეული ბავშვები, რომელთან ზოგიერთი ეკლესიის სამსახურში დგებოდა; მოჰყავდათ ლოთები და ნარკომანები, რომელნიც განკურნებული უბრუნდებოდნენ ოჯახებს;

მოდიოდნენ პატიმრობიდან გათავისუფლებული კრიმინალები. ჩემი იქ ყოფნის დროს ასეთი შემთხვევა მოხდა:

საყიდლებზე ახალციხეში გაიგზავნა ერთი ახალგაზრდა, რომელიც თურმე რაღაც დანაშაულისათვის იძებნებოდა. ვიღაცამ იცნო, პოლიციას შეატყობინა და დააპატიმრეს. როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, მამა ელისე ახალციხეში გაემგზავრა, თან იმავდროულად, პატრიარქს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. საღამოს ბიჭთან ერთად დაბრუნდა. მე მოძღვრის კელიაში ვცხოვრობდი და ძილის წინ ხშირად ვსაუბრობდით. როდესაც ამ შემთხვევის გამო ვკითხე:

- მამაო, განა დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს? მიპასუხა:

- ცხადია, დამნაშავე სასჯელს იმსახურებს, მაგრამ შენც ხომ ატყობ, ბიჭი გამოსწორების გზას ადგას, ბერად აღკვეცის სურვილიც გამოთქვა, ციხეში კი, ვშიშობ, სულ სხვა ბედი ელის.

ეძინა დღე-ღამეში სამი-ოთხი საათი. ტანსაცმლიანი მიწვებოდა ხოლმე საწოლზე გვერდულად, ფეხებს შეიკეცავდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და ასე ისვენებდა, თითქოს არც ეძინა.

როდესაც მამა ელისეზე ვფიქრობ, პირველ რიგში მახსენდება ასეთი შემთხვევა: მაისის ერთ მზიან, მაგრამ სუსხიან დილას(ტბის ნაპირებზე ჯერ კიდევ ყინული იყო), კელიიდან გარეთ გამოსულმა ასეთი სურათი დავინახე: ტბის ნაპირიდან ასე ორი სამი მეტრის სიღრმეში ვეებერთელა, შავი ლოდი შედიოდა; ლოდზე იდგა მამა ელისე: მაღალი, გამხდარი, გამუდმებული ლოცვისა და ღვაწლისაგან მთლად გაცრეცილი; მსუბუქი ნიავი ჭაღარა თმა-წვერს უფრიალებდა; გარს სიფრიფანა ნისლი ეხვეოდა; თავს რაღაც არაამქვეყნიური ნათელი ადგა. გაოცებული, გაოგნებული შევცქეროდი ამ მისტიურ ჩვენებას: მართლაც, ხომ არ მელანდება-მეთქი! მოულოდნელად შემოტრიალდა, დამინახა, გამიღიმა. ხელის დაქნევით მიმიხმო.

- წყალში ჩადი, პეტრე(ჩემი ნათლობის სახელია) - მითხრა, როდესაც მივუახლოვდი. ტანზე გახდა დავაპირე.

- არ გინდა გახდა, ეგრე ჩადი.

წყალში ფრთხილად შევედი, სიცივისგან სუნთქვა შემეკრა. თან მოძღვარს შევცქეროდი, რათა გამეგო, თუ სადამდე უნდა შევსულიყავი.

- მიდი, მიდი შეცურე! - მიმიხვდა კითხვას.

მცირედზე რომ გავცურე, მისი ხმა მომესმა: - კმარა, ახლა აქეთ მოცურდი.

ჩაიმუხლა, თავზე ხელი დამადო: - სახელითა მამისათა - წარმოსთქვა და მოულოდნელად ჩამაყურყუმელავა. ამიშვა და განაგრძო: - და ძისათა - კვლავ დამაწვა თავზე - და სულისა

წმიდისათა, ამინ! - მესამედაც ჩამაყურყუმელავა.

- ახლა კი გაიქეცი და გამოიცვალე - მითხრა ძალიან თბილი ღიმილით. კი არ მივდიოდი, მივფრინავდი!

დაუვიწყარი იყო ფერიცვალების სადღესასწაულო წირვა, რომელიც დედათა მონასტერში ჩატარდა:

მონასტრისთვის შენობა შეძენილი იქნა ადგილობრივი ოჯახისაგან. ეკლესია ბაგაში მოაწყვეს(აკი იესოც სწორედ ბაგაში იშვა!), რომელიც სითბოს უკეთ შენახვის მიზნით, მიწის სიღრმეში იყო ნაშენები დიდი, მრუმე ლოდებით. ლოცვა დაიწყო ღამის ორ საათზე. კედლებზე ციმციმებენ პატარა სანთლები; საკურთხეველზე ბრიალებს კელაპტარი; იატაკი მოფენილია მინდვრის ფერად-ფერადი, ულამაზესი ყვავილებით; ყვავილებისა და საკმევლის გამაბრუებელი სურნელით გაჟღენთილია ჰაერი; ჭერში დატანებული, პატარა სარკმლის მინაზე, წკაპაწკუპი გაუდის წვიმას; ისმის მონაზონთა გალობის, მამა ელისეს ლოცვის ხმა და ამ ჯადოსნური სამყაროს შუაგულში მე, დაჩოქილი, მარცხენა ხელში ყვავილების თაიგულით, მარჯვენაში სანთლით, თავდახრილი, ცრემლჩამომდინარე, ლოცვებსა და გალობაში დაგვათენდა.

გარდა ფოკის მონასტერში მოღვაწეობისა, პატრიარქის კურთხევით, მამა ელისე პერიოდულად ჩადიოდა კოდორში. უნდა გენახათ, როგორი აღტაცებით საუბრობდა იქაური მრევლის შესახებ:

- საოცარია, საოცარი - ამბობდა ის - არათუ მონასტერი, ერთი პატარა ეკლესია არ გააჩნიათ, მღვდელიც კი არ ყავთ და მაინც, როგორი შინაგანი რწმენის, როგორი მლოცველი და ღვთისმოშიში ხალხია! დიდება უფალს!

გადაწყდა კოდორის ხეობაში მონასტრის დაარსება, რაც სწორედ მამა ელისეს დაევალა. 2001 წლის ნოემბერში, იგი რამდენიმე მოწაფესთან ერთად კოდორში ჩავიდა და საქმეს შეუდგა. 5 დეკემბერს, ტყეში, ადგილობრივი ხის მჭრელები მორებს ჭრიდნენ ეკლესიისთვის. მამა ელისე მიხმარებას ცდილობდა. ორჯერ გამოუყვანიათ იმ ტერიტორიიდან: – აქ თქვენი ყოფნა საშიშიაო. მაინც არ დაიშალა: მორებს ნაჯახით სხეპდა. მალე დაიღალა. იქვე ერთი ხავსიანი ლოდის ძირას მიწვა. მოულოდნელად, ზემოთ, მორი მოწყდა და მამა ელისეს მიმართულებით დაქანდა. კი დაიძახეს ზემოდან: მოერიდეთო, მამა ელისემაც თითქოს წამოიწია კიდევაც, მაგრამ რატომღაც გვერდზე აღარ გაიწია, ადგილზე დარჩა, ფეხზე მდგომი შეხვდა სიკვდილს... რამდენიმე წუთში, გონზე მოუსვლელად აღესრულა.

სვანები გაჯიუტდნენ: ჩვენი მამა ელისე აქ უნდა დაიმარხოსო. მხოლოდ პატრიარქისა და პრეზიდენტის რწმუნებულის ჩარევის შემდეგ დათანხმდნენ ცხედრის თბილისში გადმოსვენებზე.

დაკრძალულია მარტყოფის მამათა მონასტრის ეზოში.

შეხვედრისა თუ სატელეფონო საუბრის დასასრულს, მამა ელისე მუდამ ამ სიტყვებით გვემშვიდობებოდა: ,,ილოცეთ ჩემთვის!"

„ესევითარნი არიან შრომანი და ღუაწლნი მისნი. ესევითარნი არიან ეკლესიათათვის მოღუაწეზანი მისნი. ესევითარნი არიან ნამუშაკევნი და ნიჭნი ოფლთა მისთანანი. ესევითარნი არიან გლახაკთა წყალობისა და ობოლთა შეწყნარებისა ნაყოფნი, ვითარნი მას შვენიან".

გიორგი მცირე."ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა"

* * *

ნალოცი წუხანდელი
კვლავ კიაფობს კანდელი,
ღმერთო, შენ შეისმინე
ლოცვა ცრემლად ნადენი!

* * *

უფალო, მომმადლე შენდობა,
შენდობა მომმადლე უფალო,
სულსა მიანიჭე მშვიდობა,
ხორცსა სამყოფელი უბრალო.
მომეც სიყვარულის მადლი მე,
მომეც მიტევების მადლი მე,
ცრემლი სინანულის მადინე,
სიკვდილის გზა გამიადვილე!
უფალო, მომმადლე შენდობა,
შენდობა მომმადლე უფალო,
განა მე ბევრი რამ მინდოდა:
სიცოცხლე მშვიდი და უბრალო.

* * *

ოთარი ვერელი იყო, ალიკო–ვაკელი. ბავშვობიდან მეგობრობდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგაც, ერთი დღე ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. ქალაქში ორივეს მაგარი ბიჭის სახელი ქონდა. რესტორანში დათვრენ ერთ საღამოს. მერე დიდი ჩხუბი მოხდა. დანამდვილებით არავინ იცის, ამბობდნენ, შემთხვევითო: ალიკას ნასროლი ტყვია ოთარს მოხვდა! ამ დროს მილიციაც გამოჩნდა. ვინ საით გარბოდა და ვინ საით. ოთარი სასწრაფომ წაიყვანა. მეორე დილით ძმაკაცები ავიდნენ ალიკოსთან. ეძინა. გააღვიძეს.

- ბიჭო, ეგ რა ქენი?!

- რა?

- რაღა რა, ოთარი მოკვდა!

- როგორ თუ მოკვდა, რა მოუვიდა?

- აღარ გახსოვს? შენი ტყვიით მოკვდა!

- მოიცა, მოიცა, ოთარი მოკვდა? მე მოვკალი?! - ჩაფიქრდა. ალბათ, მაშინღა აღიდგინა წინა ღამის ამბები.

- ერთი წუთი დამაცადეთ - ჩაილაპარაკა და სააბაზანოსკენ წავიდა.

კარი მიიკეტა და ათიოდ წამში სროლის ხმა გაისმა.

არადა, ძაან დიდებიც არ იყვნენ: 19 - 19 წლისანი!

* * *

თვითმფრინავში: - ტრაპზე რომ ამოვდიოდით, მაგ კაცმა იმნაირი დააცხიკვა, თვითმფრინავი კინაღამ აფრინდა!

* * *

დიდი ხნის უნახავ ნაცნობს ეძებდა ვაჟა. მისამართი კარგად ახსოვდა, მაგრამ გვარი და ბინის ნომერი ეეჭვებოდა, ამიტომ სადარბაზოში შემოფეთებულ კაცს ჰკითხა:

- უკაცრავად, ბატონო, ღლონტი ან ჟღენტი, ხომ არ იცით სად ცხოვრობს?

- ჯიბუტი, ბატონო, ჯიბუტი! აგერ, მესამე სართულზე - მიასწავლა საზრიანმა მეზობელმა.

* * *

წინა დღეებში ტელევიზიამ გადმოსცა: ფალსიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით, ამიერიდან ნამდვილი ბორჯომი ჩამოისხმება ბოთლებში, რომელზეც ირემი იქნება გამოსახულიო. ნაბახუსევზე ბაზრობაზე მომიწია გასვლა. ყელი მიხმებოდა. გამყიდველს ბორჯომი ვთხოვე.

- მიირთვით, ბატონო - მაწვდის ბოთლს კაცი, რომელიც მკვეთრი მეგრული აქცენტით მეტყველებს. დავხედე: ირემი არ ახატია. - არა, ასეთი არ მინდა.

- აბა, როგორი?

- ბოთლზე ირემი უნდა ეხატოს.

- კაცო, შენ ბორჯომი გინდა, თუ ირემი?!

- ბორჯომი მინდა, მაგრამ ისეთი ბოთლით, ზედ ირემი რომ იქნება გამოსახული.

- ააა, გასაგებია – ეღიმება გამყიდველს - შენ გგონია, ეგ ნაღდია? აგერ შენ ირმიანი ლიმონათი და აგერ ირმიანი ,,პივა"! - ამოალაგა ბოთლები.

* * *

ვახო ყაველაშვილს თვალი ატკივდა და მხედველობაც დააკლდა. რაც დრო გადიოდა, ტკივილი მატულობდა, თან იმ თვალიდან თითქმის ვეღარ ხედავდა.

- შარშან, ზუსტად ასე, დედაჩემს ატკივდა თვალი - მეუბნება ვახო - ისე განვიცადე, ეკლესიაში წავედი, სანთლები დავანთე და ღმერთს შევთხოვე: ღმერთო, გევედრები, ეგ ავადმყოფობა დედაჩემიდან ჩემზე გადმოიტანე-თქო. მართლაც: მე კი დამიავადდა თვალი, მაგრამ სამაგიეროდ, დედაჩემი სასწაულებრივად განიკურნა!

- შე დალოცვილო - გადავირიე მე - თუ ასე გისმენს ღმერთი, პირდაპირ დედაშენის განკურნება გეთხოვა, შენ რაღას იუბედურებდი თავს?!

* * *

შემოქმედი. მამათა მონასტერი: - მამაო, სამი დღის წინ ახლად ნაყიდი მანქანა რომ მიკურთხე, გახსოვს მაი ამბავი? - გაბრაზებით ეუბნება მამა გიორგის ერთი გლეხი.

- კი მახსოვს.

- ხოდა, გუშინ ის მანქანა მომპარეს, აბა!

- შვილო, მე მანქანა ვაკურთხე, სიგნალიზეცია კი არ დამიყენებია!

ზოგჯერ ღმერთი უღირს ადამიანსაც აძლევს ღირსეული საქმის კეთების საშუალებას!

* * *

მამაჩემი კომუნისტების ეპოქაში გაზრდილი, პატიოსანი, მეტად ღირსეული, განათლებული, მაგრამ აბსოლუტურად ურწმუნო კაცი იყო. სიცოცხლის ბოლო წლები მძიმე ავადმყოფობაში გაატარა.

- იმ დილით, გაიღვიძა თუ არა, დამიძახა – მომითხრო მოგვიანებით დედაჩემმა – მოდი, რაღაც უნდა გითხრა: – შენ ხომ იცი, ჩემი ურწმუნობის ამბავი. წუხელ, თეთრი წვერ-ულვაშით შემკული მოხუცი გამომეცხადა. მითხრა: ,,აი, შენ ხომ ღმერთის და იმქვეყნიური არსებობისა არ გჯერავს. აბა, ახლა წამომყევი, რა განახოო!" წამიყვანა და სულ მომატარა სამოთხე, ჯოჯოხეთი. რაც მე ვნახე, იმას ვერ მოგიყვები, ოღონდ ახლა კი დავიჯერე ღმერთის არსებობა! საღამოს გარდაიცვალა.

* * *

მაშინ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში, ყოფილ ფერმის შენობაში მცხოვრებ დევნილთა მდგომარეობას ვსწავლობდით. კარგა ხანს ვესაუბრეთ იქ შეკრებილ ოცდაათამდე ადამიანს. თავიდანვე ყურადღება მივაქციე: შორეულ კუთხეში, თუნუქის ღუმელთან, თეთრი თმა-წვერით შემოსილი მოხუცი კაცი იჯდა ოდნავ წინ წახრილი, თავჩაქინდრული. ჩვენი იქ ყოფნის თითქმის ერთი საათის მანძილზე ერთხელაც არ გამოუხედავს ჩვენსკენ. მიზეზი ვიკითხე.

- მაგ კაცი არ ლაპარაკობს ბატონო.

- მუნჯია?

- არა, ბატონო, თვითონ აიკრძალა ლაპარაკი.

- რატომ?

- მაგ, საცოდავს, აფხაზებმა, მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს, ჩვიდმეტი ადამიანი: მისი მშობლებიდან დაწყებული, შვილიშვილებით დამთავრებული. თვითონაც მკვდარი იყო, მაგრამ მაგის საუბედუროდ, სასწაულებრივად გადარჩა. ხო და, მეხუთე წელია, აღარ ლაპარაკობს.

* * *

ქართველ კაცს ღვინის სმით როგორ გააკვირვებ, მაგრამ მერაბი, ვასია, იურა და თემური გამორჩეულად შემძლენი იყვნენ. ყანწი, ,,პლაფონი", ჯამი, ქვაბი, ,,ვაზა"... რას აღარ მოიხმარდნენ სასმისად! ერთ წვეულებაზე ჩემ მოპირდაპირედ მჯდომი კაცი გამომელაპარაკა. შეკითხვაზე:

- რა პროფესიის ბრძანდებითო - ვუპასუხე:

- საქონელმცოდნე გახლავართ.

- ეკონომისტი?

- არა, ბატონო, აი ეგ ,,საქონლები" ჩემი ნაცნობ-მეგობრები არიან – მივუთითე ბიჭებზე.

* * *

- ამას წინათ, ერთ დაწესებულებაში ვიყავი და იცი ვის მოვკარი თვალი? - ეუბნება ვაჟა ალეკოს - ჯგუფელი რომ გვყავდა, გურამი, მგონი ის იყო. გავიწიე კიდევაც გამოსაცნაურებლად, მაგრამ იმან თვალი ამარიდა და ვიფიქრე, ალბათ მეშლება-მეთქი.

- თუ თვალი აგარიდა, ეგ იქნებოდა! - დარწმუნებით პასუხობს ალეკო.

* * *

მარნეულის ახლოს, ერთ პატარა, ქართულ სოფელში, ძმები გავიცანი, გვარად ჭეშმარიტაშვილები! აქამდე ასეთი გვარი არ გამეგო. გამიკვირდა, მესიამოვნა.

- ჩვენ ბატონო, წარმოშობით გორის რაიონიდანა ვართ, მეჯვრისხევიდან. ადრე გოგატიძეები ვიყავით - ამიხსნეს კაცებმა - პაპა გვყავდა ისეთი ბრძენი, ისეთი ღირსეული პიროვნება, მეზობელი სოფლებიდანაც კი მასთან მოდიოდნენ ჭკუის საკითხავად. თუ რამე სადავო საქმე იქნებოდა, სასამართლო ვის უნდოდა?! იმის განაჩენი უტყუარი და საბოლოო იყო! ამიტომ ,,ჭეშმარიტას" ეძახდნენ. ხოდა, რო გარდაიცვალა ის სულგანათლებული, იმის საპატივსაცემოდ, მისმა შთამომავლებმა გადავწყვიტეთ, ჭეშმარიტაშვილებად დავწერილი-ყავით. ასე უნდა იცხოვრო კაცმა!

* * *

ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს
ყველა ნებდება, ყველა წყვეტს ბრძოლას.
ყველა ნებდება ბოლოს და ბოლოს,
თითო-ოროლა დარჩება მხოლოდ,
ვინაც არ დათმობს მამულს და ენას,
ვინც არ შეიცვლის აზრსა და რწმენას!
ვიღაც აიღებს იარაღს ხელში
და დაასრულებს სიცოცხლეს ტყეში.
ვიღაც გიჟისას ჩაიცვამს სამოსს,
რომ მამულისთვის ასე ეწამოს.
საყოველთაო სიმშვიდის მიღმა,
ვიღაც ლოთისას მოირგებს ნიღაბს.
და როგორც ადრე, დარდის არ მჩენი,
დაელოდება მამული ჩვენი ...

* * *

- ახლა კი მივხვდი, რისი ბრალია ჩემი ასეთი უიღბლობა _ იტკიცა ერთ დღეს შუბლში ხელი ალექსიმ - რამდენი წელია, ცხვარი მყავს შეთქმული წმიდა გიორგისთვის, ვერ იქნა, ვერ დავაყენე საშველი. ხვალვე ავიყვან სალოცავზე და გოუშობ!

სალოცავი ჭრებალოს თავზე, ასე, ხუთი კილომეტრის სავალზეა. თან ისეთ დაკიდულ კლდეზეა საბღოტიალო, ნუ იტყვი! ეს ცხვარიც რომ გაჯიუტდა და არაფრით არ მიყვებოდა?! მოკლედ, მთლად დაიღლიტა სახე, ხელ-ფეხი, მარა დანაპირები მაინც შეასრულა და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს, საღამოსპირზე, მეზობელი უძახის ეზოს გარედან: - ბოშო, აგერ ცხვარი ნავხე ჩვენ ტყეში, დავკლათ და ვიქეიფოთ გემრიელად, რას იტყვი შენ?

უყურებს ალექსი: ის, თავისი შენაწირი არ მოუბრძანებია თოკჩაბმული?

- მამაცხონებულო, შენ თუ იყავი წმიდა გიორგი ვერ მითხარი? ცხვირ–პირი რაღას დამაღლეტიე, აქვე მოგართმევდი მაგ ცხვარს!

* * *

ახალციხიდან საფარის მონასტრამდე ათი კილომეტრია. მიყვარს ამ გზის ფეხით გავლა. განსაკუთრებით ლამაზია გზის მეორე ნახევარი, როდესაც სოფელს გაცდები: მიდიხარ ტყის პირას ლოცვა-გალობით, თან მოგყვება ნაძვების, ყვავილების, ბალახების სურნელი, ჩიტების ჭიკჭიკი, ერთ-ორგან წყაროც შემოგხვდება, ასე გგონია: სასუფევლის გზას ადგახარ! ავიდოდი მონასტერში, გულიანად ვილოცებდი, საღამომდე ვისვენებდი და ვბრუნდებოდი უკან. სოფლის დასაწყისში, ერთ ადგილას, დიდი ლოდების გროვაა. ეს სოფლის სამლოცველოა, სადაც წელიწადში ერთხელ, იქაურები იკრიბებიან, საკლავს კლავენ, ღმერთს შეწევნას თხოვენ და დღესასწაულობენ. გადმოცემით, აქ დასაფლავებული ყოფილა მტერთან ბრძოლაში დაღუპული ცხრა ძმა. სამწუხაროდ, მათი ვინაობა უცნობია.

ვიდრე ტყეს მიადგები, მიტოვებულ ფერმებს უნდა ჩაუარო. ხო და, ერთხელ, საფარისკენ მიმავალმა, ფერმებს რომ გავუსწორდი, რაღაც საფრთხე ვიგრძენი. გავიხედე ხელმარცხნივ და რას ვხედავ: ვეებერთელა ქართული ნაგაზი მოჰქრის ჩემსკენ. ეს ძაღლი აქ მრავალი წლის წინ მოუყვანიათ მწყემსებს. ფერმის დაშლისა და გაუდაბურების შემდეგ, ძაღლმა სადარაჯო არ მიატოვა და აქვე დარჩენილა. გაქცევას აზრი არ ჰქონდა. გავშეშდი ადგილზე. მოვიდა, დამყნოსა, გარშემო შემომიარა და ფეხებთან დამიწვა. ოდნავ გატოკებაზეც კი თავს მაღლა სწევს და საშინელი ხმით მიღრენს: განძრევის საშუალებას არ მაძლევს! ვიდექი ასე, ალბათ თხუთმეტი-ოცი წუთი. მერე, როგორც ადამიანს, დავუწყე ლაპარაკი:

_ აბა, თუ ხვდები, რას აკეთებ: მე ღვთის სახლში მივდივარ სალოცავად, შენ კი მაბრკოლებ. ჭკვიანი ძაღლი სჩანხარ, ამდენი როგორ არ უნდა გესმოდეს?!

ერთი ამომხედა. მერე წამოდგა და ფერმისკენ დინჯად გაემართა, მე კი გზა განვაგრძე.

* * *

1991 წლის შემოდგომაზე ეროვნულმა მთავრობამ თხოვნით მიმართა მოსახლეობას: ყურძენი სახელმწიფო ღვინის ქარხნებში ჩაებარებინათ.

მამიდაშვილი ჰყავდა რეზო გოგნიაშვილს ყვარელში, გივი, საუკეთესო ვენახების პატრონი. მიადგნენ კერძო შემსყიდველები, მაგრამ უარი უთხრა:

- არა ვყიდი!

- რათა, კაცო?

- რათა და იმათა.

- მა ამდენ ყურძენს რას უპირებ?

- უნდ ჩავაბარო.

- კაცო, ჩვენ უფრო მეტს გიხდით, თანაც ახლავე, ნაღდ ფულს!

- უნდ ჩავაბარო! - იყო გივის საბოლოო პასუხი და ვინღა გადაათქმევინებდა!

დიდი წვალებით იშოვნა მანქანა, დატვირთა. კი მიიტანა ქარხნამდე, მაგრამ იქ იმხელა რიგი დახვდა, ისეთი ორომტრიალი, სულ თავბედი აწყევლინეს. იქაც მიაკითხეს კლიენტებმა:

- კაცო, დაფიქრდი, ცოდოა შენი ყურძენი ქარხანაში ჩასაბარებლად, გამოდი მაგ რიგიდან, გვითხარი რამდენი გინდა და გაძლევთ!

- უნდ ჩავაბარო! - გაჯიუტდა გივი და როცა იქნა, როგორც იქნა, ჩააბარა კიდევაც.

საღამოს, შინაურულ სუფრაზე, რეზომ ჰკითხა:

- გივი, მაინც რა აჩემება იყო ამ ყურძნის ჩაბარება?

- ჯო, ზვიადმა გვთხოვა, ,,სახელმწიფოს ჩააბარეთო", უჭირს ქვეყანას, იმ კაცს ვერ დავაღალატებდი!

ეს ამბავი რეზომ თბილისელ ნაცნობს მოუთხრო, იმან - მუხრან მაჭავარიანს, მუხრანმა კი - თვით პრეზიდენტს. გული აუჩუყდა თურმე ზვიადს და თვალები აუცრემლიანდა!

ახლა ეს ამბავი წამოვიდა იმავე არხებით უკანა გზაზე. ხო და, ბოლოს გივიას რომ უთხრა რეზომ: - შენი საქციელის შესახებ ზვიადს მოუთხრეს, იმას კიდე ცრემლები წამოსცვენიაო, გივი ერთხანს ჩაფიქრებულა, შემდეგ უთქვამს:

- ხო, იგრე იქნებოდა!

ჭულეში

ჩანჩქერი შენი მონატრების,
ტყე და კლდეები შენისლული...
უმშვენიერეს მონასტერში,
შებინდდა როცა,
მოსახსენებლად შენი სულის,
აღევლინა მხურვალე ლოცვა!

* * *

მესხეთი. ჭულეს მონასტერი. ჩემ გარდა, სტუმრად კიდევ ოთხი თბილისელია: სამი ახალგაზრდა და ერთიც, მათი უფროსი მეგობარი, 40 წელს გადაცილებული, ოთარი. ბევრი ხვეწნის შემდეგ, მამა დიმიტრის საღამოობით კალათბურთის თამაშის უფლება გამოტყუეს ბიჭებმა. უცებ ფარი დაამზადეს, ბურთიც ჰქონიათ, ოღონდ დაჩუტული აღმოჩნდა. ჰაერის ჩასატუმბი კი მოიძიეს, მაგრამ ახლა ნემსი გახდა პრობლემა. გაგიჟდნენ ბიჭები: ერთი უბრალო ნემსის გამო ასეთი ღონისძიება ეშლებოდათ. “რა ვქნათ, რა ვქნათ”-ში, მოულოდნელად, ოთარმა ჩაილაპარაკა:

- მე კი მაქვს ნემსი, მარა . . .

- რა ,,მარა” - ეცნენ ბიჭები.

- არა, არა, სამედიცინო ნემსია.

- წავა კაცო!

- ბიჭო, ეგ ერთი ცალი მაქვს, წამლის გასაკეთებლად.

- რა წამალი გინდა, კაჟივით ხარ!

- მოიცა რა, შენ მასწავლი? უცებ შეტევა რომ დამემართოს, ნემსი თუ არ გავიკეთე, დაბრედილი ვარ!

- არა, არაფერი მოგივა.

- შენ რა იცი?

- ნემსი რად გინდა, ოთარ, მონასტერში ხარ! ილოცე და კარგად გახდები!

- ვაჰ! შენ ილოცე და ბურთი გაიბერება!

* * *

მრავალწლიანმა დაკვირვებებმა ერთ უცნაურ დასკვნამდე მიმიყვანა: არანაირი წამალი, მალამო, თუ საფენი: ერთადერთი, რაც ჩემ მტკივან ფეხებს მართლაც შველის, გახლავთ წოლითი რეჟიმი! მაგრამ აქ ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ კი სულ უნდა ვიწვე, რაღა საჭიროა ფეხები?!

* * *

,,ბირდაბირი" გეცოდინებათ: გრძელი, ორტარიანი ხერხია. ხეების, მორების დასახერხად ხმარობენ. აქეთ-იქიდან დადგება ორი კაცი, გაწევენ და გამოწევენ. ,,ბირ"–თათრული სიტყვაა და ,,ერთს" ნიშნავს. ანუ: ,,ერთი ერთზეო". აი, ჩემს სოფელში კი ამ ინსტრუმენტს ,,ხიზარს" უძახიან.

სიტყვა: ,,ზარი" ძველქართულში უბედურების მნიშვნელობითაც იხმარებოდა (თავზარი, გლოვის ზარი...). აქედან ცხადი ხდება ამ სიტყვის შინაარსი: ,,ხის-ზარი" – ხის წამქცეველი. დიდებული ქართული სიტყვაა, ჩვენ კი რატომღაც არაქართულს ვარჩევთ!

* * *

ერთხელ ,,კარგ ხასიათზე" მყოფმა ჩემმა სიმამრმა მითხრა: - შვილო, ხო ხედავ, ეს შენი სიდედრი დაბერდა, თანაც სულ ჯიჯღინებს. ასეთი რამე მოვიფიქრე: სიდედრი უნდა გამოგიცვალო. ახალ ცოლს მოვიყვან, შენც დაისვენებ და მეც ხო მეშველება და მეშველება!

- არა ,,ილიჩ", მე უფრო კარგი აზრი მაქვს: ცოლს გამოვიცვლი და სიდედრიც შემეცვლება, ცოლისდაც, ცოლისძმაც და საერთოდ, მთელი ,,სასტავი!

* * *

ბეჟანს, როგორც მართლმადიდებლობის განუხრელად დამცველს ერთ "მწარე" კათოლიკესთან კამათი მოუვიდა. ოპონენტის მთავარი კოზირი ასეთი იყო: - თავის დროზე სწორედ კათოლიკობამ გადაარჩინა მესხეთი გამუსლიმანებას!

მაგრამ ბეჟანს სიტყვას რას მოუგებ: - წყალდიდობის დროს თავის გადასარჩენად შეიძლება ხეზე ახვიდე, მაგრამ წყალი რო წავა, აღარ ჩამოხვალ დაბლა? მაიმუნივით ხეზე უნდა დარჩე?!

* * *

ჩემ ნათესავს, არტემს, ოთხი გოგო ჰყავს. მეოთხე გოგოც რომ დანიშნა და სიძის ოჯახშიც გაისტუმრა, სწორედ მეორე დღეს სხვა მთხოვნელები მოადგნენ, ჩანს, გოგონას გათხოვების ამბავი არ იცოდნენ. აუხსნა არტემმა სტუმრებს მდგომარეობა, შემდეგ ცოლს მიუბრუნდა და უსაყვედურა:

- აი, ქალო, ხომ გეხვეწებოდი, კიდევ ერთიც გავაკეთოთ-მეთქი? რომ დაგეჯერებინა, ამ ხალხს ასე უპატივცემულოდ ხომ არ გავუშვებდით?!

* * *

ზაფხულის საღამოა. ერთ ოთახში 6 წლის დათუნა მულტფილმებს უყურებს, მეორეში მე–ფეხბურთს. უცებ იელვა და საშინლად დაქუხა. ის იყო, გავიფიქრე: ბავშვს შეეშინდებოდა-მეთქი და მისი ფეხის ხმაც მომესმა. ოთახში აქოშინებული შემოვარდა:

- ნოდარი, რა მაგარი ხმა იყო, არა?!

- კი, პაპი. რა იყო, ხომ არ შეგეშინდა?

- არა, არ შემეშინდა, მაგრამ კინაღამ გული გამისკდა!

* * *

წირვის დროს გული ცუდად გამიხდა: ისე ვიყავი, შევშინდი: არ მოვკვდემეთქი და ტაძრიდან გამოვედი. სანამ მოვიკეთე, წირვა დამთავრდა და უზიარებელი დავრჩი, რაც მოგვიანებით, მოძღვართან მოვინანიე.

- ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ - მითხრა მამა იოანემ – ადრე, თუ გვიან, საწოლში, გზაში, ზღვაში, ჰაერში, სადღაც, როგორღაც, უეჭველად გველის სიკვდილი და თუკი ეს ადგილი ტაძარი იქნება, ამაზე დიდებული რა უნდა იყოს? სად გარბოდი?!

* * *

ისეთი მძიმე ფორმის ინფარქტი გადაიტანა, სხვა ,,სიკეთესთან" ერთად, რაღაც დროით, სექსიც აუკრძალეს. არადა, ახალგაზრდა კაცს, ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა. ძალიან დადარდიანდა. მეგობარმა ურჩია: სანამ ,,საქმეს" დაიწყებ, ჯერ სასწრაფო გამოიძახე. იმათ მოსვლამდე საკმაო დრო გექნება. თუ ცუდად გახდი, ხო მოვლენ და გიშველიან, თუ არა, მოუბოდიშებ და ეგ იქნებაო.

იდეამ მაგრად გაამართლა, მხოლოდ ერთ რამეს ჩიოდა მოგვიანებით: - ეს ოხერი, ისე ცუდად დავეჩვიე, სანამ 03-ს არ ავკრებ, არაფერი ,,გამომდისო."

* * *

- ხო იცი, რა გადარეული ვინმეა?! შეკრიბა ერთ დღეს დედამისის დაქალები, ძმაკაცების დედები, ცხადია, დედამისიც. დაიქირავა ავტობუსი და მთელი ეს შემადგენლობა მცხეთაში, ერთ ამოჩემებულ რესტორანში გააქროლა საქეიფოდ.

ნაცნობი ოფიციანტი დასტრიალებთ თავს, თან ყოველ გავლა-გამოვლაზე უღიმის და ეშმაკურად თვალს უკრავს. უკვირს: ნეტა რას მანიშნებსო? ერთიც, ეს ოფიციანტი მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

- რა ტიპი ხარ მიხაილოვიჩ, ამდენი ბებერი ბოზი ერთად სად შეაგროვე?!

* * *

თუ ვინმეს ვაჟკაცობა ითქმოდა თბილისში, მათ შორის ერთი, ისიც იყო! ბევრი განსაცდელი გადაეტანა, მაგრამ … ძმის დაპატიმრებას ვინღა ჩიოდა, უარესი ამბავი შეაპარეს ძმაკაცებმა დიდი მორიდებით: შენი რძალი, ქმრის საქმეებზე სიარულში, გამომძიებელს საყვარლად გაუხდიაო. ყველანაირად გადაამოწმა. როდესაც დარწმუნდა ამ ამბის სისწორეში, გამომძიებლის ბინის მისამართი დაადგინა, ერთ საღამოს სადარბაზოში დახვდა, ,,მაუზერის” ლულა პირში ჩაუდო და უბრძანა: - ერთი თვის ვადას გაძლევ, ცოლს გაცილდები და ამ ქალზე დაქორწინდები, თუ არა, თავად მიხვდი რაც მოგივაო!

იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე: ერთ თვეში ხელი მოაწერეს.

* * *

მერაბი რაიონში უპირველესი ელექტრო-სპეციალისტია, ამიტომ მეზობელმა, რომლის მაცივარი აღარ აცივებდა, დახმარებისათვის სწორედ მას მიმართა: - მერაბ, უნდა მიშველო, მაცივარი გამიფუჭდა!

- რა ხდება?

- რომ ჩავრთავ, მარტო ხმა აქვს.

- აბა, გამოსახულება არც ჩემსას აქვს! - უპასუხა ენამოსწრებულმა ოსტატმა.

სიყვარულშიც რომ ისეთივე გულწრფელნი ვიყოთ, როგორც სიძულვილში!

არის კი ჩვენი სიყვარული ქრისტესმიერი?!

* * *

იმ ზაფხულს ორი უბედურება შეემთხვა: ჯერ იყო და, ცოლ-შვილი რომ წაიყვანა სოფელში, სულ ერთი საათის სავალზე იყო ქუთაისიდან, მარა მაინც დაეზარა უკან წამოსვლა და იმ ღამეს იქ დარჩა. მეორე დღეს კი ბინა გაქურდული დახვდა. მხრებს იჩეჩავდნენ მეზობლები: - დედა, ასე რაფერ გატეხეს რკინის კარი, ერთი პატარა ხმა რა არის, ისიც რომ არ გაგვიგიაო?! ცოლს არ შეატყობინა მომხდარის შესახებ, გმირულად, მარტომ გადაიტანა ეს დარტყმა. ის კი არა, სამი დღის შემდეგ ძმაბიჭებთან ერთად მაგრად შეუბერა და იმავ სუფრიდან ერთი "მეგობარი გოგონაც" გამოიძღვანია თან. კონსპირაციის ყველა წესების დაცვით, ბალერონივით თითის წვერებზე შემდგარმა, ხელში ატატებული შეასრიალა ქალი ბინაში, მარა რად გინდა: გამთენიას კარის საკეტმა ავისმომასწავებლად გაიჩხაკუნა და გაოგნებულ წყვილს ოჯახის დიასახლისი დააცხრა თავს! შეიქნა დიდი ალიაქოთი. ბოლოს, როგორც იქნა, ის ქალი კარებში რომ გაიძურწა, ხოლო ცოლი, იმავ, ავბედით საწოლზე, "თავო ჩემოს" მოთქმით პირქვე რომ ჩაემხო, კაცი სადარბაზოში გამოიჭრა და ,,ყურადღებიან" მეზობლებს შეგღავლა: – რკინის კარები უროთი დალეწეს, არაფერი გაგიგიათ და ვინცხა ქალი პეპელასავით რომ შემომიფარფატდა ბინაში, ის ხომ არ გამოგეპარათ, ჰა!

* * *

სოფელში, სანკტ-პეტერბურგიდან, რამდენიმე დღით, ამჟამად იქ მცხოვრები, ჩვენებური კაცი ჩამოვიდა. თანასოფლელებმა ნაირნაირი კითხვები დააყარეს იქაურ ცხოვრებაზე.

- საშინელი სიძვირეა! მაგალითად, კარგი კუბო შეიძლება 10-15 ათასი დოლარიც კი ღირდეს!

- ბიჭო, ცარიელი?! - გაოცებით შესძახა ერთ-ერთმა მსმენელმა.

* * *

ოთხმოციანი წლების ბოლოს საქართველოს, მეტადრე თბილისს, ,,კაპიტალისტური სამყაროს" პოპულარული ადამიანები მოაწყდნენ. მაგალითად: დიდი ინგლისელი მწერალი ჯონ აპდაიგი, როკ ჯგუფის: "DEEP PURPLE"-ს სოლისტი იან გილანი, გაიმართა უმაღლესი დონის ჯაზფესტივალი და ა.შ.

სრულიად შემთხვევით, ერთი ასეთი, გამორჩეული პიროვნების მასპინძლობის ბედნიერება მეც მერგო წილად: ეს გახლდათ ანსამბლ "THE BEATLES"-ის პირველი მენეჯერი, ალან ვილიამსი, რომელმაც ჯგუფი პირველ გასტროლებზე, ჰამბურგში წაიყვანა. თუმცა ამის შემდეგ, ჯონ ლენონთან უთანხმოების გამო, მისი ადგილი ბრაიან ეპშტაინმა დაიკავა.

დავათვალიერებინე ქალაქის ღირშესანიშნაობანი და ცხადია, სახლში, ქართულ სუფრასთანაც მივიწვიე. მოვილხინეთ დიდებულად. მე, როგორც ,,ბითლზ"-ის დიდ თაყვანისმცემელს, მასთან უამრავი შეკითხვა მქონდა. უმთავრესი ეხებოდა სიმღერას: ,,დაბრუნება საბჭოთა კავშირში", სადაც ასეთი ტექსტია: ,,ჯორჯია მუდამ ჩემს ფიქრებშია". მაინტერესებდა, ეს ,,ჯორჯია" გულისხმობდა საქართველოს (როგორც ეს ჩვენ გვჯეროდა), თუ ამერიკის შტატს (როგორც ამას რუსები ამტკიცებდნენ). ალანმა თქვა, რომ ლენონს და მაკკარტნის გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ამავდროულად, სავარაუდოა, რომ მათთვის დამახასიათებელი იუმორით, რეი ჩარლზის ცნობილ სიმღერასაც "გაკრეს კბილი".

კარგად რომ შევზარხოშდით, ასეთი კითხვა შევბედე:

- მისტერ ვილიამს, ნუთუ გული არ გწყდებათ, რომ ღმერთმა ასეთი დიდებული შანსი მოგცათ, თქვენ კი ის ეპშტაინს დაუთმეთ?

- მე ვფიქრობ, ეპშტაინთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა მაქვს! - ჩაიცინა მან.

- რომელი?

- ის კარგა ხნის გარდაცვლილია, მე კი როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ!

სპარსული ანდაზა ამბობს: ,,ცოცხალი ძაღლი ჯობს მკვდარ ლომს". თუმცა ...

* * *

- მცხეთის კერამიკულ ქარხანაში რომ დავიწყე მუშაობა _ იხსენებს მალხაზი – ერთ-ერთი პირველი, ვინც გავიცანი, საამქროს უფროსი, ჯუმბერი იყო. კარგად გავუგეთ ერთმანეთს, დავმეგობრდით. ყოველ საღამოს რომელიმე რესტორანში ვისხედით. ოჯახებითაც დავახლოვდით, სულ ერთად ვიყავით! თბილისის ომმა და შემდგომმა გაჭირვებამ ურთიერთობების პრობლემაც შექმნა. ჩვენც, როგორღაც დავკარგეთ ერთმანეთი. ცოტათი რომ დაწყნარდა ქვეყანა, დავრეკე მცხეთაში, მის მეზობელთან (თვითონ ტელეფონი არ ჰქონდა): - გადაეცით, რომ მალხაზმა მოიკითხა.

ორი დღის მერე კიდევ დავრეკე: - უთხარით, რომ მალხაზმა დარეკა და აუცილებლად დამიკავშირდეს.

მესამედ ჩემი ტელეფონის ნომერი და მისამართიც ჩავაწერინე: ეგებ დაავიწყდა-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არანაირი რეაგირება! ერთ დღეს ისევ დავრეკე, ოღონდ ხმა შევიცვალე: - ქალბატონო, თუ იცით, ჯუმბერი მცხეთაშია?

- კი, ამ დილით დავინახე.

- თუ შეიძლება, გადაეცით, რომ მაგის მეგობარი, მალხაზ დუგლაძე გარდაიცვალა.

– უიმე, რა მითხარით, აქ რეკავდა ხოლმე. რა დაემართა?

- გული, გულმა უმტყუნა.

- საწყალი, საწყალი!

- დიახ, ქალბატონო. ხოდა, გადაეცით, რომ ხვალ და ზეგ პანაშვიდებია, მაზეგ კი ვასაფლავებთ.

მეორე დილით ბაზარი მოვიარე, კარგი ღვინოც ვიშოვნე და შუადღისთვის, სტუმრის მოლოდინში, გაშლილი სუფრის თავში დავჯექი. გახდა ოთხი საათი, ხუთი... გვიან ღამემდე ამაოდ ვუცადე. იგივე განმეორდა მეორე, მესამე დღეს. ამის შემდეგ ხელი ჩავიქნიე და ჯუმბერთან დაკავშირება აღარ მიცდია.

ასე ნახევარი წლის შემდეგ, ზაფხულის ცხელ დღეს, მე და ერთი მეგობარი, წინა დღის ნაბახუსევზე, "გეპეისთან" პატარა ბაღში ერთ-ერთ მაგიდას ვუსხედვართ და ლუდით გულს ვიგრილებთ. უცებ, ზუსტად ჩვენს წინ, მანქანა გაჩერდა და იქიდან ვიღაც კაცებთან ერთად ჯუმბერი გადმოვიდა. წამოვდექი, მისკენ ხელი გავიშვირე და დავიძახე: - შე არაკაცო, პირველ პანაშვიდზე არ მოხვედი, მეორე პანაშვიდზე არ მოხვედი, გასვენებაში მაინც არ უნდა მოსულიყავი?!

ჯუმბერს თვალები გაუფართოვდა, მთლად გათეთრდა, მერე უკან-უკან წავიდა და კარღია მანქანის სავარძელზე უგონოდ გადაესვენა. ფული გადავიხდეთ და იქაურობას გავეცალეთ.

* * *

,,ღადო”(ომარი) ყვება: ამ ზაფხულს, სახლში ვარ. სავარძელში მოკალათებული ტელევიზორს ვუყურებ. ეზოდან ჩვენი კორპუსის ბიჭების ლაპარაკი მესმის: ყოველ მეორე სიტყვაზე საკუთარ დედას იგინებიან. ამეშალა ნერვები, გამოვვარდი აივანზე. სწორედ ამ დროს, მეზობლის ქალია ერთი, ლამაზი, იმისმა შვილმა: - ჩემი დედა ... ო! - შეიგინა.

- ხო, ბიჭო, შენღა აკლდი დედაშენს! - ჩავძახე და უკან შემოვბრუნდი. იმას კი შევასწარი თვალი, პირდაფჩენილი, გაოგნებული შემომცქეროდა ქვემოდან.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ბიჭი ეზოში შემომეფეთა:

- ომარი ბიძია, თუ ატყობ, რომ აღარ ვიგინები?!

- ბიძია, მე შენთვის გეუბნები, თორემ, ისე გიქნია, ძმაკაცებიც დაგიპატიჟია!

მას შემდეგ ჩემ ეზოში აღარავინ იგინება!

* * *

- იცი, ჩემი ძმაკაცი ვეგე-ტა-ნია-რელია - მეუბნება 7 წლის დათუნა.

- ვეგეტარიანელი!

- ხო, რა, მაგ სიტყვას ვერ ვამბობ.

- მაშ, ვეგეტარიანელია? შენ საიდან იცი?

- ეგეც და მაგისი მშობლებიც. თვითონ მითხრა.

- თუ იცი ეგ რას ნიშნავს?

- კი: თურმე ხორცს საერთოდ არ ეკარებიან, მარტო ხინკალს და მწვადს ჭამენ!

ისევ დათუნას იუმორიდან: მასწავლებელი ,,ვეფხისტყაოსნის” ყოველი ახალი სტროფის წაკითხვის შემდეგ, განმარტებებს აკეთებს. ტარიელის შესახებ ასე გვითხრა: ნესტან-დარეჯანი ფარულად უყვარდა, არავის უმხელდა თავის გრძნობასო.

- ,,მასწ”, თუ არავის ეუბნებოდა, შოთა რუსთაველმა საიდან გაიგო? - იკითხა გვანცამ.

* * *

შე უცხვირპირო სიკვდილო
ჩუმ-ჩუმად რას მეპარები?
რამდენ ჩემს ძვირფას ახლობელს
ამოუღამე თვალები.
ვითომ მე რა ბედენა ვარ,
რა, ოქროს წყალში ნავლები?!
შემოდი, არ გემალები,
შემოაჯახე კარები!

* * *

მურადი ბაბუა გურიიდან საოპერაციოდ ჩამოიყვანეს. საავადმყოფოში გაირკვა, რომ ძვირადღირებული ოპერაცია, თბილისელებისთვის უფასო იყო, ამიტომ საქმე ჩააწყვეს: ახლო ნათესავს პასპორტი გამოართვეს და ანკეტა მის სახელზე გახსნეს.

კარგა ხანს უჯდა პალატის საწოლთან შვილი და უხსნიდა: - მამა, პატარა ხანს, ბოლქვძე აღარ იქნები.

- რას ქვია: აღარ ვიქნები, რასაა, რომ ჩივი?!

- მამა, ასეა საჭრო: შენ ბოლქვაძე აღარ ხარ.

- აბა ვინ ვარ?

- ვინ და, ჩხაიძე! მამა, ასეა საჭირო: ვინც არ უნდა გკითხოს, უპასუხებ, რომ ჩხაიძე ხარ.

მძიმე ოპერცია იყო. ნარკოზი მოუვიდათ მეტი, თუ რისი ბრალია, მესამე წელია, აიჩემა მურადი ბაბუამ: ჩხაიძე ვარო და ვეღარ გადაათქმევინეს.

- კი, მარა, მამა - ნერვიულობს ვაჟი - ჩვენ ბოლქვაძეები არ ვიყავით?

- კი ვიყავით ერთ დროს - მშვიდად პასუხობს მურადი - მარა, ახლა ჩხაიძეები ვართ!

* * *

სამოციანი წლების დასაწყისში, მაშინდელი ხელისუფლების პირველ პირს საქართველოში, ვასილ მჟავანაძეს მოსკოვიდან დაურეკეს:

- მეტად საპატიო სტუმარს გიგზავნით, აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს მეფეს. მასპინძლობა თქვენ არ გესწავლებათ, მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ: უზომო რაოდენობით სვამს, ჩვენ, აქ, მაგის დამთრობი კაცი ვერ მოვნახეთ და ეგებ თქვენ მაინც მოუხერხოთ რამეო.

სასწრაფოდ შეკრიბა მჟავანაძემ პარტიული აქტივი, გააცნო საქმის ვითარება და მთავარი კითხვაც დასვა: - ვინ გვყავს საქართველოში ყველაზე მაგარი მსმელი?

- შორს წასვლა არ დაგვჭირდება ვასილ პავლოვიჩ, თქვენი დაცვის უფროსს, კაპიტონ გაფრინდაშვილს მაგ საქმეში ბადალი არ ჰყავს.

- უჰ, აგაშენათ ღმერთმა, კაპიტონს დამიძახეთ!

- ხო, მაგრამ. . .

- რა "მაგრამ"?

- სატატუსით არ ეკუთვნის ბატონო.

- რა სტატუსზეა ლაპარაკი?

- დიპლომატიური სტატუსით: ის მეფეა, ეს კი დაცვის თანამშრომელი, ერთ მაგიდასთან ვერ დავსვამთ.

- ჰოო. . . აბა რა ვქნათ?

- რამე თანამდებობაზე რომ დავნიშნოთ? დროებით?!

ეს აზრი ყველამ მოიწონა! სასწრაფოდ დაიწერა ორი ბრძა-ნება: ერთი, ახალი, მანამდე არ არსებული სამინისტროს შექმნის და მეორე - მინისტრად კაპიტონ გაფრინდაშვილის დანიშვნის შესახებ.

ორმეტრიანი, კუპრივით შავი ხელმწიფე აეროპორტიდან პირდაპირ ფუნიკულიორის რესტორანში გააქანეს. საღამოსპირს, კაპიტონის მიერ გამოცლილ და ალავერდის წესით მიღებულ მორიგ ვეებერთელა ყანწს ყინწმოტეხილმა სტუმარმა შუამდეც ვერ უწია, გონდაკარგული უკან გადავარდა და დარჩენილი ღვინოც ზედ გადაისხა. გამარჯვებული თამადა დაუყოვნებლივ შეფთან გამოცხადდა და საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულება უპატაკა.

- ორ კვირიან შვებულებას გაძლევ - უთხრა გახარებულმა მჟავანაძემ _ აირჩიე საბჭოთა კავშირის ნებისმიერი კურორტი და

სახელმწიფოს ხარჯზე დაისვენე!

იმავ საღამოს ისევ დაიწერა ორი ბრძანება. პირველი: ამხანაგ კ. გაფრინდაშვილის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მეორე: ახლად შექმნილი სამინისტროს გაუქმების შესახებ.

ასე შეიქნა ბატონი კაპიტონი ერთი დღით მინისტრად.

* * *

- ბესო, რაღაც გლახად მჩხვლეტს გული, რამე წამალი გექნება - შესჩივლა მეგობარმა.

ორჯერ ინფარქტგადატანილმა ბესომ „ნიტროგლიცერინის“ აბს თან კომენტარიც მიაყოლა:

- აგერ შენ წამალი. თუ არ მოგიხდა, გადარჩენილი ხარ. თუ გიშველა - დაგერხა: ესე იგი მართლა გულია!

* * *

- გერმანელი ფაშისტები კავკასიონს რომ მოადგნენ, მთიელი მონადირეებისგან შედგენილ საგანგებო რაზმში ბიძაჩემი, სევერიანიც მიიწვიეს. ისეთი მსროლელი მთელ სვანეთში მეორე არ იყო! - ყვება ერთი სვანი.

ჩაუსაფრდნენ, თურმე, მტერს ერთ ხეობაში. თოფმომარჯვებული ბიძაჩემი საღამო ხანს რომ მიწვა მარჯვენა გვერდით გაყინულ თოვლზე, დილამდე ასე იყო იმავე გვერდზე, გაუნძრევლად! გაგიჟებულან შემსწრენი: - ადამიანის ასეთი გამძლეობა არც კი გვსმენიაო!

- კი მარა, გვერდი რომ ეცვალა, ვითომ რა მოხდებოდა?

* * *

შარაბიძეს საამშენებლო ბუმის პერიოდში ქეიფების ბუმიც ჰქონდა, რის გამოც ერთხელ ასე ვიხუმრე: – გიას ყოველი დღე ბეტონის ჩასხმით იწყება და ღვინის ჩასხმით მთავრდება, ან: ბლოკის მიღებით იწყება და პურ-მარილის მიღებით მთავრდება!

* * *

- მოდი, ჩვენი ძაღლები ვაჩხუბოთ!

- კი ბატონო, ოღონდ ძაღლს ქამარი გაუკეთე.

- ქამარი არა, კიმანოს ჩავაცმევ კიდე!

მათხოვრები

არ ვიცი, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის, თუ მათდამი სიბრალულის გამო, ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ინტერესით ვაკვირდებოდი ამ კატეგორიის ადამიანებს.

კომუნისტების დროში ხელგამოწვდილ ადამიანს თითქმის ვერ ნახავდით! არა იმიტომ, რომ არავის უჭირდა, მილიცია არ აძლევდა ქუჩაში დგომის უფლებას. წამსვე დაიფრენდნენ იქიდან. თუ არა და, სულაც, დააპატიმრებდნენ! თუმცა, სადგურებში აქა-იქ მაინც შეგხვდებოდათ კედელთან ატუზული, ძალიან ფრთხილად, მორიდებით, მოწყალების მთხოვნელი(ძირითადად მამაკაცი), უსათუოდ არაქართველი და უმეტესად ცალხელა ან ცალფეხა. ახლანდელ ახალგაზრდებს გაუჭირდებათ ამის დაჯერება: მათხოვარი კი არა, სამი-ოთხი ჩვეულებრივი ახალგაზრდა რომ დამდგარიყო ქუჩაში სალაპარაკოდ, მაშინვე მილიციელი მიეჭრებოდა ძახილით: - აბა, დავიშალოთ, დავიშალოთ!

ახალგაზრდობაში, ერთი პერიოდი, კასპში ვმუშაობდი. დილის შვიდ საათზე ,,ბორჯომის" ვაგზლიდან მიმავალ მატარებელს მივყვებოდი. მგზავრთა უმეტესობას ჩემნაირი მოსამსახურენი შეადგენდნენ. ჯერ დაძრულიც არ იყო მატარებელი, რომ მეც სხვებივით შევიფუთებოდი სამოსელში, მოვიბუზებოდი სკამზე და ვიძინებდი. სამწუხაროდ ჩვენს ნეტარებას დიდი დრო არ ეწერა: გავცდებოდით თუ არა თბილისს, გაიღებოდა ვაგონის კარი და ტამბურიდანვე შემოიჭრებოდა რუსულ-აქცენტიანი, სულის შემძრავი კივილი: ,,ხუუ-თი კა-პიკი მინ-დააა!" ამას მოსდევდა მცირე პაუზა და მომდევნო შემახილის ეპიცენტრი უკვე შუაგულ ვაგონში იყო. დაფეთებული მგზავრები გვერდს იცვლიდნენ. ქალები იწყევლებოდნენ (,,შენ ჩაგიწყდეს ეგ ხმა!"), კაცები იგინებოდნენ (,,შენი ბუღალტერიის...!"). ზოგი მათგანი მოწყალებასაც კი იმეტებდა, მაგრამ ერთი რამ კი ყველას უკვირდა: რატომ ითხოვდა ეს ქალი არც მეტს, არც ნაკლებს: მაინცადამაინც ხუთ კაპიკს?!

არანაკლებ უცნაური იყო მეორე მათხოვარი: შემოვიდოდა სალონში ორმოც წელს გადაცილებული, დაბალი, ჯმუხი, თმა-წვერ გაბურძგნული, ჩამოძონძილი კაცი, წინ გამოწევდა ყოვლად უჩვეულოდ დაგრეხილ მარცხენა ხელს, მარჯვენას ზედ მიაშვერდა და ხევისბერი გოჩას ხმითა და ინტონაციით შესძახებდა: – რატომ უნდა ვიყო მე ასე?! ცხადია, ამ დამანამუსებელ კითხვაზე პასუხი არავის ჰქონდა, ამიტომ ერთგვარი დანაშაულის გრძნობით შეწუხებული, თავადაც არც თუ დიდად ჯიბესქელი საზოგადოება, მაინც მზად იყო გაეღო რამდენიმე კაპიკი, ოღონდ როგორმე თავიდან მოეხსნა ეს მძიმე

ბრალდება.

მცხეთაში ამოდიოდა გაზეთების გამყიდველი ქალი. მისი უცნაურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ძველ გაზეთებს ყიდდა ნახევარ ფასში და თქვენ წარმოიდგინეთ, მყიდველიც ჰყავდა!

,,პერესტროიკამ" და დემოკრატიის სუსტი სიოს დაბერვამ ეპიდემიასავით მოდებულ მათხოვრებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ფართო ასპარეზი მისცა:

,,რუსთაველზე" ხშირად მხვდებოდა ერთი, მშვენიერი გარეგნობის, კარგად ჩაცმული, საშუალო ხნის მამაკაცი, რომელიც მხოლოდ მისთვის ცნობილი პრინციპით შერჩეულ გამვლელს მოწიწებით ასე მიმართავდა: - ერთი წამით, ბატონო, უკაცრავად, გაწუხებთ! ხომ არ შეგიძლიათ, ერთი მანეთი მომცეთ?

ისეთი ტონით გეუბნებოდა, მისცემდი კი არა, აქეთ შეგრცხვებოდა, ასე მცირე თანხას რომ კადრებდი. თუმცა, ერთხელ ისეც მოხდა, რომ ოციოდე წუთის განმავლობაში ორჯერ შემეფეთა და მის ტრადიციულ მიმართვას აღშფოთებულმა ვუპასუხე: - კი, მარა, ახლახანს არ მოგეცით ფული?! კაცი შეცბა და ,,ბოდიში, ბოდიში ბატონო"–ს ბუტბუტით გამეცალა.

შემხვედრია ერთი, თვალშისაცემად გლეხურად ჩაცმული კაციც, რომელიც ყვებოდა, რომ მისმა გოგონამ იმშობიარა და ახლა გზის ფული არ აქვს, რათა შვილი და შვილიშვილი სოფელში წაიყვანოს. იგივე ვერსია ქალისგანაც მომისმენია.

კეკელიძის ქუჩის დასაწყისში, შუქნიშანთან, ერთ ხანს ..მოღვაწეობდა" პატარა ბავშვების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთი დიდთმიანი, ზორბა კაცი. ეს კაცი ჩემი ბავშვობის დროს კინო „ოქტომბერთან" ფარულად, ზედმეტ ფასში, კინოს ბილეთებს ყიდდა. ამჯერად ის მეთაურობდა ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფს. როგორც კი მანქანები წითელ შუქზე შეყოვნდებოდნენ, ეს ბავშვები მიცვივდებოდნენ ავტომობილებს. ზოგჯერ დაძრული მანქანის სარკმელსაც კი ეკიდებოდნენ, რომ როგორმე ხურდა ფული გამოეძალათ.

პერიოდულად იმავე ასპარეზზე ჩნდებოდა ყავარჯნებიანი, საშინლად ავი ქალი, რომელიც ზოგჯერ ყავარჯნის მოღერებითაც კი სძალავდა მძღოლებს ფულს. ამბობდნენ, რომ ეს ბოშა კაცი და ინვალიდი ქალიც მილიციას გარკვეულ გასამრჯელოს უხდიდნენ, თუმცა ეს გარემოება ვერ არეგულირებდა მათ დაძაბულ ურთიერთობას, რაც ხშირად ცემა-ტყეპაში გამოიხატებოდა.

მელიქიშვილზე, ღვინის ქარხნის წინ, დროდადრო კედელთან აიტუზება ხოლმე ახალგაზრდა კაცი, ქუდი ისე აქვს ჩამოფხატული, რომ სახე არ უჩანს. დგას მთელი დღე უხმოდ, ხელგამოწვდილი.

ქუჩაში მანქანას რომ ვაჩერებდი, შევნიშნე, 40 წლამდე ასაკის კაცი სანაგვეში იქექებოდა. გული დამეწვა. მივუახლოვდი და ხუთლარიანი გავუწოდე. ეს ძალიან ბევრია! - მორცხვად თავჩაღუნულმა ჩაილუღლუღა და გამოწვდილი ხელი უკან წაიღო.

ასიათასის მქონეს ხუთასიათასი რომ შეთავაზო, ასე მოიქცევა?! რაც მეტი აქვს ადამიანს, მით უფრო ხარბია!

,,მამა დავითზე", ტაძრის მახლობლად ჩამოვჯექი ერთ ქალბატონსა და ახალგაზრდა ბიჭს შორის. ეს ბიჭი მათხოვარი გამოდგა. გამვლელ-გამომვლელს ასე მიმართავდა:

- ძალიან გთხოვთ, ცოტა დამეხმარეთ!

- თუ შეგიძლიათ, მცირედი შემომწირეთ!

ქალთან პატარა გოგონა მივიდა. ხმადაბლა ბუტბუტებდა: მე სანთლები მინდოდა დამენთო.

- გოგო, რა შემჭამე, ხომ გითხარი, ფული არ მაქვს! - გაუწყრა დედამისი.

ბავშვი თავჩაქინდრული, თვალცრემლიანი გატრიალდა. ამ დროს, მათხოვარმა ხურდა ფულით სავსე პეშვი ბავშვისკენ გაიშვირა და დაუძახა:

- გოგონა, მოდი, აიღე ფული, რამდენიც გინდა, აიღე!

,,და ჰრქუა მათ იესომ: ამინ გეტყვი თქუენ, რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ"

* * *

- ომი ახლად დამთავრებული იყო – იხსენებს მალხაზი - ჩვენი სახლის სარდაფში საქვაბე იყო, სადაც ტყვე გერმანელები მუშაობდნენ. დიდი გასაჭირი იყო ქვეყანაში: პურს, რომელიც ტალონებზე გაიცემოდა, ოქროს ფასი ედო. ეს გერმანელები ხისგან მშვენიერ ჩიკორებს თლიდნენ, თვითონვე ღებავდნენ ნაირფრად. ისეთი ლამაზები იყო, ყველა ბავშვს ეოცნებებოდა. ერთ ჩიკორს ერთ პურში ცვლიდნენ.

ერთხელ, როგორღაც, ბებიაჩემს ნახევარი პური გამოვტყუე. ვიცოდი ეს არ კმაროდა, მაგრამ მაინც მივაშურე საქვაბეს. გერმანელმა უარი მითხრა. მე არ ვეშვებოდი. ხან ვეხვეწე, ხან ვეჩხუბე, ვერაფრით

დავითანხმე. გავბრაზდი და გამწარებულმა პურის ნაჭერი, ეზოში მოვისროლე. ერთი ნაგაზი გვყავდა შემოჩვეული ეზოში, "ჯეკას" ვეძახდით, მაშინვე საიდანღაც გაჩნდა და პურის ნაჭერს დააცხრა. აქედან ეს გერმანელი გავარდა. საშინელი სისასტიკით შეებნენ ერთმანეთს ძაღლი და კაცი. გაოგნებული ვუცქერდი ამ ტრაგიკულ სურათს. მივხვდი, რომ რაღაც დიდი დანაშაული ჩავიდინე და ატირებული სახლისკენ გავიქეცი.

ბაბუაჩემი ჩამაცივდა, ტირილის მიზეზს მეკითხებოდა. მოვუყევი, რაც მოხდა. ძალიან გაბრაზდა, დამტუქსა, მეორე დღეს კი მთლიანი პური მომცა და მიბრძანა, იმ გერმანელისთვის ჩამეტანა, თან მკაცრად გამაფრთხილა, რომ ჩიკორი არ გამომერთვა.

* * *

სამოციანი წლების ერთ ზაფხულს, მამაჩემი გაგრაში, სანატორიუმში ისვენებდა. ოთახში მასთან ერთად აღმოჩნდა მილიციის თანამშრომელი, ვინმე გერვასი - განათლებული, წყნარი, სასიამოვნო ადამიანი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მამაჩემი მძიმე ავადმყოფი იყო, უმნიშვნელო ამბის გამო შეიძლებოდა ენერვიულა და ცუდად გამხდარიყო.

რამდენიმე დღემ მშვიდად ჩაიარა. გადაწყვიტეს, დამეგობრება პურ-მარილით აღენიშნათ. გაშალეს სუფრა. მამაჩემი პატარა ჭიქიდან წრუპავდა ღვინოს. გერვასი დიდ ჭიქებს ცლიდა. თანდანთან შეზარხოშდა. ხოდა, ძალიან რომ დათვრა, მამაჩემს გული გადაუშალა:
– გიორგი, თანამშრომელი რომ ვარ კი გითხარი, მგრამ რას ვაკეთებ, არ გაინტერესებს?

- კი, რას აკეთებ გერვასი?

- მე? მე ჯალათი ვარ.

- ეგ რას ნიშნავს?

- რას ნიშნავს, ჩემო გიორგი და, ციხეში ვმუშაობ.

- მერე?

- სპეციალურ კამერაში სიკვდილმისჯილს რომ შეაგდებენ, იმას კეფაში ტყვიას მე ვაჭედებ, მე! აბა!

მამაჩემი რომ მოასულიერეს, ოთახში აღარც გერვასი იყო და აღარც მისი ბარგი.

ლალი მაისურაძე

1993 წლის 31 მარტს, გაზეთ “საქართველოს სამრეკლო”-ში გამოქვეყნებულ მოსაგონარში ვწერდი:

,,საქართველოსათვის სამტროდ ნასროლმა ტყვიამ ბევრი ღირსეული მამულიშვილის გულში გაიარა. ერთი მათგანი ლალი მაისურაძე იყო, პრეზიდენტის პირადი მდივანი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი”.

1989 წლის ნოემბრის ბოლოს გავწევრიანდი “ჰელსინკის კავშირში“. აქ მრავალ სხვა, მომავალ მეგობართან ერთად გავიცანი პარტიის მდივანი ლალი მაისურაძე, რაც მოგვიანებით დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. დავახლოვდით ოჯახებით. უყვარდა ჩვენთან მოსვლა ,,ფინჯან ყავაზე”, თუმცა ამის საშუალება ძალზე იშვიათად თუ ქონდა. მით უფრო, ორი სექტემბრის მოვლენების შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ “ოპოზიცია” სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდა. იმ დღიდან ექვს იანვრამდე, ფაქტიურად, მთავრობის სახლი არ დაუტოვებია. პირადი ცხოვრება არ გააჩნდა. ფანატიკურად უყვარდა სამშობლო. იყო ზვიდის ერთგული თანამებრძოლი, მამაცი, დაუღალავი, მომთხოვნი, პირში მთქმელი, რის გამოც ჰყავდა ბევრი მტერი.

1991 წლის ზაფხულში, პრეზიდენტის დავალებით, მიწისძვრით დაზარალებული რაჭის სოფლები მოვიარეთ. ლალის მშობლიური სოფლის, წედისის მახლობლად, სასაფლაოზე მდებარე წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ვილოცეთ, მისი ახლადგარდაცვლილი ბიძაშვილის საფლავზე სანთლები დავანთეთ. სწორედ მაშინ, ასეთი რამ მითხრა: - მე თუ მომკლეს, იცოდე, აქ დამასაფლავეთ.

- რას ამბობ ლალი, რა დროს შენი სიკვდილზე ლაპარაკია!

- ნოდარ, ჩემი ხელში ჩაგდება ბევრს უნდა, პირველ რიგში, ჯაბას და კიტოვანს, მაგრამ უმალ თავს მოვიკლავ და ჩემგან ერთ სიტყვასაც ვერ ეღირსებიან!

მანამადე იყო ,,თბილისის ომი”, ყოვლად სამარცხვინო, დამაქცეველი. ზვიადისა და მის თანხმლებთა თბილისიდან გასვლის შემდეგ, თითქმის ორი კვირა, ლალის შესახებ არაფერი ვიცოდით, ამასღა ვლოცულობდით: ცოცხალი მაინც იყოსო. ერთ დღეს ტელეფონის მოულოდნელი ზარი გაისმა. სწრაფად გვითხრა მისამართი და ყურმილი დაკიდა. მე და ჩემი მეუღლე დაუყოვნებლივ გავიქეცით მის სანახავად. უძინარს, გადაქანცულს, საშინლად ნატანჯი სახე ჰქონდა.

- პრეზიდენტის დავალებაა: დასავლეთ საქართველოში უნდა ჩავიდე – გვითხრა მან. მაშინ ეს არ იყო ადვილი საქმე: ყოველ ხუთ-ათ კილომეტრში მოწყობილი იყო პიკეტები, რომელიც სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ადამიანებისგან შედგებოდა. მიზანი კი ერთი იყო: „ზვიადისტების" განადგურება! ლალის ჩავაცვით ძველი სამოსელი, მოვარგეთ პარიკი, მონჯღრეული სათვალე... მთლად მოხუც, გლეხის ქალს დავამსგავსეთ. ჩავსვით ავტობუსში და გავამგზავრეთ. მას შემდეგ ლალი ცოცხალი აღარ მინახავს.

თბილისში ტერორი მძვინვარებდა: დაიხვრიტა რამდენიმე მიტინგი. დევნა, დაპატიმრებები, ადგილზე ლიკვიდაცია. პრეზიდენტისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი საშინელი ჭორების გავრცელებაც იყო, რასაც ვერც ლალი აცდა: ვრცელდებოდა ხმები, რომ ის „შეკრული" იყო მოწინააღმდეგესთან. ორჯერ გავრცელდა ხმა, რომ ლალი მოკლეს. დროდადრო თვითონ გვირეკავდა, ან სხვისი მეშვეობით გვეხმიანებოდა. და მაინც, აპრილის დასაწყიში შევიტყეთ დადასტურებული ამბავი მისი დაღუპვის შესახებ. ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: "ავტომობილს, რომელიც სქური-წალენჯიხის გზაზე მოძრაობდა, უცნობი კუთვნილების ვერტმფრენმა ცეცხლი გაუხსნა, რაც გახდა ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნის, ლალი მაისურაძის დაღუპვის მიზეზი. დაჭრილია მძღოლი."

ერთხელ, თანამებრძოლებთან ასეთი რამ უთქვამს: "მე ახლა კარგად ვხედავ, თუ რამდენი მოღალატე იყო პრეზიდენტის გვერდით და რა ბინძური საქმეები იხლართებოდა მის გარშემო. უახლოეს ხანში აუცილებლად ჩავალ ბატონ ზვიადთან და ყველაფერს პირადად მოვახსენებ". ეგებ ეს განცხადება თავისებური სიგნალი გამოდგა მტრისთვის.

გარდაცვლილს წალენჯიხის მოსახლეობამ უპატრონა: მიცვალებული გააპატიოსნეს. მამა რომანოზმა წესი აუგო. "მხედრიონელები" მიუვარდნენ, ცხედრის გატაცება სურდათ, "ბეტეერს" უნდა გამოვაბათ და ვათრიოთო. ხალხმა არ დაანება. მოძღვრისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, ახლობლებმა ლალის ცხედარი რაჭაში გადაასვენეს. დაკრძალულია, თანახმად მისი ანდეძისა, წედისის სასაფლაოზე.

1993 წლის 9 აპრილს ინკოგნიტოდ, გავემგზავრე გროზნოში. ბატონ ზვიადთან შეხვედრის დროს ჩვენი საუბარი შეეხო ლალის დაღუპვასაც.

პრეზიდენტმა, ლალის ოჯახისთვის გადასაცემად, შემდეგი შინაარსის სამძიმრის წერილი გამომატანა:

„ლალი მაისურაძის ოჯახს

დღემდე არ მქონდა საშუალება, სამძიმრის წერილი მომეწვდინა თქვენთვის. ლალი მაისურაძე იყო საქართველოსათვის თავდადებული, პრეზიდენტის ერთგული ადამიანი, რაც მას არ აპატიეს ჩვენი ქვეყნის უბოროტესმა მტრებმა, რომელთაც არაერთი ქართული ოჯახი შემოსეს ძაძებით. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, თქვენთან ერთად ვგლოვობ უდროოდ დაღუპულს. იგი საუკუნოდ დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 9 აპრილი"

ეგებ, პატივცემული მკითხველისთვის საინტერესო იყოს ჩემი მეორე შეხვედრაც ბატონ ზვიადთან, რომელიც იმავე წლის 6 სექტემბერს, ისევ გროზნოში შედგა.

მე და ვახტანგ ყაველაშვილი, პრეზიდენტს დღის თერთმეტ საათზე ვესტუმრეთ. დაცვის ბიჭებისგან ვიცოდით, რომ ჩვენთან სასუბროდ ბევრი დრო არ ჰქონდა, ვინაიდან ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ პარადზე მიეჩქარებოდა, თუმცა, ეს უდროობა ჩვენთვის არ უგრძნობინებია.

მისი სამუშაო ოთახი საქართველოთი სუნთქავდა: საქართველოს დროშა, საქართველოს რუკა, საქართველოს ხედები... საწერ მაგიდაზე, ზოგგან იატაკზეც, უამრავი წიგნი, გაზეთი, ხელნაწერი. გამოგვკითხა აქაური ამბები. აინტერესებდა, რა სიტუაცია იყო ქვეყანაში; როგორი იყო მოსახლეობის განწყობა; რას ფიქრობდნენ, რას აპირებდნენ მისი ყოფილი თანამებრძოლები და მეგობრები: გოგი ხოშტარია, ირაკლი წერეთელი, კაკო ასათიანი და სხვები (გამგზავრების, წინ ზოგიერთ მათგანთან მე და ვახტანგს შეხვედრები გვქონდა). ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ პრეზიდენტი უახლოეს ხანში საქართველოში დაბრუნებას აპირებდა. დიდი მოკრძალებით, შევბედე:

- ბატონო ზვიად, არ მგონია, რომ თქვენი ახლა დაბრუნება საქართველოში, გამართლებული იყოს.

- ასე რატომ ფიქრობ? - მკითხა გაკვირვებით და ოდნავ გაღიზიანებითაც.

- აქ გამომგზავრებამდე, თითქმის ერთი თვე ზუგდიდში ვიყავი. არ მგონია, ქობალიას მართლაც ჰყავდეს ისეთი ძალა,

როგორც ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება.

- არ ვიცი, არ ვიცი, ვნახოთ - ჩაილაპარაკა ზვიადმა.

ამ დროს შემოიხედა დაცვის ერთ-ერთმა წევრმა:

- ბატონო ზვიად, დუდაევის მიერ გამოგზავნილი მანქანა გელოდებათ.

სასწრაფოდ ფეხზე წამოვდექით.

- წამოდით, პარადს დაესწარით - შემოგვთავაზა ზვიადმა.

ჩვენ მორიდებული უარი ვუთხარით, ვინაიდან უკან გამოსამგზავრებლად ბევრი დრო აღარ გვრჩებოდა და პრეზიდენტს გამოვემშვიდობეთ. ამ შეხვედრის სამახსოვროდ დამრჩა ზვიად გამსახურდიას თხზულებათა წიგნი, ავტორისეული წარწერით, რასაც სიამაყითა და ამავე დროს, დიდი გულისტკივილით ვათვალიერებ ხოლმე.

ვაჟა ფშაველა ამბობს:

,,თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
. . . . . .
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!”

* * *

ერთხელ, ტაძარში ასეთ სურათს წავაწყდი: წმიდა გიორგის ხატთან ახალგაზრდა, სუსტი აღნაგობის მამაკაცი იდგა და ხატს ხმადაბლა ელაპარაკებოდა. ანერვიულებული ჩანდა. ლაპარაკს ხელებსაც აყოლებდა. დარდისგან დაღარულ სახეზე კუნთები უთრთოდა, კისრის ძარღვები დაბერვოდა. ყური მივუგდე. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა: ,,აბა რა ვქნა? ... კი, მაგრამ .. არ ვიცი, არა ... იქნებ ...“

ეტყობა, დროდადრო საყვედურები, თუ დარიგებები ჩაესმოდა: თავიდან ჯიუტობდა, ეკამათებოდა, ლამის ჩხუბობდა. ხან მორჩილად წელში იხრებოდა და თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებდა, პირჯვარს იწერდა. მერე ისევ გასწორდებოდა. ისევ ეკამათებოდა, რაღაცას უმტკიცებდა, ოღონდ, დიდი მოწიწებით. თანდათან თითქოს მოტყდა, მუხლებზე დაემხო, ღაწვებზე ცრემლი ჩამოუგორდა...

არ ვიცი, გიჟი იყო, თუ ჭკვიანი. ვუცქერდი გაოცებული, შევნატროდი!

ხანგიზა

უერთგულეს ,,ზვიადისტთა” შორის, იყო ასეთი კაცი: ხანგიზა არეშიძე. პატრიოტი, საქართველოს ბედ-იღბლით გულდათუთქული. დიდი, თეთრი, გაბურძგნილი თმა-წვერით შემოსილი(ამბობდა: ,,სანამ საქართველოს არ გავათავისუფლებ ამ ნაძირალებისგან, წვერს არ გავიპარსავო”). თვალებიდან ცეცხლის მფრქვევლი, მოქმედი ვულკანივით ბობოქარი. ყველგან ღალატს ხედავდა, ლამის ყველას კაგებეს აგენტს უწოდებდა. მზად იყო ყველა მათგანი დაუნდობლად გაენადგურებინა. თუმცა, 1992 წლის გადატრიალების შემდეგ, როგორც თავად ამტკიცებდა, აქეთ დასდევდნენ მოსაკლავად. ამიტომ საწოლში, ბინის სხვადასხვა კუთხეებში, დამალული ჰქონდა ნაირგვარი იარაღი: ავტომატი, პისტოლეტი, ხანჯალი და ყუმბარებიც კი. სახლიდან იშვიათად გადიოდა და ასეთ დროს(როგორც საიდუმლოდ გამიმხილა) კარებზე “რასტიაჟკებს” ტოვებდა: – თუ ,,იმ ნაძირალებმა” მოინდომეს ჩემს არყოფნისას ბინაში შემოღწევა, ნაფლეთებად იქცევიანო. რვასართულიანი კორპუსის მეხუთე სართულზე ცხოვრობდა. ვეუბნებოდი: – ხანგიზ, ამ სახლში მარტო ხომ არ ცხოვრობ, აფეთქება თუ მოხდა, მეზობლებს რას ერჩი–მეთქი? – არ მენაღვლება, ეგენიც „შეკრულები“ არიან, სულ მითვალთვალებენ და ინფორმაციას „პუტჩისტებს“ გადასცემენო.

ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა. ერთ დღეს დამირეკეს: ხანგიზა გარდაიცვალაო. გული დამწყდა, მიყვარდა ეს თუმცა გიჟ–მაჟი, მაგრამ ქვეყნის სიყვარულით გაულანთებული, მამაცი კაცი. წავედი სამძიმარზე. მის ახლობელს არავის ვიცნობდი, ამიტომ ბინაში უცნობი ხალხი რომ დამხვდა, არ გამკვირვებია, მაგრამ კუბოში მწოლიარე უცხო, სიმპატიური ახალგაზრდა რომ დავინახე, ვიფიქრე: ეტყობა, სადარბაზო შემეშალა–მეთქი. უკან გამობრუნებას ვაპირებდი, კედელზე ხანგიზას სურათს რომ მოვკარი თვალი. მაშინღა მივხვდი: მიცვალებული გაუპარსავთ, თმა შეუკრეჭიათ, ამიტომ ვეღარ ვიცანი. როგორი ლამაზი კაცი ყოფილა, როგორი მშვიდი სახე ჰქონდა!

რა მძიმე დრო იყო, როგორ შეცვლილი ვიყავით ყველანი!

ხელისუფლება სარკეა საზოგადოებისა, ხოლო რევოლუცია, ამ სარკის დამსხვრევის მცდელობა, რათა თავისი სიმახინჯე არ დაინახოს!

* * *

ბადრი და ვახო ოთხმოცდაათიან წლებში გერმანიაში ცხოვრობდნენ. გაჭირვებამ წაიყვანა იქ ბიჭები. ვახო ყოფილი მოკრივეა, ბადრი – მომღერალი და მერე როგორი! ფანტასტიური ბარიტონია! თუმცა არც ერთს და არც მეორეს ეს ღირსებები იქ არ გამოდგომიათ. "ვირები" ვიყავითო – ირონიულად ჩაიცინა ვახომ. მუშაობდნენ ხან სად, ხან სად, ძირითადად მძიმე სამუშაოზე. სწორედ იმ პერიოდში ბადრის მეუღლეს სიმსივნე აღმოაჩნდა. ფულს ხომ აგზავნიდნენ თითქმის ბოლო კაპიკამდე, გერმანიაშიც ჩაიყვანეს ავადმყოფი ერთი თვით, გამოკვლევებზე. თითქოს მოიკეთა კიდეც. მერე პერიოდულად მოდიოდა თბილისიდან ამბები: ხან მდგომარეობის ცოტათი გაუმჯობესების, ხან მკვეთრად გაუარესების შესახებ.

ერთ საღამოს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა - ყვება ვახო - ეს ხმა ყოველთვის გვაფრთხობდა: რა ამბავი იქნებოდა, კარგი, თუ ცუდი?! ყურმილი ბადრიმ აიღო. რამდენიმე წუთი უხმოდ უსმენდა. გაფითრდა, ცრემლი წამოუვიდა. ყურმილი დადო. იჯდა გაქვავებული. მივხვდი რაც მოხდა. ვერც მე ვიღებდი ხმას. უცებ ბადრიმ "ბინდისფერია სოფელი" დაიწყო. მეც ავყევი. ასე იყო: სიმწრის ცრემლი გვდიოდა და თან ვმღეროდით...

* * *

ტყიბულში მოსმენილი: ლუკმა საჭმელი აღარ ჰქონდა სახლში. რაცხა ხურდები მოხიკა და ,,ოპტავოიში" მივიდა. გამოიკვლია სხვადასხვა პროდუქტის ფასი და ბოლოს:

- ნახევარი კილო ლობიო ამიწონე! - ეუბნება ნაცნობ გამყიდველს.

- ხო მშვიდობაა, ბიჭო?! - ,,შეიცხადა" იმან.

* * *

ვანომ გაიხსენა არდემანაშვილმა: გორში, ერთ–ერთი ღვინის ქარხნის დირექტორს, ვლადიმერ დადიანს სამი ახალგაზრდა მიადგა:

- ლადო ძია, უბნის ბიჭებს დალევა გვინდა, რა იქნება, ათი ლიტრა ღვინო მოგვეცი.

გადმოხედა ,,სტუმრებს" ლადომ ზემოდან (თვითონ მაღალი, ახოვანი კაცი იყო, ესენი კი დაბალი, დაგვაჯული, შეუხედავები) და დაიქუხა:

- მომწყდით თავიდან თქვე მამაძაღლებო, რას გავხართ, თქვენზე ღვინოს როგორ გავაფუჭებ?!

- რა ვქნათ, ბატონო ლადო - უპასუხა ერთმა - რაც გვარში და ჯილაგში კარგები გვყავდნენ, თქვენმა წინაპრებმა სტამბულის ბაზარზე გაყიდეს, გადანარჩევი კიდე რაცა ვართ, ეგა ვართ!

– ბიჭო – გასძახა ახარხარებულმა დირექტორმა საამქროს უფროსს – წაიყვანე ესენი და ოცი ლიტრა ღვინო მიეცი!

* * *

ახალ ხაზებზე გადართვასთან დაკავშირებით, ერთი კვირით, მთელ უბანში ტელეფონები გამორთეს. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ ჩაურთავთ, თუმცა ყველასი არა. მათ შორის არც ჩემი. მეზობლის ტელეფონით დავუკავშირდი დაზიანების ბიუროს. ჩაიწერეს ნომერი და შეკეთებას დამპირდნენ. მეორე დღეს ისევ ვურეკავ.

– რა ნომერია, ბატონო, თქვენი ტელეფონი? – მეკითხება ოპერატორი. ვპასუხობ.

- დიახ, ეს ნომერი გადაცემულია, აუცილებლად შევაკეთებთ.

გადის კიდევ ორი დღე. ტელეფონი არ ჩართულა. ვრეკავ. იგივე დიალოგი, იგივე ფინალით:

- დიახ, თქვენი ნომერი გადაცემულია.

მეორე დილით გაცეცხლებული მივვარდი სატელეფონო სადგურში. ჩემ დღეში მყოფი უამრავი ადამიანი დამხვდა. როგორც იქნა მივაწვდინე ხმა მორიგე გოგონას.

- ბატონო, გადაცემულია ეს ნომერი.

- რას ნიშნავს ეს ,,გადაცემულია"?! ავყვირდი მე - ერთი კვირაა მესმის: ,,გადაცემულია", ,,გადაცემულია". რა, ანათემაზეა გადაცემული?!

მთელი დარბაზი ხარხარებდა.

ლექსი ანასტასიას

,,ვითომ-ვითომ” - ეს გამოთქმა
ჩემს შვილიშვილს მოსწონს,
თუ თამაშად მონაგონი
სურს რომ დაამოწმოს,
რა ოცნება და სურვილიც
მის გონებას იპყრობს,
ამ სიტყვებით ადასტურებს:
ამბობს: – “ვითომ-ვითომ”.
მეც, როდესაც სევდიანი
წარსულ წლებზე ვფიქრობ,
რაც იყო და როგორც იყო,
იყო ,,ვითომ-ვითომ”.
ვითომ იყო სიყმაწვილე
და ბავშვობაც იყო,
ბევრი იყო სიმწარე და
იყო ცოტა სიტკბოც.
ბევრი სახე, ნათლისმფენი,
შავად მოიქსოვა
და მრავალი ახლობელი
გადაიქცა ხსოვნად.
ვითომ იყო სიყვარული,
ვითომ იყო მტრობა,
ლხინი - ცრემლით განბანილი
და სიმწარით ტკბობა,
ვითომ-ვითომ სისხლის ჩქეფა
ვითომ გულის ფეთქვა,
ყველაფერი, ვითომ-ვითომ
სიცოცხლე რომ ერქვა.
ჩემო მართლა სიცოცხლევ და
ჩემი გულის სითბოვ,
ვითომ-ვითომ რომ გავქრები,
გამიხსენებ ვითომ?!

P.S. ამ ლექსის გამო ანასტასიას ვკითხე:

- პაპი, მე რომ მოვკვდები, ვითომ გამიხსენებ?

- ვითომ კი არა, მართლა გაგიხსენებო - მითხრა და მაგრად ჩამეხუტა.

* * *

ვინ მაპატიებს იმას,
რომ ვერ ვივარგე გმირად
და ჩემ სამშობლოს კოხტას
ვერ მოვაშორე ოხვრა;
ვინ მაპატიებს იმას,
რომ ვერ ვივარგე შვილად
და ჩემ ცხონებულ მშობლებს
მწარედ გულს ვტკენდი ზოგჯერ;
მეპატიება განა,
რომ ვერ ვივარგე მამად:
ვერ შევეჭიდე კოშკებს,
ვერ მივიზომე ყანა;
ვერც ქმრად ვივარგე მგონი -
არ მეყო მისთვის გონი.
მაგრამ ყველაზე მეტად
ამ ფიქრს ეს მატებს სევდას:
ვერ მივუძღვენი უფალს
ჩემი ფიქრი და სუნთქვა
ქრისტეს მსახური თითქოს,
კვლავ სასწაულებს ვითხოვ.
და შენ, უფალო ჩემო,
ცოდვათა ჩემთა მშვენო,
და შენ, სამშობლო ჩემო,
ჭრილობათ ჩემთა მრჩენო,
თქვენ, ახლობელნო ჩემნო,
არსობის ჩემის მშვენნო,
მონანულთ ცრემლის მღვრელი
შენდობას თქვენგან ველი!

შენ ჩემთან არ ხარ

ხო, მე რომ მიყვარს, თბილისში ახლა,
სწორედ ისეთი თეთრი ღამეა,
შენ ჩემთან არ ხარ, შენ ჩემთან არ ხარ
და არაფერი არ მიხარია.

მთვარე ცრემლივით ჰკიდია ცაზე,
ცრემლი წამწამზე _ ციცქნა მთვარეა,
მაგ წამწამების უნაზეს ხაზებს
ვეღარა ვხედავ დიდი ხანია.

დღეს ჩემს ფეხის ხმას მოელის სულ სხვა,
მოელის ვნებით და გახელებით,
დღეს სხვისი მესმის მთრთოლვარე სუნთქვა
და შენ გეძებენ ჩემი ხელები.

ხო, ყველაფერი ისეთი გახდა,
რომ ულამაზეს ზღაპრის დარია,
მაგრამ შენ არ ხარ, შენ ჩემთან არ ხარ
და არაფერი არ მიხარია.

წვიმა ზღვაზე

წვიმა მოდის, წვიმა მოდის ზღვაზე,
წვიმა ზღვაზე _ როგორც დარდი დარდზე,
აწვიმს ზღვას და წყალი ემატება,
როგორც ამ გულს წუხილი და სევდა.

და ვიხსენებ იმ, გარდასულ დღეებს,
მზე იყო და სითბო იყო გუშინ,
დღეს კი ირგვლივ უცებ ჩამობნელდა,
სწორედ ისე, როგორც ბნელა სულში.

დაბლა ზღვაა, ზღვას დასცქერის ზეცა,
ორ დარდს შუა კრთება ჩემი კვნესა,
ზღვა ირწევა და შავ ღრუბლებს სწვდება,
და ღრუბელი შავ ტალღებზე წვება.

გავა დრო და გადაიღებს წვიმა,
გავა დრო და ამღერდება გული,
მზიანი დღე ისევ დაბრუნდება,
როგორც ჩემი ტკბილი სიყვარული.

ჩვენ ერთმანეთი დავღალეთ

ჩვენ ერთმანეთი დავღალეთ,
ჩვენ ერთმანეთი მოგვბეზრდა,
სულ კედლებს შემოვახალეთ,
რაც კი გვიყვარდა ოდესღაც.

-,,გიჯობთ, დაშორდეთ ახლავე"-
რაღაც უცხო ხმა მომესმა
-,,თქვენ ერთმანეთი დაღალეთ,
თქვენ ერთმანეთი მოგბეზრდათ."

მე მთვრალი დავეხეტები,
შენს თვალზე ცრემლი არ შრება,
მართლაც, დავშორდეთ, ეგების,
სიმშვიდე ვპოვოთ და შვება.

არა და, რომ არც გვეთმობა
გარდასულ დღეთა ნათება,
ერთად ყოფნა გვსურს და არც გვსურს,
არ ვიცი რა გვემართება.

ჩვენ ერთმანეთი დავღალეთ,
ჩვენ ერთმანეთი მოგვბეზრდა,
სულ კედლებს შემოვახალეთ,
რაც კი გვიყვარდა ოდესღაც.

დათუნია, დათუნა

დათუნია, დათუნა
რა ფიქრებში გართულა?
დათოს საქმე აქვს რთულად:
ვერ მეტყველებს ქართულად!
        დათო ნაღდი კაცია,
        მარჯვედ ხმარობს ცაციას,
        თან ისეთი ანცია,
        სულ შავი დღე გვაწია!
დათო კარგი ბიჭია,
დათოს ორი კიჭი აქვს,
ხელში ვეღარ გვიჭირავს -
ჭამის დიდი ნიჭი აქვს!
        თვალებს რომ აბრიალებ,
        დათვივით რომ ღრიალებ,
        დროა ფეხი აიდგა,
        იარე და იარე!

მოვიდა წვიმა

სახეზე დამეცა წვეთი:
მოვიდა, მოვიდა წვიმა!
გწყალობდეთ უფალი ღმერთი,
ზეციდან ღვთის მადლი ცვივა!
        სახეზე დამეცა წვეთი:
        ავმღერდი წვეთების ხმაზე
        და ჩემი სიმღერაც ერთვის
        ამ წვიმის სევდიან ხაზებს.
სახეზე დამეცა წვეთი:
ო, გმადლობ ზეცაო, გმადლობ!
გაიგებ მხოლოდ შენ ერთი,
ამ წვიმას სულ რატომ ვნატრობ.
        თვალები რატომ მაქვს სველი,
        ფიქრები რატომ მაქვს მწარე,
        ამ წვიმას ამ წვეთებს ველი,
        როგორც აღსარების წამებს.
სახეზე დამეცა წვეთი:
მოვიდა, მოვიდა წვიმა!

ჩემი სოფელი

ეს რა სიზმრები დამჩემდა,
რა ტყეები და მთებია?
რასაც ცხადში ვერ ვამჩნევდი,
სულ სიზმრად მომლანდებია!

ო, როგორ მომნატრებია
სოფლად მდინარის დუდუნი,
თვალცრემლიანი ბებია,
ღუმელის ტკბილი ღუღუნი.

ჩემი სოფელი პაწია,
ჩემი სოფელი ცქრიალა,
ჩემი ზარზმა და ვარძია _
მოურჩენელი იარა!

მოვალ და ჩაგეხუტებით,
ცრემლი დამიყოფს წამწამებს,
ჩვენ სხვა დარდი გვაქვს უთქმელი,
ჩვენ სხვა ტკივილი გვაწამებს.

ჩემო სოფელო პაწია,
ჩემო სოფელო ცქრიალა,
ჩემო ზარზმა და ვარძია –
მოურჩენელო იარა!

ოცნება

ოცნება ჩემი, ნაზი და სუფთა
გაჰყვება ზამთრის სევდიან ქარებს,
აპრილი მოვა და მისი სუნთქვა
ყოველგვარ ტკივილს გააფერკმრთალებს.

მოჰყვება აპრილს წვიმების ღვარი,
მოჰყვება წვიმებს ვარდების თქეში,
ვარდების ფურცლებს ჩაიკრავს ქარი
და გადაჰკარგავს წაბლისფერ თმებში,

წაბლისფერ თმებში გაბნეულ სურნელს
ვერ დავივიწყებ ვერასდროს, ვერა
და აუხდენელს მახსენებს სურვილს
ყველა ლექსი და ყველა სიმღერა.

სარკმელთან იჯდა პატარა ჩიტი,
გარეთ კი ყინვა მეფობდა მწველი,
ვისმენდი ჩიტის ჯადოსნურ ტიტანს
და მაშინებდა გაწვდენა ხელის.

ასე მთავრდება სიზმარი ყველა,
ყველა სიზმარი, ავი, თუ კარგი,
რჩება იმედი ცრემლის ოდენა
და ვებერთელა ცრემლი დადარდი.

წაბლისფერ თმებში გაბნეულ სურნელს
ვერ დავივიწყებ ვერასდროს, ვერა
და აუხდენელს მახსენებს სურვილს
ყველა ლექსი და ყველა სიმღერა.

ლოთის სიმღერა

გალოთდაო - იძახიან ჩემზე.
მგონი, მართლაც ამერია გზები,
წუთისოფლის მივიწყებულ გზებზე
დამტვერილან ბედნიერი წლები.

უცებ ყველამ შემაქცია ზურგი
და მგელივით შევაჩერდი მთვარეს,
მაინც ვინმეს გავახსენდი თუკი,
სინანულით გაიქნევენ თავებს.

რა ვქნა, ალბათ მეც ეს ბედიმ ერგო:
ვეფერები ამ ერთ ჭიქა არაყს,
მაინც ყველას გენაცვალეთ ძმებო,
ვენაცვალე ჩვენს საყვარელ ქალაქს,

ქალს, რომელმაც მომიხურა კარი,
ბავშვს, რომელმაც ამარიდა თვალი,
გენაცვალეთ, ისევ თქვენგან მკვდარი,
გაგეცლებით სიყვარულით მთვრალი.

ამ დაჭმუჭნულ პერანგსა და ხალათს
ჭორს და ტალახს დაადევნებთ ალბათ,
ნუ წუხდებით, მე ეხლავე წავალ,
მე რა მიშავს, თქვენ იყავით კარგად!

გალოთდაო - იძახიან ჩემზე.
მგონი, მართლაც ამერია გზები,
წუთისოფლის მივიწყებულ გზებზე
დამტვერილან ბედნიერი წლები.

თოვლი

ისეთი თეთრი თოვლია,
ისე საოცრად წმინდა,
რომ შენი სახე მგონია
და მოვეფერო მინდა.

გათოშილ ქუჩებს მოვიარ
ჩემს სიმღერასთან ერთად
და მწამს, რომ არ უთოვია
არასდროს ასე თეთრად.

ნაცრისფერ სივრცეს გავცქერი
და ვეკითხები ფიფქებს:
- იქნებ არც იმას არ სძინავს
და ჩემზე ფიქრობს იქნებ?!

ისეთი თეთრი თოვლია,
ისე საოცრად წმინდა,
რომ შენი სახე მგონია
და მოვეფერო მინდა.

* * *

კახელი სტუმარი გვყავდა. ისეთი სუფრა გაიშალა, ისეთი სმა-ჭამა გაიმართა, შენი მოწონებული!

შუა ქეიფში, ცოტა დაგვიანებით, ხაშლამა შემოიტანეს "ჩამოტარებით". ლანგარმა კახელამდე რომ მიაღწია, ერთი მოზრდილი ნაჭერი ორი ხელით აიღო, ტუჩებთან მიიტანა, ჩაიჩურჩულა: ..შენ გენაცვალე, შენაო!" ნაზად ეამბორა და უკანვე დადო. ეტყობა, ჭამის თავი აღარ ჰქონდა და ასე მოუბოდიშ-მიეფერა!

* * *

საფარის მონასტრის ზემოთ, ასე, ერთ კილომეტრზე, ტყის სიღრმეში, ბერების სასაფლაოა. ახლად გათხრილი საფლავი შევნიშნე. გამიკვირდა: მესამე დღე იყო, მონასტერში ვცხოვრობდი, არავის გარდაცვალების შესახებ არ მსმენია. ახლოს რომ მივედი, უფრო მეტად გავვოცდი: საფლავში კუბო იდო!

ჩემმა თანმხლებმა ბერმა ამიხსნა:

- ეს, იღუმენის დავალებით გავაკეთეთ, მუდამ რომ გვახსოვდეს: ყველანი მოკვდავნი ვართ!

ლათინები ასე იტყვიან: Memento Mori!

არასაიმედო ტექნიკა

ჩვენი საყვარელი ძმა, ბესო, ინფარქტის დიაგნოზით, სახლიდან პირდაპირ რეანიმაციულ განყოფილებაში მოხვდა.

დაესიენ ექიმები. არის ერთი რია-რია.

იქვე, საწოლთან ელექტროკარდეოლოგიური მონიტორი დგას, რომელიც ჩვეულებრივ, აღმა-დაღმა მოძრავი ხაზებით გულის მუშაობის რიტმს უჩვენებს.

ამჯერად აპარატი გაფუჭებული ყოფილა და ეკრანზე ლარივით სწორი ხაზი მოძრაობდა.

ბესომ ეს შენიშნა, მონიტორისაკენ ხელი გაიშვირა და მისუსტებული ხმით დაიძახა:

- ექიმო, ექიმო, მანდ უკვე მოვკვდი!

* * *

გაუთავებელი სმის გამო, ჯიმშერს მამა წაეჩხუბა. აიშალა ჯიმშერმაც ნერვები, აყვირდა:

- ბოლო-ბოლო ასეთი რა გაქვს ჩემთვის გაკეთებული, მითხარი, გადაგიხდიო!

- ჰო, შვილო, - ჩაიცინა კოლა ძიამ - თუ ეგრეა, პატარა რო იყავი, ჭუჭუაზე გკოცნიდი ხოლმე და...

ჩვენი ფოსტალიონი

ეს ქალი ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის დროიდან მახსოვს: ჩვენი უბნის ფოსტალიონი იყო. ასაკით, ალბათ, ჩემი მშობლების ტოლი. გრძელქამრიანი, გაცვეთილი ტყავის ჩანთა ჰქონდა მხარიღლივ გადაკიდებული. ისეთი, სერგო ზაქარიაძეს რომ აქვს ფილმში, ოღონდ, უფრო პატარა, ქალისთვის შესაფერისი. კაფანდარა გოგო იყო, უგემოვნოდ ჩაცმული (ეგებ, სხვა ჩასაცმელი არც ჰქონდა!). ენა ეჩლიქებოდა. ცოტას, თითქოს, წაისულელებდა კიდეც. მოჰქონდა დეპეშები, წერილები, შეტყობინებები ამანათის შესახებ. თუ დეპეშა სასიხარულო იყო (მილოცვა, ქორწილში დაპატიჟება...) ადრესატის გვარს ეზოშივე დაჰკივლებდა. თუ გამოეხმაურებოდნენ, სწრაფად აირბენდა სადარბაზოს საფეხურებს, დეპეშას გადასცემდა, ქვითარზე ხელს მოაწერინებდა და მერე კისრის მიგრეხით, მორცხვად ჩაიღიმებდა, გასამრჯელოს მოლოდინში. როცა დეპეშა უბედურების მაუწყებელი, ან სამძიმრისა იყო, ფრთხილად დააკაკუნებდა კარზე, მიუსამძიმრებდა და ისევ კისერმიგრეხით, ოღონდ ამჯერად დამწუხრებული სახით ელოდებოდა ხელმოწერილ ქვითარსა და ხურდა ფულს.

მე ყოველთვის ვფრთხებოდი მის დანახვაზე: მეშინოდა, ვინმეს სიკვდილის ამბავი არ მოეტანა. ისიც მაღიზიანებდა, მისი მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელოს რომ იღებდა. იმ დროინდელ თბილისში მათხოვარიც იშვიათად შეგხვდებოდათ, მით უმეტეს, ხელფასის მქონე ადამიანი, მოწყალებას რისთვის ითხოვდა, ვერ გამეგო.

მოვიდა ახალი დროება. დიდ ბედნიერებას დიდი უბედურება მოჰყვა: თბილისის ომი, სამეგრელო, აფხაზეთი... ვიღას ახსოვდა ფოსტა-ტელეგრაფი, ვიღას სჭირდებოდა ფოსტალიონი. ცუდი ამბები ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა; კარგი ამბის გაგება სანატრელი გახდა. ჩვენი ფოსტალიონი თითქმის ათი წლის განმავლობაში არ მინახავს.

შარშან, კეკელიძის ქუჩის დასაწყისში, შუქნიშანთან გამოჩნდა: ერთ, ამოჩემებულ ადგილას იდგა ხოლმე, დაბერებული, ჩამოძონძილი. ჩანთის ნაცვლად, ახლა, ჯოხი უმშვენებდა გვერდს. ისევ ძველებურად, კისრისმიქცევით, მორცხვად ხელგაშვერილი, იდგა, გახევებული, უაზრო, უიმედო. თითქოს, მისთვის ამ შუქნიშანზე მუდამ წითელი ენთო, თითქოს, მისთვის მწვანე აღარასოდეს აინთებოდა. ჩვენი ქუჩის ძველმა მაცხოვრებლებმა გავიხარეთ. ქალები გამოეცნაურნენ, რაღაც-რაღაცეებს ჩუქნიდნენ;

კაცები მცირეოდენ ფულს ყოველთვის ვაძლევდით.

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი შეხვედრები: ეს, სამათხოვროდ მეტად სარფიანი ადგილი, მათხოვრების ერთმა ბანდამ ჩაიგდო ხელში: ყავარჯნებიანი, საშინლად აგრესიული ქალი; აბეზარი გოგო-ბიჭი და თმა-წვერ გაბურძგნილი, ზორბა კაცი, რომელიც ჩემი სტუდენტობისას კინო "ოქტომბერთან" ბილეთებს ყიდდა ზედმეტ ფასში-ასეთი იყო ამ ჯგუფის შემადგენლობა. ისევ დამეკარგა ჩვენი ფოსტალიონი. ვინ იცის, ეგებ აღარც კი არის-მეთქი ცოცხალი - ვფიქრობდი.

რამდენიმე დღის წინ, კოსტავას ქუჩაზე ფეხით მომავალმა, რედაქცასთან, ქვის მოაჯირზე ჩამომჯდარი ვნახე: თავჩაქინდრულს ეძინა. მარჯვენა ხელი სამათხოვროდ გამოშვერილი დარჩენოდა. ჯიბე მოვიჩხრიკე, რაც ხურდა ფული მქონდა, გაშლილ ხელში ჩავუდე და თითებიც მოვაკეცინე, ფული რომ არ დაბნეოდა. თვალი არ გაუხელია. არც შერხეულა. ეგებ არც გაუგია არაფერი. ეგებ ფული აღარც სჭირდებოდა. თითქოს ახლა ის კვლავაც ფოსტალიონი იყო, რომელსაც ერთადერთი და ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა დარჩენილი: უკანასკნელი წერილი მიჰქონდა...

* * *

ერთი ხანობა, იოგას ვარჯიშებით ვიყავი გატაცებული. დილის ექვს საათზე ავდექი. წინა ღამის ნალოთავებმა ვაჟამ ძლივს "გახსნა" ცალი თვალი და შემომღაღადა:

- ბორჯომი არ გააქ?! - ბორჯომი კი არა, ადექი ახლა, ჩემთან ერთად სუნთქვითი ვარჯიშები შეასრულე და გარანტიას გაძლევ, 15-20 წუთში შენი ,,პახმელიის" კვალიც აღარ დარჩება!

როგორც იქნა, დავითანხმე. ვვარჯიშობთ. გზადაგზა ვამხნევებ:

- აი, ასე, ყოჩაღ! როგორ ატყობ?

- რა შედარებაა! - მპასუხობს ,,პაციენტი"

მოვრჩით ვარჯიშს. მე, დარწმუნებული მეთოდის ეფექტურობაში, სიამაყით ვეკითხები:

- აბა, როგორია?!

- ხოშიანია, ძმაო! ახლა, ერთი, ბორჯომსაც თუ დამალევინებ, მართლა მადლობელი დაგრჩები!

* * *

ბატონი ლეოს მეუღლის პირველი ქმარი, შარია იყო - კინომსახობი. თვითონ ლეოც, არავის ჩამოუვარდებოდა არც არტისტიზმით, არც სიმღერით, თუ ლექსით, არც იუმორით... დიდებული თამადაც გახლდათ!

ასეთი ამბავი გაიხსენა:

,,ქეიფია ზუგდიდში. თამადა ვარ. შევუბერე მარა, რა შევუბერე! გადავრიე ხალხი! მოხუცი კაცი მიზის ახლოში, სიმპათიური, ულვაშებგადაწკეპილი, ტიპიური მეგრელი! მაკვირდება. ერთიც, მეუბნება მაგარი აქცენტით:

- რა კარგი კაცი ხარ კაცო შენ, ნამდვილად მეგრელი იქნები!
- არა, ბატონო, თბილისელი ვარ.
- ხო, მარა, სადაური?
- ყოველ შემთხვევაში, მეგრელი არ ვარ.
- აბა, დედა გეყოლება მეგრელი!
- არა, ბატონო, დედაჩემი იმერელი იყო.
- როგორ, სულ არავინ გყავდა მეგრელი?! - გაოცდა მოხუცი.
- კი, გამახსენდა!
- ა, ხომ გითხარი! ვინ?
- ჩემი ცოლის პირველი ქმარი იყო მეგრელი!''

* * *

,,აფრიკაში" ვქეიფობდით. მასპინძელი, ნოდარი, რომელიც მატარებლის მემანქანედ მუშაობდა, სახლში არ იყო.

შუა ქეიფში, გაიღო კარი და ნოდარი შემოვიდა. გაგვიხარდა, ჭიქა შევუვსეთ. სწრაფად წაიხემსა, ორიოდ ჭიქაც გადაჰკრა და წამოხტა, გარბის.

გადავირიეთ:

- სად მიდიხარ, ძლივს მოსული!
- ბიჭებო, ელმავალი მყავს გლახად გაჩერებული. გადავაყენებ და მოვალო.

ავტეხეთ სიცილ-ხარხარი, გვეგონა, ხუმრობდა.

- მართლა ეგრეა, გაიხედეთ, თუ არ გჯერათო!

გავიხედეთ ფანჯარაში: სახლთან ახლოს, გადასასვლელზე ელმავალი დგას. გზის აქეთ-იქეთ მხრიდან უამრავი მანქანაა მიმწყდარი, ისმის სიგნალებისა და ჩხუბის ხმა!

საკუთარი სიამოვნებისთვის ჩადენილი ქმედება, ადამიანს სასჯელად უბრუნდება, ჭეშმარიტი სიამოვნება სხვისთვის სიკეთის კეთებაშია!

* * *

ჩემმა ქუთაისელმა მეგობარმა, გოჩამ, ასეთი ამბავი გაიხსენა:

მამა მოუკვდა ძმაკაცს, ვაჟაიას. ოთხმოცდათორმეტი წელია. გეხსომება, რა გაჭირვება იყო. დევესიეთ ბიჭები. ვეხმარებით, ვისაც რით შეგვიძლია. მე და ოსიკო, ვალოდია მეკუბოვეს მივადექით:

- გამარჯობა, ვალოდია!

- გაგიმარჯოთ, ბიძიებო!

- გლახა ამბავი გვაქ.

- აბა ჩემთან კაი ამბით ვინ მოდის! რა იყო, ხო არავინ მომკვდარა?

- ვაჟაია! - ვიეშმაკეთ: ასე უფრო იაფად გაგვიკეთებსო. შეიცხადა მარა, რა შეიცხადა: გადეირია კაცი!

- რა დაგვიჯდება?

- რავა გეკადრებათ, მაგ ბოვშვი ისე მიყვარდა, ფულს გამოგართმევთ? ასე, შენი სიმაღლის იქნებოდა, ხომ?

- ცოტა დოუწიე, ე, მასე! - დააყენა ნაღდად გარდაცვლილის ზომაზე ოსიკომ.

- ხვალ დილას დაგახვედრებთ გამზადილს!

მეორე დღეს იმდენი ვიჩალიჩეთ, თვითონ ვაჟა გავგზავნეთ კუბოს მოსატანად. გავყევი მეც.

გახურებულ მუშაობაშია ვალოდია: რაცხას აჭედებს. ამ დროს იღება კარი და შედის ვაჟაია. გოუვარდა ხელიდან ჩაქუჩი: - კი მარა, შენ არ მოკვდი ბიჭო?!

- კი, რავა არ მოვკვდი - ,,პრიმერკაზე" ვარ მოსული!

უყვარს ამირანს დალევა, შეიძლება ითქვას, რომ "ნამეტნავად! ამიტომ, დილით ადრე, ჩანთით ხელში რომ შემხვდა, საიდანაც შუშის ჭურჭლის ჩხაკა-ჩხუკი ისმოდა, ბუნებრივი რეაქცია გამიჩნდა:

- აა, ,,პახმელიაზე" ლუდის მოსატანად მიდიხარ?

- არა, ტი შტო (ამირანი ,,მორუსულე ქართველია"), მაწონზე

მივდივარ.

- კარგი ახლა!

- კლინუს! მე აღარ ვსვამ, ზავიზალ!

- კი მარა, რა დაგემართა?

- ბიჭო, ვოტ პასლუშაი: ამას წინათ, კახეთში ვიყავი, კამანდიროვკაში ნუ. პირველივე საღამოს, იასნია, მაგარი სუფრა გაიშალა. თამადად დაჯდა ტიპიჩნი კახელი: შავი, დიდი, კისერი რომ არ ეტყობა, ნიტო ბივში მოჭიდავე, ნიტო შტანგისტი. ხო და, ორასგრამიანი ჭიქა პირამდე გაავსო, წარბებსქვემოდან გროზნათ გამოგვხედა და მუქარით ჩაილაპარაკა:

- ეხლა, ერთი მაგრა უნდა დავთვრე!

აი, ეს კაცი გვყავდა თამადად ერთი კვირა! შემაძულა დალევა მაგის დედა, მაგისი... არა, არა, ხო გეუბნები, აღარ ვსვამ, ზავიზალ!

* * *

ვერაფრით გადააფიქრებინა წასვლა. ახალგაზრდა კაცს გული ,,დიდი რუსეთისკენ" მიუწევდა - რომანტიკული თავგადასავლები უხმობდნენ. მთლად თავის ნებაზეც ვერ მიუშვებდა. სანკტ-პეტერბურგში, ბავშვობის მეგობარს, ერთ-ერთ მსხვილ ბიზნესმენსა და კრიმინალურ სამყაროში დიდად გავლენიან პირს დაუკავშირდა: ჩემს უმცროს ძმას გიგზავნი და მიმიხედეო.

მართლაც, მშვენივრად მოეწყო: მასპინძელმა თანამემამულე სერიოზულ საქმეში ჩააბა და ,,სერიოზული ფულიც" აშოვნინა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე ერთ დღეს, მთელ სვანეთში მეხივით არ გავარდა ხმა ბიზნესმენის დაღუპვის შესახებ: გაურკვეველ ვითარებაში მოკლული ენახათ.

ცხედართან, მთელი სოფლის თანდასწრებით ფიცი დადო: მკვლელის ვინაობასაც დავადგენ და შურსაც ვიძიებო.

დაკრძალვიდან მეორე დღეს, ძმასთან ერთად გაემგზავრა სანკტ-პეტერბურგს.

იმავ საღამოს გამოუტყდა უმცროსი ძმა: მე მოვკალიო.

ვერა, ვერ გაიმეტა თავისი გაზრდილი! ვეღარც სოფელში დაბრუნდებოდა ფიცის გამტეხი. აღარავის უნახავს მას შემდეგ ძმები.

* * *

ჩემი სეხნია იყო, დიდი მოქეიფე, მომლხენი, ქალების მუსუსი. უყვარდა თამადობა და განსხვავებული სასმისებით განსხვავებულად დალევა. მის გამოგონებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სადღეგრძელოს შესმის წესს, რომელსაც "ხვლიკური" უწოდა და რისი მონაწილე ერთხელ მე თავად შევიქენი:

სუფრა გაშლილი იყო "ლოჯიაში", რომელიც გადიოდა სასტუმრო ოთახში, ის კი, თავის მხრივ, უერთდებოდა საძინებელს. ღიად დატოვა ყველა კარი; საძინებლის ბოლოში დადგა ღვინით სავსე დოქი და თიხის ჯამი. ჯამი შეავსო, იქვე დატოვა და სუფრასთან მობრუნდა. წარმოსთქვა მშვენიერების სადღეგრძელო. შემდეგ დაწვა იატაკზე და ხოხვა-ხოხვით მიცოცდა დანიშნულების ადგილთან. ჯამი უხელოდ, კბილებით ასწია, ღვინო შესვა. ჯამი შეავსო და ისევ ხოხვით დაუბრუნდა მაგიდას.

უნდა გენახათ რა ამბები მოხდა: ვიღაცამ, ღვინის შესმის შემდეგ, პირდაპირ ტუალეტს მიაშურა(ხოხვით); ვიღაცამ გზაში დაიძინა; ვიღაცამ სკამამდე კი მიაღწია, მაგრამ იქ სადაც სხეულის სულ სხვა ნაწილი უნდა მოეთავსებინა, თავი დადო და ასპარეზობას გამოეთიშა...

ხუთ ცოლგამონაცვალს, ყველასთან შვილები ჰყავდა. ამდენ ნერვიულობას და სმას ვეღარ გაუძლო, არცთუ ხანდაზმულს გულმა უმტყუნა.

სამძიმარზე მისულ ბიჭებს მისი ნათესავი, ჩვენი მეგობარი შემოგვეგება და დერეფნის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული ბავშვებისკენ წაგვიძღვა.

- ეს პირველი ცოლის მეორე შვილია, ეს მეოთხეს პირველი და მეორე, ეს მეორეს მესამე, ეს... შენ რომლის ხარ? მოკლედ ესენი სულ ნოდარის შვილებია!

* * *

1993 წლის შემოდგომით ნაცნობმა "ზვიადისტებმა" მითხრეს: მერაბ კოსტავას დედა ძალიან ცუდ დღეშია: ავადმყოფობს. მას კი, არა თუ სამკურნალო, საჭმლის ფულიც არ აქვსო. გამოვართვი წამლების სია, რომელიც თან ჰქონდათ. შევიძინე წამლები, ჩემ ზუგდიდელ თანამშრომლებში ფული შევაგროვე, სახლიდან რამდენიმე ქილა ხილფაფა, მურაბა, კომპოტი წავიღე და კოსტავას სახლს მივაშურე.

კარი ახლგაზრდა, სანდომიანმა ქალბატონმა გამიღო, რომელიც თავიდან ერთგვარი უნდობლობით შემხვდა. იგრძნობოდა, რომ არასასიამოვნო ვიზიტები მათთვის უცხო არ იყო. თავი რომ გავაცანი და ჩემი სტუმრობის მიზეზი ვამცნე, მომიბოდიშა, სასტუმრო ოთახში შემიძღვა და ქალბატონ ოლიკოსთან წარმადგინა. ისე დედაშვილურად ჩამიკრა გულში, ისე მომესიყვარულა, თითქოს მის ხელში გაზრდილი ბიჭი ვიყავი.

- ჯერ ექსპონატები დაათვალიერეთ და შემდეგ, თუ არ ჩქარობთ, მობრძანდით, ვისაუბროთ - მითხრა მან.

ექსკურსიამძღოლობა იმავე ქალბატონმა გამიწია:

კონსტანტინე, ზვიადი, მერაბი, არალეგალური გამოცემები, გადასახლება, მიტინგები, დროშები, დროშები... და მერაბი, ზვიადი, ერთად, სულ ერთად! რა დრო იყო, რა ბედნიერები ვიყავით!

თვალცრემლიანი მივბრუნდი მასპინძელთან. დედას რომ შვილი მოუკვდება, თანაც ისეთი, როგორიც მერაბი იყო, რა სიტყვები შეიძლება უთხრა, მაგრამ ქალბატონ ოლღას თავი მხნედ ეჭირა.

- რამდენჯერმე მომეჭრენ, შვილო, უსინდისო ადამიანები: „ზვიადისტები" იკრიბებიან აქ, უნდა დავხუროთო სახლ-მუზეუმი. საძინებელში რომ დიდი სურათია ზვიადის, იმის ჩამოხსნა მომთხოვეს.

- ეგ სურათი მერაბმა თავისი ხელით ჩამოკიდა მისი საწოლის თავზე და თუ გეყოფათ ვაჟკაცობა, თქვენ თავად ჩამოხსენით-მეთქი.

გაბრუნდნენ ბუზღუნ-ბუზღუნით. მას შემდეგ კიდევ მესტუმრენ ერთი-ორჯერ. ახლა თითქოს დამანებეს თავი, თუმცა ხანდახან კი რეკავენ უცნობები ტელეფონზე და იმუქრებიან.

გაიხსენა მერაბის და ზვიადის ბავშვობა:

შეისისლხორცეს უფლისადმი რწმენა, სამშობლოს სიყვარული, მისი ისტორიის, კულტურისადმი თაყვანისცემა. ფეხით ჰქონდათ შემოვლილი მთელი საქართველო. ტაძარი, სალოცავი, თუ ციხე-სიმაგრე არ იყო საქართველოში, მათი ხელი რომ არ შეხებია მოწიწებით.

კამათობდნენ აღსარების ჩაბარებასთან დაკავშირებით: მოგეხსენებათ, მაშინდელ სამღვდელოებაში უშიშროების სამსახურთან კავშირში მყოფი ადამიანებიც ერიენ, ბიჭები კი არალეგალურ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული. ზვიადი ამბობდა, რომ ამ თემაზე უმჯობესია საერთოდ არ ესაუბრონ მოძღვარს, მერაბი კი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი უფლის ხელშია და მას უნდა მიენდონ, ხოლო რას მოიმოქმედებს მოძღვარი, ეს მისი გადსაწყვეტია.

მერაბი რომ პატიმრობიდან გათავისუფლდა, ამ სახლში დიდი სუფრა გაიშალა. ვაჟა ადამიამ ჭიქა ასწია და დაიძახა: - გაუმარჯოს მერაბ კოსტავას, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს!

წამსვე მერაბმა მარჯვენა ხელი ზე-აღმართა:

- შეჩერდით მეგობრებო, დაიმახსოვრეთ, ეროვნულ მოძრაობას ჰყავს ერთი ლიდერი: ეს არის ზვიდ გამსახურდია! ჩვენ, ყველანი, მისი ჯარისკაცები ვართ!

რა დიდი იყო მერაბი, რა საოცარი იყო მისი დედა, ქალბატონი ოლღა დემურია!

* * *

ერთი ჩვენ სოფლელი, მეტსახელად ,,კომპოზიტორი", ჯანმრთელობის პრობლემების გამო ექმებმა საირმეში გააგზავნეს. ამ კაცს ბავშვობიდან ჩვევად ჰქონდა გამუდმებთ სტვენა, ,,კომპოზიტორი" ამიტომ შეაქვეს.

საირმელმა ექიმმა ასეთი ,,დანიშნულება" მისცა: _Sinagani ორგანოების გამოსარეცხად დღის განმავლობაში სამი ,,ვედრო" საირმის წყალი უნდა დალიო Yლუპ-ყლუპად. ერთი, დილიდან შუადღემდე, მეორე _ შუადღიდან საღამომდე და ერთიც – საღამოდან დაძინებამდეო.

- ეხ, ქალბატონო – დაუკვნესია კაცს – მე სოფელში ,,კომპოზიტორს" მეძახიან. ხო, და ერთი მე ვარ კომპოზიტორი და მეორე შენ – ექიმიო!

* * *

მთაწმინდაზე, მამა დავითის სახელობის ეკლესისის იატაკი მოფენილია სხვადასხვა საფლავებით: საეკლესიო პირები, გენერლები, დიდი თავადები... მათ შორისაა ასეთიც:

,,ვდოვა გენერალ-მაიორა კნიაგინია
სიდონია ზახარიევნა სავარსამიდზე
სკონჩ. 20 ფევრალია 1836 გ. “

ორი მიზეზის გამო მიიქცია ჩემი ყურადღება ამ საფლავმა: პირველი ისაა, რომ ეს ამ გვარის ადამიანი, ჩემი არცთუ მცირე ხნის სიცოცხლის მანძილზე, არსად შემხვედრია. მხოლოდ, კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიონისოს ღიმილშია” ასეთი გმირი: კონსტანტინე სავარსამიძე.

მეორე მიზეზი, ამ წარწერის ბუნდოვანი შინაარსია: არ არის მითითებული ქალბატონის დაბადების წელი, ან ასაკი; არ გვამცნობენ გენერალ-მაიორი მეუღლის გვარს.

მაინც რა მოხდა, ქალბატონო სიდონია? ვინ იყო თქვენი ქმარი, რომლის მოხსენიება საჭიროდ არ ჩათვალეს. რა გვარის კაცი იყო, რა ეროვნების: ქართველი? რუსი? რა ბედისა იყო: ადრევე დაიღუპა სადმე კავკასიის მთებში, თურქეთის ხეობებში, ან რუსეთის ტრამალებში? თავად თქვენ რა ხნისა გაეცალეთ ამ ქვეყნიერებას? ახალგაზრდა გოგონა, თუ ასაკოვანი ბანოვანი? რა იყო მიზეზი თქვენი გარდაცვალებისა?

ეგებ თქვენი მეუღლე ერთი ვინმე ვიგინდარა რუსის გენერალი იყო, თქვენზე ბევრად უფროსი, რომელზედაც ძალით გაგათხოვეს. მან კი, ლოთმა, უხეშმა სალდაფონმა სიცოცხლე გაგიმწარათ. ხოდა, როგორც ხშირად ხდება, თავი შეგახსენათ ყმაწვილქალობის დროინდელმა უნაზესმა სიყვარულმა. მერე ეჭვიანობის სცენები... დუელში მოკლული ახალგაზრდა მიჯნური... მოუსავლეთში გადაკარგული ქმარი.

ან ასე თუ იყო: მეუღლე _ ღირსეული, ქართველი ვაჟკაცი. მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა, გადასახლებულ იქნა შორეულ ყინულეთში. თქვენ მასთან განშორება ვერ გადაიტანეთ, ხელისუფლებამ კი შერისხული გენერლის გვარის საფლავის ქვაზე მითითების ნებართვა არ გასცა.

და კიდევ ვინ იცის, რა და რა შეიძლებოდა მომხდარიყო?!

დიდებულო ქალბატონო, სიდონია სავარსამიძევ, ზაქარიას ასულო, ნეტავ შემეძლოს, მოგიძღვნათ მშვენიერი რომანი, ან მოთხრობა, ნოველა, ლექსი!

რამდენი ფიქრი, რამდენი...

სიმღერა წვიმაში

ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი პირველი, ძლიერი შთაბეჭდილება უკავშირდება ორ საოცარ ადამიანს, ორ ქუჩის მომღერალს. ერთი მათგანი კაცი იყო, მეორე - ქალი. ერთად არასოდეს მინახავს, მონაცვლეობით მოდიოდნენ ჩვენს ეზოში, ასე, თვეში ერთხელ. უფრო, დღის მეორე ნახევარში. კაცი, ასე, ორმოცდაათი წლის. ჩასუქებული, ტანდაბალი, უკან გადატკეცილი შევერცხლილი თმით. ეცვა გახუნებული, ერთდროს, უეჭველად, გამორჩეულად კარგი ტანსაცმელი. განსაკუთრებით თვალში გეცემოდათ თუმც გახუნებული, მაინც კარგად შენახული, მწვანე ფერის ხავერდის პიჯაკი. თავაწეული, ყელმოღერებით მღეროდა ჩემთვის უცნობ საოპერო არიებს. ჰქონდა საოცრად რბილი, ბოხი ხმა. იმ პერიოდში (ექვსი-შვიდი წლის ვიქნებოდი), გარდა ,,მენახშირეს" და ,,ბაშიაჩუკის" სიმღერისა, გატაცებით გავჰკიოდი რამდენიმე საოპერო არიას. ამ კაცის გამოჩენა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. მგონი მისი ერთადერთი ყურადღებიანი მსმენელი მე ვიყავი: ბავშვები განაგრძობდნენ ფეხბურთის თამაშს, უფროსები თავიანთი ბინის კედლებში მოქცეულნი საქმიანობდნენ, სადილობდნენ, ან ისვენებდნენ... მხოლოდ მე ვიდექი პირდაღებული და მოჯადოებული ვისმენდი ამ საოცარ კონცერტს! ახლა რომ ვიხსენებ, ასე მგონია, ის კაცი, თუმც სადღაც მაღლა, ცაში იცქირებოდა, სწორედ ჩემთვის მღეროდა. დაამთავრებდა თუ არა სიმღერას, მამაკაცი თავს ჩაქინდრავდა და იდგა ასე მორჩილად, მოწყალების მოლოდინში. ჩვენი დედები დროებით სწყდებოდნენ საოჯახო საქმეებს, მამები დინჯად დგებოდნენ სავარძლიდან და გაზეთით ხელში მიდიოდნენ ფანჯარასთან, ზოგი აივანზეც კი გამოდიოდა და ცვიოდა ეზოს ასფალტზე ხურდა ფული. ბავშვები ვეხმარებოდით მომღერალს ფულის შეგროვებაში. მერე კაცი მიდიოდა და მეც ვუბრუნდებოდი ბურთაობას.

იგივე მეორდებოდა ქალის მოსვლისას. კაცისგან განსხვავებით, ქალი მაღალი და ავადმყოფურად სუსტი იყო. ეცვა გულამოღებული, სიძველისგან გალეული, ყაყაჩოსფერი კაბა. ისიც ჩემთვის უცნობ საოპერო არიებს მღეროდა, მასაც მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. მღეროდა თვალდახუჭული, არ ვიცი სირცხვილის, თუ გრძნობათა მოზღვავების გამო. ეგებ ერთიც იყო და მეორეც. ეგებ ამ დროს თავი

სცენაზე წარმოედგინა. აკი ვიღაცამ თქვა კიდევაც: ეგენი ერთ დროს ოპერის თეატრში მღეროდნენ, მაგრამ ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დააპატიმრესო. რამდენად შეეფერებოდა ეს სიმართლეს, ან რა კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან ამ ორ ადამიანს, ჩემთვის უცნობი დარჩა. ვერ ვიტყვი ვერც იმას, თუ რა ეროვნებისანი იყვნენ. ჯერ ერთი, მაშინ ამ საკითხში საერთოდ ვერ ვერკვეოდი. მეორე ის, რომ მღეროდნენ მხოლოდ იტალიურ ენაზე, უსიმღეროდ კი სიტყვაც არასოდეს წარმოუთქვამთ და მესამეც: ახლა რომ ვიხსენებ, ისეთი იერის იყვნენ, კარგ მცოდნესაც გაუჭირდებოდა ამის დადგენა. ან კი რა საჭირო იყო? მთავარია, რომ მომღერლები იყვნენ, ნამდვილი, ოპერის მომღერლები!

ცხელი ზაფხულის ერთ საღამოს, ის იყო ქალმა სიმღერა დაიწყო, რომ უეცრად საშინლად დაიქუხა და კოკისპირულმა წვიმამ დაცხო. ჩვენ თავი სადარბაზოებს შევაფარეთ. დაიხურა ფანჯრები, აივნების კარები. ქალი ეზოს შუაგულში იდგა და მღეროდა! თმები სახეზე, მხრებზე მიეკრო, კაბა ტანზე შემოეტმასნა, ფეხსაცმელებზე ნიაღვარმა გადაუარა... ის კი მღეროდა, თვალდახუჭული, ხელებგაშლილი, საოცარი აღტკინებით, თითქოს წვიმას ეჯიბრებოდა, რომელიც სახურავებზე, ფანჯრის მინებზე არახუნებდა, იფიქრებდი, ქალის ხმის ჩახშობას ცდილობსო! ჭექა-ქუხილიც მასვე ეხმარებოდა. ან იქნებ პირიქით: ეგებ ეს ზეციური ორკესტრის აკომპანიმენტი იყო დიდებული მომღერლისთვის ნაბოძები?! სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა ფანტასტიური კონცერტი. ჩაათავა თუ არა ქალმა სიმღერა, წვიმა შეწყდა, ბუნება დამშვიდდა, მზემ გამოანათა! გაიღო ფანჯრები, კარები და ხურდა ფულის წკრიალთან ერთად მქუხარე ტაში და შეძახილები გაისმა: ბიის! ბრავო!!!

დანამდვილებით ვერ ვიტყვი (წვიმით გალუმპულს რა შეეტყობოდა), მაგრამ მგონი ქალი ტიროდა. მადლობის ნიშნად რევერანსი გააკეთა, სწორედ ისეთი, დიდი სცენის მომღერლებმა რომ იციან, შემდეგ შეტრიალდა და ეზოდან გავიდა.

ფული ბავშვებმა ავკრიფეთ და ერთ-ერთ მშობელს შევანახინეთ, მაგრამ ის ქალი და არც კაცი მას შემდეგ აღარ გვინახავს.

მე და სიკვდილი

რაც რომ ავიდგი ფეხი და
ვიცან ქვეყანა მტრიანი,
გავრბივარ თავქუდმოგლეჯით,
მომდევს სიკვდილი ტიალი.

ის იყო, მომწვდა კოჭებთან,
უნდა ჩაესო კბილია,
მივუგდე ჩემი ბავშვობა,
რა მექნა, სული ტკბილია!

თითქოს შეყოვნდა მცირე ხნით,
თითქოს მანება თავია,
მერე კვლავ გამომეკიდა
უფრო შმაგი და ავია.

მეც უფრო მაგრად გავიქეცი,
არ მსურდა მისი გაცნობა,
რომ აღარ მქონდა მეტი გზა,
მივუგდე ყმაწვილ-კაცობა.

ახლა, ხანში რომ შევედი,
მუხლი არ მომდევს მარდია,
გვერდით მომყვება ქოშინით,
კარგი დღე არც მას ადგია.
დავღალეთ ერთი-მეორე,
ესეც ცხოვრების ფანდია,

აღარ მაშინებს სიკვდილი,
მე სხვა გზას ვხედავ მადლიანს:
უფალო, სულს შენ გაბარებ,
შენი ნათელი მადგია!

* * *

ჩემო უსაყვარლესო, მესხეთის მინდორ–ველებსა და ფერდობებზე მიმოფანტულო, ჩაშავებულ–ჩაჟანგებული ხავსით შემოსილო, ქართულ მიწაში ღრმად ჩამჯდარო ლოდებო! თქვენით შენდებოდა უმტკიცესი ციხე–სიმაგრეები და უმშვენიერესი ტაძრები; მყუდრო, ბანიანი სახლები და მზის ენერგიით გაჯერებული ტერასები ...

მაქვს დიდი იმედი, რომ ერთი, თქვენგანი, ჩემს საფლავსაც დაამშვენებს!

* * *

წლები ჩემი ცხოვრებისა
რა უაზროდ ვფლანგე,
რად ვუღირვარ ჩემს სამშობლოს:
ვერაფერი ვარგე.

ეს ქვეყანა რაღაცით ხომ
უნდა ვახეირო,
მშობლიური მიწა მაინც
გ ა ვ ა პ ო ხ ი ე რ ო!

* * *

მე ვიცი, წავა ღრუბელი,
მე მჯერა, გამოიდარებს,
ლამაზი გოგო–ბიჭები
ააჟღერებენ გიტარებს.

წვიმა წამოვა წკრიალა
მზის სხივებს ააციმციმებს,
ბედნიერება და სითბო
შეცვლის დარდსა და სიცივეს.

ბოროტი ხვრელში ჩაძვრება,
სიკეთის ნერგი იხარებს...
აქ ღმერთმა ყველა დალოცოს,
მე დავსახლდები იმ მხარეს.

* * *

ასე მგონია, ჩვენში, ობლების მიმართ, განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულებაა:

ქართულ ზღაპრებში ობოლი, აუცილებლად წესიერი, გულკეთილი ადამიანია.

ჩემი სოფლის მიდამოებში არის "ობოლი კლდე", ,,ობოლი ჭადარი".

ხეზე განცალკევებით გამოსულ, წმინდა კევს, რომელიც გემოთიც გამოირჩევა, ,,ობოლ კევს" ეძახიან.

,,ობოლი მარგალიტი", ,,ობოლი ცრემლი"...

ობოლი საქართველო!..

* * *

- პაპი, მე რომ მოვკვდები, მოხვალ ხოლმე ჩემს საფლავზე? - ვკითხე ჩემს შვილიშვილს, რომელიც მაშინ 6 წლის იყო.

- კი, მოვალ - მამშვიდებს დათუნა.

- ხშირად ივლი?

- რა ვიცი, აბა, როცა წამომიყვანენ, ყოველთვის მოვალ!

- აუჰ, ეს დღესვე მკლავს! - გამეცინა - არა, პაპი, მე მომავალზე გეკითხები, დიდი რომ იქნები მაშინ.

- კი, მაშინაც ვივლი.

- რას მომიტან ხოლმე?

- ყვავილებს!

- ყვავილები რად მინდა, პაპი, სანთელი წამომიღე და ცოტა ღვინო!

აბა, ბედნიერად!!!